სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 27 ნოემბერი 1997 №152 (517) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანო ბაგრატიონი

რა დროს ყრილობაა, ჩვენ, ჩვენი გასაჭირი გვეყოფა...

სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციის დაპირისპირება, რომ გვეგონა, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, მთლად ეგრეც არ ყოფილა

დეპარტამენტმა და იუსტიციის სამინისტრომ ერთად რომ ბრძანეს, ახალკაცსა და კვინიკაძეს ფუნქციები შეუჩერდეთო, ისიც დააყოლეს, ჩვენი განკარგულება ბრძანების გამოქვეყნებისთანავე უნდა შესრულდესო.

წინა „სარბიელში“ დროებითი პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძისა და გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის მოკლე კომენტარები შემოგთავაზეთ ამ ფაქტთან დაკავშირებით. ჩივაძის პასუხი ცალსახა გახლდათ, რიგგარეშე ყრილობა არ ჩატარდებაო. არადა, კახი ასათიანმა პრესკონფერენციაზე გვაცნობა: „საშას გუშინ შევხვდი, ფედერაცია, რა თქმა უნდა, საქართველოს კანონმდებლობას ემორჩილება და პირობას გაძლევ უახლოეს დღეებში ალმასკომის იმ სხდომას მოვიწვევთ, რომელზეც ყრილობის ჩატარების დღეს დავადგენთო, მითხრა, ასე რომ ალბათ ყრილობას მოიწვევენ.“ უცნაურია, არა? თუმცა, რა უცნაური, უფრო პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი. სახელმწიფო ინსტანციებმა ბრძანება გამოსცეს ფედერაცია კი... გუშინ ფედერაციაში თათბირი ჩატარდა. როგორც გავიგეთ, ასეთი თათბირები ტრადიციული ყოფილა, შეკრებლთ გუნდების სპონსორობაზე უთქვამთ, სახელმწიფომ სპონსორები ნაწილობრივ გაათავისუფლოს გადასახადებისგანო, ცოტაც სატრანსფერო პოლიტიკა უნდა დავხვეწოთო, ამაზეც უმსჯელიათ, სულ ბოლოს კი დეპარტამენტ-ფედერაციის საქმესაც შეხებიან. თათბირს თურმე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე სამივე ჯგუფის 42 კლუბის წარმომადგენელი ესწრებოდა და ყველას ერთხმად ალუნიშავს, რა დროს ყრილობაა, ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვეყოფა, დეპარტამენტმა თავი დაგვანებოსო. ეს ამბები დავით კვინიკაძემ გვიამბო, რომელიც ბრძანების მიუხედავად თავის ფუნქციებს ისევ ძველებურად ასრულებს, ასრულებს და თან კარგ ხასიათზეა — რა გითხრათ, მაგათ ბრძანება კი გამოსცეს, მაგრამ მე მაინც გენერალური მდივანი ვარო.

დავით კვინიკაძესთან ცოტაც ვისაუბრეთ, საქართველო — საბერძნეთის გუშინდელი მატჩიც გავარჩიეთ ჩვენებურად, დამშვიდობებისას კი ერთი სალაღობო ამბავი გაიხსენა. ფედერაციის გენერალური მდივანი განათლების სამინისტროში მუშაობდა ოთარ ჭინჭარაძის მინისტრობისას. ჰოდა, დეპარტამენტ-ფედერაციის ამჟამინდელმა დაპირისპირებამ თურმე ეს გაახსენა: როცა ბატონ ოთარს მთავრობიდან ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ, თათბირი ხომ არ გაქვთო, ის პასუხობდა — რა დროს თათბირია გაგანია მუშაობის დროსო. იგივე ხდება დღეს, რა დროს რიგგარეშე ყრილობაა, ჩვენ ვმუშაობთ და გვაცალეთო — თქვა კვინიკაძემ.

უკვე გაუწყეთ, რომ პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე კახი ასათიანი გერმანიაში გაფრინდა. ბუნებრივია, მისი პოზიციის დაფიქსირება უფრო უპრიანი იქნებოდა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა — ბრძანების შესრულება-შეუსრულებლობაზე მის პირველ მოადგილეს, ბატონ ჯანო ბაგრატიონს ვთხოვეთ აზრის გამოთქმა. პირველივე კითხვა, რა თქმა უნდა, კვინიკაძის პასუხიდან გამომდინარე დავუსვით.

— ბრძანებას კი მოეწერა ხელი, მას შემდეგ ორი დღეც გავიდა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელები მაინც ძველებურად მუშაობენ. ახალკაცი ავადაა, კვინიყაძე კვლავ გენერალური მდივანია.

— ჩვენ ბრძანება გავაგზავნეთ ფეხბურთის ფედერაციაში და როგორც უნდათ, ისე გაიგონ. ახლა მუშტი-კრივს ვერ დავიწყებთ. ბრძანება იმისაა, რომ შესრულდეს.

— თუ არ სრულდება, მაშინ...

— პირველი დეკემბერი მალე მოვა. როგორშე ყრილობა უნდა მოიწვიონ. თუ არა, საინიციატივო ჯგუფი შეიკრიბება და ყრილობაც ჩატარდება დეპარტამენტის მიერ დადგენილ დღეებში.

— დეკემბრამდე კიდევ დროა. ბრძანებაში ფუნქციათა შეჩერებაზე წერია. საქმით ყველა მაინც თავის უწინდელ ფუნქციას ასრულებს. სასაბართლოში ხომ არ იჩივლებთ?

— არა, ჩივილს არ ვაპირებთ.

ასე გვიპასუხა კახი ასათიანის მოადგილემ. თავად თავმჯდომარე, როგორც ვიცით, გერმანიიდან შაბათს გვიან ღამით აპირებს დაბრუნებას. შაბათის „სარბიელიც“ ისე გამოვა, კახი ასათიანის აზრს ვერ მოვაწვდით, ასე რომ, ორშაბათისთვის გადავდოთ. თუმცა, ორშაბათი უკვე ის, აღთქმული პირველი დეკემბერი იქნება...

ჟურნალისტებს არც ბრძანების დაწერა შეგვიძლია, არც მისთანები, მხოლოდ სურვილი გვაქვს ასეთი — ღმერთმა ნუ ქნას, პირველმა დეკემბერმა რაიმე ცუდი მოუტანოს ქართულ ფეხბურთს.

ძოგბა ინასარიძე

ჩემპიონთა ლიგა
მეხუთე ტური. 26 ნოემბერი

CHAMPIONS LEAGUE

B ჯგუფი

ფეიენოორდი 2:0 იუვენტუსი

ფეიენოორდი: დუდეკი, ცვინენბერგი, ვან გობელი, ვან ვონდერენი, კლაისი, ბოატენგი, ვან გასტელი, ვან ბრონკჰორსტი, სანჩესი (ბოსველტი 65), კრუზი, ვოსი

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, იულიანო (დიმაში 73), ბირინდელი, დუშამპი (ტორიჩელი 42), პესოტო, დი ლევიო, ტაკინარდი, ზიდანი, ამორუზო, დელ პიერო (ფონსეკა 67)

1:0, 2:0 კრუზი (66, 88)

მანჩესტერი	4	4	0	0	11:4	12
იუვენტუსი	5	3	0	2	11:8	8
ფეიენოორდი	5	2	0	3	7:10	6
კოშიცე	4	0	0	4	2:9	0

C ჯგუფი

ბარსელონა 1:0 ნიუკასლი

ბარსელონა: ჰესტი, ფერერი, ბეელარდო, კოუტუ, რაიციგერი, როჯერი, ჯოვანი (ნადალი 80), გვარდიოლა (ამორი 70), ჩირიჩი, რივალდო, სონი ანდრესონი (ბიტი 55)

ნიუკასლი: ჰისლოპი, პისტონე, ალბერი (შიუზი 46), პიკოკი (პირსი 32), უოტსონი, ბერესფორდი, ბეტი, ჰამილტონი, ბარნსი, ქეცბაია, ტომასონი

1:0 ჯოვანი (17)

თამაშის მშვენება გახლდათ ბრაზილიელი ჯოვანის ვოლი, რომელიც „კამპ ნოუზე“ მისულმა 25 ათასმა მაყურებელმა იხილა ცოცხლად. ასეთი დასწრება კატალონიის დედაქალაქისთვის კი მოგეხსენებათ ერთობ მოკრძალებულია. ქომაგთა მცირე რაოდენობა სრულიად გასაგები გახლდათ, „ბარსელონას“ ხომ მეოთხედფინალში გასვლის შანსი აღარ ჰქონდა.

თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს გამალებით და პირველსავე წუთებზე ოთხი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლი მანამდე არ გავიდა სანამ გვარდიოლამ ჯოვანის პასი არ მიაწოდა, მან კი ნიუკასლელთა გოლკიპერს შაკა ჰისლოპს ბურთი თავზე საუცხოოდ გადაუგდო.

და მაინც, პირველი ტაიმის შუაში „ბარსელონამ“ ინიციატივა დათმო, მაგრამ ინგლისელებმა ამით ხელადვე ვერ ისარგებლეს და პირველი სახიფათო მომენტი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შექმნეს: ტომასონმა ხარიხას გაარტყა ბურთი.

მოგვიანებით, მეორე ტაიმში, რივალდოს შეეძლო მეორე გოლის შეგდება, მაგრამ ააცილა. ამის შემდეგ ფანტაზიამ ორივე მხარეს უღალატა, მხოლოდ ცალკეული მომენტები იქმნებოდა, მაგალითად აბელარდოს ბერესფორდის ხაზიდან გამოუგდო ბურთი,უოტსონისა და თემურ ქეცბაიას პასთა გაცვლის შემდეგ კი პირველმა ოდნავ ააცილა მიზანს.

სტადიონზე მისულმა 7 ათასმა ინგლისელმა ქომაგმა წაგების მიუხედავად ტაშით გაცილა თავისი წვრილში ნაჯაფარი გუნდი.

დინამო	4	3	1	0	12:3	10
ეინდჰოვენი	4	2	1	1	6:5	7
ნიუკასლი	5	1	1	3	5:8	4
ბარსელონა	5	1	1	3	5:12	4

E ჯგუფი

ბეშიქთაში 0:2 ბაიერნი

ბეშიქთაში: ფევზი, რეჯეფი (ერენი 59), ერკანი, ალფაი, ერთუგრული, სერდარი (ოსმანი 70), იანკოვი, ღეჩკოვი, თაიფური, ბიქმეთი (ამოკაში 62), ოქთაი

ბაიერნი: კანი, მატეუსი, კუფური, ჰელმერი, შოლი (ციკლერი), ფინკი (ბაბელი 86), ჰამანი, ნერლინგერი, ტარნატი (რიციტელი 75), იანკერი, ელბერი

0:1 იანკერი (5), 0:2 ჰელმერი (31)

ბაღრატ კობლაძის ფოტო

დასაწყისი მარცხიანი დასასრული



ბაღრატ კობლაძის ფოტო

ლიერსი 0:2 ლევერკუზენი

ლიერსი: ვანდეველე, ბროკენი (უეუიგბე 76), სერნელსი, სკაეონე, ლენი, ჰაგდორენი, პასენჰეუტლი (კავენსი 70), ზდებელი, ჰეფკენსი, ვან დე ვეეერი, ეფტევაგი (დე კეისერი 70)

ლევერკუზენი: ჰაინენი, კოვაჩი, ჰაპე, ვიორნსი, კირსტენი, ემერსონი, მეიერი (რინკი 40), რამელო, ლენჰოფი (ზი-ვკოვიჩი 82), ჰაინცე, ბაიდლიხი

0:1 ემერსონი (54), 0:2 კირსტენი (66)

მონაკო	5	4	0	1	13:6	12
ლევერკუზენი	5	4	0	1	9:5	12
სპორტინგი	5	1	1	3	7:10	4
ლიერსი	5	0	1	4	2:10	1

F ჯგუფი

მონაკო 3:2 სპორტინგი

მონაკო: ბარტეზი, პინიოლი, დიეტუ (ანრი 19), დუმა, ირლი, კოლინზი, ლეგვინსკი, ბენარბია (კარნო 73), სანიოლი, ტრეზეგი, იკპება

სპორტინგი: დე ვილდე (ტიაგო 23), საბერი, ნენე, აურელიო, ბერტო (ვიციანიუსი 74), ოსიანუ (მარტინსი 79), ლანჟი, მარტინსი, ჰაჯი, ლეანდრო, მიგელი

0:1 მიგელი (31), 0:2 ოსიანუ (38ჰ), 1:2 ტრეზეგი (65), 2:2, 3:2 ანრი (75, 90)

კაცებიც ტირიან

თბილისი
ეროვნული
26 ნოემბერი

საძარცველო 0:0 საბერძნეთი

საძარცველო: ბათიაშვილი, მენთეშაშვილი, შაშიაშვილი, წერეთელი, ხარებავა, ხუცი-შვილი (კორლაძე 58), დიღმელაშვილი (ბაქრაძე 86), გვენცაძე, კვარაცხელია, ფარქოსაძე (აფხაზავა 80), შენგელია

საბერძნეთი: კოცოლისი, ვერკოპულოსი, ანტონენასი, ტავლარიდისი, ვენეტისი, კავაკისი (პეტრუ 66), მაცანგოსი, ბოტაიტისი, ვაკუფცისი (ფფენტოპულოსი 76), პაცატზოლუ (მაჭიაიდისი 84), სპირაკოსი

გაფრთხილება: პაცატზოლუ, ხარებავა, ვერკოპულოსი, მაცანგოსი

მსაჯი: ჯ. სკერფოლდი (ნორვეგია)

ვამუშა კვანტალიანი

იმედი გუშინ, ეროვნულ სტადიონზე ჩაქრა, მანამდე ყველას ჩვენების უძლეველობის გვჯეროდა. საბოლოოდ რა დავგვარჩა — იმედგაცრუება და გულისტკივილი. რა დავგვაიწყებს მატჩის მერე მონუ ჩავქინდრავთ, ნურც ვიტირებთ...

თამაშის დაწყებიდან ხუთი წუთი იყო გასული, როცა სტუმრების ძლევამოსილება დადასტურდა. თავს არ ვუტყდებოდით, თორემ, ალბათ, გულში ყველას ერთმა აზრმა გაჰკრა — ამათ ვერ მოვუგებთ!

ბერძნები სულ დარჩეულები გამოდგნენ. გვჯობდნენ ფიზიკურად, ათლეტურად და სიმაღლეშიც, ტექნიკურებიც იყვნენ და ბურთსაც ხერხიანად აგორებდნენ. მხოლოდ ბედისწერას და ბათიაშვილს ვუთხრათ მადლობა, საწყის ოც წუთში უკვე 0:3-ს რომ არ ვაგებდით. ტანმაღალი სტუმრები ამ უპირატესობას ჩინებულად იყენებდნენ. საჯარიმოში ყოველ ჩაწოდებულს არეულობა მოსდევდა. აუტებს ხომ ყველას საჯარიმოში აგდებდნენ.

პირველად მეორე წუთზე გადავრჩით, როცა მაზვილი კუთხიდან ჩვენს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ყველას გადააფრინდა და მეკარის ბაქანში დავარდნილი, მერე მიწიდან ასხლეტილი ძელს თებენო. აქტიურადაც დავიწყეთ, ვეცადეთ, მაგრამ მერე ძალ-ღონე გამოგვეღია და დავდექით.

სტუმართა თავკაცი ჩინებული სტრატეგი გამოდგა. თავისი გუნდის დაცვა გაუუალი ჯებირივით განალაგა. თუ პირველი ნახევრის უმეტესი დრო ბერძნებმა შეტევებში გალიეს, მეორეში კონტრიერიშები ირჩიეს. მოიგდებდნენ სტუმრები ბურთს და მერე წართმევა ჭირდა. მცველმა ვერკოპულოსმა ხომ სასწაული გაგვიშრო. დაცვაში მტკიცე წინაც ილტვოდა და გვავიწროებდა.

ქართველებმა ადრინდელ სტილს არ უღალატეს. მაღალმა ჩაწოდებებმა და ეპიზოდურმა აფეთქებებმა საქმეს ვერ უშველა. აუცილებელი იყო რაღაცის შეცვლა, ტუმბის მომატება. სისწრაფეს ძალა სჭირდება, მაგრამ... მეორე ნახევარში მხოლოდ ორჯერ შევძელით სახიფათოდ დაგვერტყა. დიღმელაშვილმა მეტოქე მოატყუა და კვარაცხელიას დაუ-

ბაღრატ ქათილაშვილის ფოტო

ბერძენთა მეკარე კოცოლისმა არც შენგელია ახეირა და არც ბაქრაძე (18)

ცეკვევე ბერძნებს და აცრემლებულ ქართველებს. რას ვიზამთ, ეკუთვნოდათ და წაიღეს. თბილისში ჩამოსულებს საბოლოო წარმატების მცირე იმედიღა ჰქონდათ, მათი სიხარული ამტომაც იყო გაორმაგებული. ჩვენებმა თავები დახარეს, თვალები აუწყლიანდათ, მაგრამ ტირილი საქმეს ვეღარ უშველის. ჩვენებიც დაკაცდებიან, ჯერაც ნორჩებს კი ყველაფერი ეპატიებათ.

ვერავინ იტყვის, ბიჭებმა არ მოინდომესო. თავგანწირვით იომეს, მაგრამ შეუძლებელი ვერ შეძლეს. უდრეკად, წარბშეუხრელად მდგარი ბათიაშვილი, ლომივით მებრძოლი საკინძმოხვრეწილი კაპიტანი და სიმწრისგან მინღორზე გაგორებული შენგელია მუდამ გეემახსოვრება.

როგორც მასპინძლებს, მსაჯიც გეემხრობოდა. იყო მომენტები, როცა ნორვეგიელი აშკარად ერთ მხარეს სტვენდა, მაგრამ ძალად მოგება რა საკადრისია. ბერძნებმა ყველაფერს გაუძლეს, თავები ისახელეს და ქართველი გულშემატკივარიც. ალბათ, ტაშით და ოვაციებით გააცილებდა, რომ არა სტუმართა მეთერთმეტე ნომერი. ნამდვილად კარგმა მოთამაშემ არც თაეხედობა ითაკილა და იმდენი ქნა, სტადიონზე ყველა აღაშფოთა.

კიდევ ერთი ტურნირი წავაგეთ, მაგრამ თვრამეტწლამდელებს წაგებაც კაცური სცოდნიათ. მსაჯის დახმარებით გამარჯვებას აშკარად ეს მარცხი სჯობს, იქნებ ჩვენებს სამომავლოდ წაადგეს კიდეც. ნათლად გამოჩნდა, რომ ამჟამინდელი დონით შორს ვერ წავალთ. სრულყოფისთვის და გამარჯვებებისთვის მუხლჩაუხრელი შრომა ყოფილა საჭირო. თვრამეტი წლის ბიჭებისთვის კი ზემი ნაადრევი აღმოჩნდა. ისე არავინ გამიგოს, თითქოს შეცდომები არ გექონია. ვერ მოვიგეთ, ესე იგი რაღაცაში შევცდით, საქმეს რაღაც დავაკელით. მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ და ეს ალბათ კოპალეიშვილზე უკეთ არავინ უწყის. თავებს მაინც სანტიმეტრებით ასცდა. ცოტა ხანში ბათიაშვილმა გეიხსნა. პაცატზოლუს ჯარიმიდან დარტყმული ცოცხალი კედლიდან ასხლტა და მეკარემ ბურთის კუთხურზე გადაგდება შეძლო.

ჩვენები ერთობ შებოჭილები ჩანდნენ. რატომღაც მაღალი გადაცემებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ახოვან ბერძენ მცველებს ვერაფერს აკლებდნენ. პირველად კარში მე-20 წუთზე დავარტყით. ფარქოსაძემ ჯარიმა აიცილა. მერე კვარაცხელიას თაური დარტყმა გამოდგა მეტად სუსტი. მეკარემ ბურთი ადვილად დაიჭირა. როგორც კი ბურთის დაბლა გათამაშება დავიწყეთ, მაშინვე რაღაც გამოვიდა. სტუმართა ცენტრალური მცველები პირველ სართულზე მთლად ყოჩაღად ვერ იყვნენ. ამსობაში კიდევ ერთხელ გადავრჩით — მცველებმა მორიგი ჩაწოდება მოიგერიეს, რომელსაც საჯარიმოსთან დადარაჯებულმა მაცანგოსმა მიუსწრო. ბათიაშვილი ბურთს შესწვდა, მერე კი ხარიხა დაეხმარა.

ტაიმის ბოლოსკენ ჩვენებიც ვაიხსნენ. უფრო მობილიზებულად ათამაშდნენ და ათი წუთი უპირატესობა გვქონდა. მორიგი მაღალი გადაცემა. შენგელიამ მცველს ავლა, გაექცა და საჯარიმოში შევარდნილმა შეუჭერებლივ დაარტყა. ბურთმა ხარიხა შეაზანზარა. გამოვარდნილს ფარქოსაძემ თავით დაამატა, ოღონდ არაზუსტად.

ჩვენების ჩაწოდებული პირველივე კუთხური ლამის გოლით დასრულდა. სტუმართა მეკარემ არ გაგვახარა. კოცოლისის რეაქცია ენით აუწერელი იყო. ფარქოსაძის დაბლა ჩაწოდებულს შენგელიამ სასურველი მიმართულება მისცა, მაგრამ...

პირველ ნახევარში კიდევ ერთხელ გადავრჩით — მორიგი კუთხური, მცველები იბნევიან და ლამის ავტოგოლი ვაჩუქეთ ბერძნებს. ისევ ძელი გეშველის.

შესვენებისას კიდევ იმედი გვქონდა, ჩვენები მეორე ტაიმში ცეცხლს დაანგდო. გიეის დარტყმული მეკარემ გაჭრევებით მოიგერია კუთხურზე. მეორედ კუთხურიდან ჩაწოდებული ისევ კვარაცხელიამ გაგზავნა თავით კარის მიმართულებით. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. ამის შემხედვარე სტუმართა მეკარემ პირველი გადაირწყრა. ეს 82-ე წუთზე მოხდა. ალბათ, ჩვენი ბოლო გაბრძოლება რომ იყო, გრძნობდა.

ბიჭები ვა-ბანკზე წავიდნენ და ზურგი მოიშიშვლეს. კინაღამ გოლი გავუშვით. რა აზრი ჰქონდა, რაღა ფრუ და რაღა წაგება, ჩვენთვის სულ ერთი იყო. მაცანგოსმა ჩვენი დაცვა გაარღვია და ბურთი კარის წინ ეულად დარჩენილი მაუტიადისი მოძებნა. მას ბათიაშვილმა აჯობა.

ბოლო წუთები, ბოლო სტიქიური შეტევები, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდება. ქართველებისადმი კეთილად განწყობილი ნორვეგიელი მსაჯის საფინალო სასტვენს სტუმართა მოედანზე შეცვენა და ცეკვა მოჰყვა. ბერძნებმა ერთი „სირტაკი“ არ იცეკვეს, თორემ სიხარული ყველანაირად გამოხატეს. მომეჩვენა, ზოგიერთი მათგანი დაგვცინოდა კიდეც. და ჩვენ ეს დაცინვა უნდა გვეთმინა, ბოღმა გულში ჩაგვეკლა და წყენა-აღშფოთება მხოლოდ გინებით გამოგვეხატა. აბა, თამაშით სტუმრებს ვერა დავაკელით და ხომ არ დავხოცავდით. უნდა მოვითმინოთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია, მაგრამ აღრინდელი კითხვა მაინც არ გვასვენებს — როდემდე?

მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაც **ვახტანგ კოპალეიშვილს** დანა პირს არ უხსნიდა: — დღესაც ბერძნებმა გვაჯობეს. ბიჭებმა ფსიქოლოგიურ ზეწოლას თავი ვერ დააღწიეს და ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. შედეგი ლოგიკური გახლავთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია. იყო მზეზები, რის გამოც სრულყოფილად ვერ ვითამაშეთ, თანაც ახალაძე და ჯაკობია გვაკლდნენ. ეს კი ჩვენი გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოდგა.

სტუმართა მთავარი მწვრთნელი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა გასახდელსა და პოლიციელებს შორის, არიქათ, გვიშველეთ, გულშემატკივრები ჩემს ბიჭებს ეშუქრებიანო. აჭარბებდა ნამდვილად. ჩვენთან საუბარი კი მეორე მწვრთნელმა, იოსიფ სიმეოფორიდისმა ინება: — ჩვენს გუნდს ყველა თამაშის მოგება შეუძლია. ბალკანეთის თასი აგვიღია, ხმელთაშუა ზღვის ორი ტურნირი წაუგებლად ჩაგვიტარებია. მოკლედ, დღევანდელი შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია. თქვენც არ გყავთ ურიგო გუნდი და ასეთ თამაშშიც ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. მთელმა გუნდმა ჯარად ჩაატარა შეხვედრა, მაგრამ ჩემებიდან მაინც ანტონენასს და ვენეტისს გამოვარჩევდი. მათ მაღალ დონეზე ითამაშეს.

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული ბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, საფიშტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

თბილისი
„შევარდენი“
25 ნოემბერი

მორკინალი 2:1 დინამო

მორკინალი: გვარამაძე, ამბიძე, კვლიშვილი, ი. ვაშაიძე, ხ. არჩვაძე, ლაპიაშვილი, ნადირაძე, დვალიშვილი, პეტრიაშვილი, ჭუმბურიძე, ლ. ალავიძე (გუგუშვილი 89)

დინამო: ჯანელიძე, კალაძე, ჯულაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, გელაძე (ალექსიძე 74), ჩხაიძე, ჯ. გოგიჩაიშვილი, მუჯირი (გოგობერიშვილი 66), ხომერიკი

0:1 ხომერიკი (13), 1:1 ალავიძე (80), 2:1 პეტრიაშვილი (89)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

კოკა ინასარიძე

ამ გუნდებს შორის მეოთხედფინალისტის ვინაობა პირველივე მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი. ძნელი დასაჯერებელი იყო, „დინამოს“ სამპურთიანი სხვაობა დაეთმო, შეხვედრასაც ფორმალური ხასიათიღა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მასპინძლებმა ვერც გუშინწინ მოუყარეს თავი ოპტიმალურ შემადგენლობას: გოგოლაძე, მაისურაძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე და ძირითადის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი სხვადასხვა მიზეზის გამო ტრიბუნიდან გულშემატკივრობდნენ. თავისიანებს. „დინამომ“ კი პირიქით, საბრძოლო შემადგენლობით დაიწყო და დაასრულა მატჩი. მას მხოლოდ ერთი — სიცხიანი დავით ყიფიანი აკლდა. ნოდარ აკობიას ხელმძღვანელობით სტუმრები პირველ ტაიმში ისე დომინირებდნენ მთელ მოედანზე, იმდენად აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, ოდნავ რომ გამართლებოდათ, მინიმუმ ხუთჯერ იხეირებდნენ. „მორკინალს“ ცენტრის ხაზის გადაკვეთაც უჭირდა, დინამოელთა პრესინგს ვერაფერი მოუხერხა, მხოლოდ ერთხელ იყო, ჭუმბურიძემ გონივრულად რომ ჩამოიშორა ორი მეტოქე და კარში დაარტყა, თუმცა, მეტად უზუსტოდ. ეს იყო და ეს, ხეირიანი მასპინძლებს არაგული ჩაუქნიათ, სტუმრებს ვინც ნახა, ერთხმად ამბობდნენ, ასეთ ფორმაში ყველა ოთხი წლის წინ ვიყავითო. ალბათ, ასეა, ოთხი წლის წინ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ნამდვილად ასეთ ფორმაში იყვნენ.

ვახტანგ ბზიკაძე

ამ წყვილში გამარჯვებული ფაქტობრივად პირველ მატჩშივე გამოვლინდა — ზღვისპირეთში 3:0 მოგებით „ბათუმა“ ისედაც ნათელ საკითხს მეტი სიცხადე შესძინა. გასაკვირი აღარც ის იქნებოდა, თუ „ბათუმი“ სტუმრადაც არაფერს დაუთმობდა „მერანს“. ასეც მოხდა. ოღონდ ამჯერად სტუმრებს მოსაგები. გიეის დარტყმული მეკარემ გაჭრევებით მოიგერია კუთხურზე. მეორედ კუთხურიდან ჩაწოდებული ისევ კვარაცხელიამ გაგზავნა თავით კარის მიმართულებით. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. ამის შემხედვარე სტუმართა მეკარემ პირველი გადაირწყრა. ეს 82-ე წუთზე მოხდა. ალბათ, ჩვენი ბოლო გაბრძოლება რომ იყო, გრძნობდა.

ბიჭები ვა-ბანკზე წავიდნენ და ზურგი მოიშიშვლეს. კინაღამ გოლი გავუშვით. რა აზრი ჰქონდა, რაღა ფრუ და რაღა წაგება, ჩვენთვის სულ ერთი იყო. მაცანგოსმა ჩვენი დაცვა გაარღვია და ბურთი კარის წინ ეულად დარჩენილი მაუტიადისი მოძებნა. მას ბათიაშვილმა აჯობა.

ბოლო წუთები, ბოლო სტიქიური შეტევები, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდება. ქართველებისადმი კეთილად განწყობილი ნორვეგიელი მსაჯის საფინალო სასტვენს სტუმართა მოედანზე შეცვენა და ცეკვა მოჰყვა. ბერძნებმა ერთი „სირტაკი“ არ იცეკვეს, თორემ სიხარული ყველანაირად გამოხატეს. მომეჩვენა, ზოგიერთი მათგანი დაგვცინოდა კიდეც. და ჩვენ ეს დაცინვა უნდა გვეთმინა, ბოღმა გულში ჩაგვეკლა და წყენა-აღშფოთება მხოლოდ გინებით გამოგვეხატა. აბა, თამაშით სტუმრებს ვერა დავაკელით და ხომ არ დავხოცავდით. უნდა მოვითმინოთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია, მაგრამ აღრინდელი კითხვა მაინც არ გვასვენებს — როდემდე?

მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაც **ვახტანგ კოპალეიშვილს** დანა პირს არ უხსნიდა: — დღესაც ბერძნებმა გვაჯობეს. ბიჭებმა ფსიქოლოგიურ ზეწოლას თავი ვერ დააღწიეს და ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. შედეგი ლოგიკური გახლავთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია. იყო მიზეზები, რის გამოც სრულყოფილად ვერ ვითამაშეთ, თანაც ახალაძე და ჯაკობია გვაკლდნენ. ეს კი ჩვენი გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოდგა.

სტუმართა მთავარი მწვრთნელი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა გასახდელსა და პოლიციელებს შორის, არიქათ, გვიშველეთ, გულშემატკივრები ჩემს ბიჭებს ეშუქრებიანო. აჭარბებდა ნამდვილად. ჩვენთან საუბარი კი მეორე მწვრთნელმა, იოსიფ სიმეოფორიდისმა ინება: — ჩვენს გუნდს ყველა თამაშის მოგება შეუძლია. ბალკანეთის თასი აგვიღია, ხმელთაშუა ზღვის ორი ტურნირი წაუგებლად ჩაგვიტარებია. მოკლედ, დღევანდელი შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია. თქვენც არ გყავთ ურიგო გუნდი და ასეთ თამაშშიც ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. მთელმა გუნდმა ჯარად ჩაატარა შეხვედრა, მაგრამ ჩემებიდან მაინც ანტონენასს და ვენეტისს გამოვარჩევდი. მათ მაღალ დონეზე ითამაშეს.

გაუგებრობა

ფერი შეუქნათ, სტუმართა ყველა ბოგელ მოთენებას ვერ ერ ეცალეთ ერთი სიტყვაც, მაგრამ ამდენ შანსს გამოუყენებლობამ, ცოტა არ იყოს, ყველაფერი დაჩრდილა. მარტო ხომერიკი გვარამაძესთან სამჯერ აღმოჩნდა ცხვირწინ, თანაც ორმეტრიან რადიუსში, სადაც კაციშვილი არ უშლიდა ხელს, მან კი ხან აიცილა, ხან „კოშკას“ დაუმზნა, ერთხელაც ძელს გაარტყა. შემდეგ მუჯირის ორი მომენტი იყო, მეკარემ სასწაულებრივად რომ აიღო, ჩხაიძე — გოგიჩაიშვილსაც შეეძლოთ გოლის შეგდება, მაგრამ ამაოდ. იღბლიანი მეოთხე ცდა გამოდგა: ცქიტიშვილმა გოგიჩაიშვილს ორმოცმეტრიანი გამოზომილი პასი მიაწოდა, ამან კი უმალ ხომერიკი მოძებნა გვარამაძის პირისპირ და საგოლედ ჩაუწოდა. მატჩი ისე გაგრძელდა, რომ „დინამოს“ დიდი ანგარიშით შოგებას ველოდით, თანაც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე — საქმეს ისეთი პირი უჭირდა, პირველ ტაიმში თუ არა, მეორეში მაინც დალაშქრავდნენ მორკინალთა კარს. სხვაგვარად კი მოხდა. შესვენების შემდეგ „დინამო“ დადინჯდა, ახდა უკვე მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა შეხვედრა. ხომერიკის არ იყოს, პეტრიაშვილსაც გაუცუდდა მომენტები სამ-ოთხჯერ, ჭუმბურიძეც ახლოს იყო მიზანთან. დინამოელები კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, თითქოს ეზარებოდათ გვარამაძის კართან მიახლოება. დაისაჯნენ კიდეც. პირველად არჩვაძის ჩაწოდებულს ალავიძემ შეურჩია სწორად ადგილი და გაათანაბრა ანგარიში, მეორედ კი პეტრიაშვილის მეტად ტექნიკურმა შესრულებულმა დაწინაურა „მორკინალი“. იქვე მასპინძლებმა მესამეც შეაგდეს, როცა გუგუშვილის დარტყმულს „პეტროვ“ მიმართულება შეუცვალა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც თამაშგარე დააფიქსირა...

წლევანდელი სამი მატჩიდან ორში მოგება არ ელირსა „დინამოს“, ეტყობა, მისი თამაში დაიზეპირეს. ვნახოთ, რა იქნება საგაზაფხულო დერბიში.

ბაღრატ ქათილაშვილის ფოტო

კანტიძე არაფერს თაკილობდა, ინიაშვილის მეურვეობასაც კი

თბილისი
„ხინათლე“
25 ნოემბერი

მერანი 1:2 ბათუმი

მერანი: გვენცაძე (ნაჭყებია 46), დანელია, გოგიტაძე, სიდამონიძე (ბერაია 46), კაკუბავა (ქინჭარაული 46), ჯიშკარიანი, ინაშვილი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე, დ. გოდერძიშვილი, დავითაშვილი

ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, შანიძე, ლღონტი, ჩუხუა (დობორჯგინიძე 45), კანტიძე

0:1 კანტიძე (18), 0:2 შეყილაძე (23), 1:2 გოდერძიშვილი (75)

გაფრთხილება: ნაჭყებია

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ვახტანგ ბზიკაძე

ამ წყვილში გამარჯვებული ფაქტობრივად პირველ მატჩშივე გამოვლინდა — ზღვისპირეთში 3:0 მოგებით „ბათუმა“ ისედაც ნათელ საკითხს მეტი სიცხადე შესძინა. გასაკვირი აღარც ის იქნებოდა, თუ „ბათუმი“ სტუმრადაც არაფერს დაუთმობდა „მერანს“. ასეც მოხდა. ოღონდ ამჯერად სტუმრებს მოსაგები. გიეის დარტყმული მეკარემ გაჭრევებით მოიგერია კუთხურზე. მეორედ კუთხურიდან ჩაწოდებული ისევ კვარაცხელიამ გაგზავნა თავით კარის მიმართულებით. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. ამის შემხედვარე სტუმართა მეკარემ პირველი გადაირწყრა. ეს 82-ე წუთზე მოხდა. ალბათ, ჩვენი ბოლო გაბრძოლება რომ იყო, გრძნობდა.

ბიჭები ვა-ბანკზე წავიდნენ და ზურგი მოიშიშვლეს. კინაღამ გოლი გავუშვით. რა აზრი ჰქონდა, რაღა ფრუ და რაღა წაგება, ჩვენთვის სულ ერთი იყო. მაცანგოსმა ჩვენი დაცვა გაარღვია და ბურთი კარის წინ ეულად დარჩენილი მაუტიადისი მოძებნა. მას ბათიაშვილმა აჯობა.

ბოლო წუთები, ბოლო სტიქიური შეტევები, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდება. ქართველებისადმი კეთილად განწყობილი ნორვეგიელი მსაჯის საფინალო სასტვენს სტუმართა მოედანზე შეცვენა და ცეკვა მოჰყვა. ბერძნებმა ერთი „სირტაკი“ არ იცეკვეს, თორემ სიხარული ყველანაირად გამოხატეს. მომეჩვენა, ზოგიერთი მათგანი დაგვცინოდა კიდეც. და ჩვენ ეს დაცინვა უნდა გვეთმინა, ბოღმა გულში ჩაგვეკლა და წყენა-აღშფოთება მხოლოდ გინებით გამოგვეხატა. აბა, თამაშით სტუმრებს ვერა დავაკელით და ხომ არ დავხოცავდით. უნდა მოვითმინოთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია, მაგრამ აღრინდელი კითხვა მაინც არ გვასვენებს — როდემდე?

მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაც **ვახტანგ კოპალეიშვილს** დანა პირს არ უხსნიდა: — დღესაც ბერძნებმა გვაჯობეს. ბიჭებმა ფსიქოლოგიურ ზეწოლას თავი ვერ დააღწიეს და ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. შედეგი ლოგიკური გახლავთ, ყველაფერი ჩვენი ბრალია. იყო მიზეზები, რის გამოც სრულყოფილად ვერ ვითამაშეთ, თანაც ახალაძე და ჯაკობია გვაკლდნენ. ეს კი ჩვენი გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოდგა.

სტუმართა მთავარი მწვრთნელი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა გასახდელსა და პოლიციელებს შორის, არიქათ, გვიშველეთ, გულშემატკივრები ჩემს ბიჭებს ეშუქრებიანო. აჭარბებდა ნამდვილად. ჩვენთან საუბარი კი მეორე მწვრთნელმა, იოსიფ სიმეოფორიდისმა ინება: — ჩვენს გუნდს ყველა თამაშის მოგება შეუძლია. ბალკანეთის თასი აგვიღია, ხმელთაშუა ზღვის ორი ტურნირი წაუგებლად ჩაგვიტარებია. მოკლედ, დღევანდელი შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია. თქვენც არ გყავთ ურიგო გუნდი და ასეთ თამაშშიც ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. მთელმა გუნდმა ჯარად ჩაატარა შეხვედრა, მაგრამ ჩემებიდან მაინც ანტონენასს და ვენეტისს გამოვარჩევდი. მათ მაღალ დონეზე ითამაშეს.

სალაღობო

გებად დიდი ჯაფაც არ დადგომიათ.

პირველ ტაიმს ბათუმელები მეტი სერიოზულობით მოეკიდნენ და აკი ორჯერაც იხეირეს. ჯერ ალექსანდრე კანტიძემ შორეული ეშხიანი დარტყმით ვეფხია გვენცაძის კარის მარცხენა ცხრიანი და მაყურებელთა გულები მოინადირა. მერე საჯარიმოდან შეყილაძემ ივარგა და იმავე კუთხეში შორიდანვე ჩაჭედა გოლი.

ის, რაც მეორე ტაიმში მოხდა, ბათუმელ ფორვარდ ჩუხუას საქციელიდან უკვე პირველი ტაიმის ბოლოსაც იგრძნობოდა. იგი მაინცდამაინც მაკრატელათი, მაინცდამაინც ლამაზად ცდილობდა გოლის გატანას, თუმცა არაფერი გამოუვიდა.

მეორე ნახევარი ორივე გუნდმა სწერთნელად გამოიყენა. „მერანმა“ ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელითურთ განაახლა თამაში. „ბათუმმაც“ ჩუხუა ახალგაზრდა დობორჯგინიძით შეცვალა.

„ბათუმი“ ხალისობდა, „მერანი“ — არა, მიტომაც მიწურულს ერთხელ იხეირა.

საქართველოს თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

საქართველოს თასის რვავე გათამაშების მანძილზე ასეთი რამ პირველად მოხდა: მეოთხედფინალში ორი ქვედაჯგუფელი გავიდა. „ჯუბამ“ „ოდიშთან“ მოპოვებული ორბურთიანი ფორა არ გაფლანგა, ხობის „კოლხეთმა“ კი პირიქით, „გურიასთან“ ორბურთიანივე სხვაობა ამოქაჩა. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა კი „სამგურალთან“ ოთხი წლის წინანდელი მარცხის შემდეგ პირველად წააგო.

ლოკომოტივი — თბუ 3:3, 0:1
მაღაროელი — სიონი 2:0, 1:2
მორკინალი — დინამო 2:1, 0:3
აკადემია — კოლხეთი (ფ) 1:1, 1:3
ოდიში — ჯუბა 4:3, 0:2
ტორპედო — დილა 0:0, 1:3
კოლხეთი (ხ) — გურია 2:0, 1:3
შერანი — ბათუმი 2:1, 0:3

ქუთაისი
„ავტო კლასი“
25 ნოემბერი

ტორპედო 0:0 დილა

ტორპედო: ასლანაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე (კ. მეტრეველი 71), შენგელაძე, მაღლაკელიძე, შ. ხუციძე, კ. კვატენაძე, ჯ.ნინოშვილი (ვაჩიბერაძე 46), ჩხეტიანი, მეგრელაძე, იონანიძე
დილა: მდივანი, ბალაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ჩიტაია, მარგიანაშვილი, ციცქიშვილი (რ. ხაჭაპურიძე 86), მარღიშვილი (წკრიალაშვილი 80), ტაბატაძე, შატაკიშვილი (აკოფიანი 87)
გაფრთხილებები: ჩიტაია, შატაკიშვილი
მსაჯი: ხ. კახიანი (თბილისი)

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

სეზონის წინ „ტორპედოს“ თავკაცები გუნდის ქომაგებს დიდი ამბით რასაც ჰპირდებოდნენ, კარგად გვახსოვს: ჩემპიონატში პირველ სამეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ და თასის ფინალში თამაშსაც შევეცდებითო. ამ დაპირებებიდან ბევრი არა, ოთხი თვე გავიდა და... საქმეს ნამეტანი ცუდი პირი უჭირს. „ტორპედო“ ვერცერთ ფრონტზე ვერ ხეირობს. ჩემპიონატში აგერ უკვე პირველი წრე მიილია, მათ კი ზეგ „მეტალურგთან“ გამოტოვებული შეხვედრაც რომ მოიგონ, სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე წინ მაინც ვერ წაიწევენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. რაც არ უნდა იყოს, ქუთაისელებს გაზაფხულზე მდგომარეობის გამოსწორების იმედი მაინც რჩებათ, აი, თასისთვის ბრძოლას რაც შეეხება...

ტორპედოელებს გორში 1:3 ჰქონდათ წაგებული და მეოთხედფინალში გასასვლელად საპასუხო მატჩში ან საკუთარ კარში გოლის მიუღებლად ორბურთიანი სხვაობით უნდა მოეგოთ, ანაც დიდი ანგარიშით დაემარცხებინათ „დილა“. მოკლედ, მასპინძლები კონკრეტული ამოცანის წინაშე იდგნენ და მათი მეტოქეც იმ რანგისა არ იყო, რომ ეს ამოცანა დაუძლეველი დარჩენილიყო. მაპატიონ გორელებმა, მაგრამ პოტენციურად „ტორპედო“ რომ „დილაზე“ ძლიერია, თქმაც არ უნდა, მაგრამ თუ სიძლიერეს ვერ დაამტკიცებ, რა ფასი აქვს.

ამ მატჩში ტორპედოელთა უპირატესობა ოდნავადაც არ იწვევდა ეჭვს. ლამის 90 წუთი მასპინძლებმა სტუმართა ნახევარზე გაატარეს, მაგრამ ვერა და ვერ მოუძებნეს „გასაღები გორელთა ჯრუ დაცვას. ამის მთავარი მიზეზი კი, ალბათ, მაინც „ტორპედოს“ წინაზაზელთა უსუსური, აზრს და ლოგიკას მოკლებული თამაში (თუ ამას თამაში ერქვა) გახლდათ. ამ მხრივ მათ ბევრად არც ნახევარმცველები ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ესენი ასე თუ ისე თავიანთ გასაკეთებელს მაინც აკეთებდნენ, ბურთი მეტოქის საჯარიმოდე მიჰქონდათ, მერე იყო, რომ გაგრძელებას ვერ პოულობდნენ და ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდათ. სხვა საქმე რომ არ ჰქონდათ, იერიშზე ქუთაისელთა მცველებიც ხშირად მიდიოდნენ, მაგრამ მათი მოქმედებაც წყლის ნაყვას წააგავდა. ყოველი წინ გაჭრა „დილას“ საჯარიმოში მაღალი ბურთის ჩაწოდებით მთავრდებოდა. მეორე სართულზე კი გორელები მარჯვეობდნენ, ხვიჩა გაგნიძე და მისი პარტნიორები, როგორც წესი, იოლად იგერიებდნენ.

მთელი თამაშის განმავლობაში მასპინძლებმა საგოლე მომენტი მხოლოდ ორჯერ შექმნეს და ორივე მეორე ტაიმის დასაწყისში. 47-ე წუთზე შეყრილობის კუთხურიდან ჩაწოდებულზე ხვადაგიანი გავიდა კარგად, თუმცა, მეკარის ბაქნის წინა ხაზიდან თაური გაუცუდდა. ხუთ წუთში იონანიძემ 18-20 მეტრიდან ერთადერთხელ დაარტყა ზუსტად, მაგრამ მდივანი ძელთან, დაბალ კუთხეში მისწვდა ბურთს და კუთხურზე მოიგერია. ეს იყო და ეს.

რაღა გავაგრძელო, ნათქვამია, ხერხი სჯობია ღონესაო, სტუმრებმა მასპინძლებს სწორედ რომ ჭკუით აჯობეს და თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება ალალად მოიპოვეს.

მამუკა კვანტალიანი

გუშინწინ დიდუბეში მეორე ჯგუფელი პირველ ჯგუფელს ეჭიდავებოდა. ცდილობდა, კარგად ეთამაშა, თავს არ ზოგავდა, ფოთში გაფლანგული ორბურთიანი დეფიციტი რომ ამოევსო, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან თავს ზემოთ ძალა არ იყო.

როცა ისეთ გამოცდილ გუნდს ეთამაშები, როგორიც „კოლხეთია“, შეცდომის უფლება არ გაქვს. 90 წუთის მანძილზე შექმნილი სამი-ოთხი სახიფათო მომენტი გოლად უნდა აქციო და დაცვაშიც ზედმეტი ყურადღება გამოიჩინო. ეს ვერ მოახერხა პოლიციელთა „აკადემიამ“ და გუშინწინდელი ფრეც მიღწევად ჩაეთვალა.

მატჩი ახალი დაწყებული გახლდათ, როცა ღაღანიძემ თავიდანვე აკოჭლებული წივწივაძე გარღვევაზე გაიყვანა. ჰამლეტმა თავდასხმაში უფროსი, გამოცდილი პარტნიორი მოძებნა და კარის წინ ეულად დატოვა. ბუნებრივია, „ტურამ“ მასპინძლებს უყურადღებობა არ აპატია. დარტყმული უნაკლო გამოდგა. ამის შემდეგ ხომ ცხადზე ცხადი იყო – „კატემაც“ ოთხი გოლის გამტანი არ გაბლდათ. თავი არც ფოთელებს მოუკლავთ, უბრალოდ, საკუთარი კარის მისადგომები გაამაგრეს და პირველი ნახევარიც უაზრო ბურთაობაში გაილია.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან მასპინძლებს გამოცოცხლება დაეტყოთ. შეტევაშიც დიდი ძალებით ჩაერთნენ, მაგრამ სანამ მეტოქის კართან რამე სახეიროს შექმნიდნენ, კინაღამ მეორე გოლიც მიიღეს. მიქაბერიძემ მასპინძელთა დაცვა ერთი პასით დაშალა და ამაშუკელი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ბესოს კი მეკარემ აჯობა.

„აკადემიამ“ თუ რამე სახეირო შექმნა, თავის მარცხენა ნახევარმცველ კოჩაძეს უმადლოდეს. „ბობიჩა“, მართალია, ბევრს არა, მაგრამ აზრიანად მოძრაობდა. მისი გარღვევა საჯარიმოში კარგი პასით დამთავრდა, კაკაშვილმა კი კარში დარტყმის ნაცვლად კიდევ ერთი გადაცემა გააკეთა. მეტრეველის საბოლოო დარტყმული გვასალამ აიღო.

მომენტები მასპინძლებმა კიდევ შექმნეს. ამათგან ჭანკოტაძის ჯარიმიდან დარტყმული გამოირჩეოდა, მაგრამ მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა. ჯუღელი და კაკაშვილი ყველაფერში წუთით აგვიანებდნენ და სტუმარ მცველებს მათი განეიტრალება არ უჭირდათ.

ბოლოს ისევ კოჩაძემ ივარგა. მაზანაშვილის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა გვასალიას ეშმაკური დარტყმით გაუტანა. „აკადემიამ“ ძლიერ მოინდომა, მაგრამ აბა, სამ წუთში რას მოასწრებდა. გამოცდილება, კლასი და უკეთესი მომზადება ბევრს ნიშნავს. ამის ხარჯზე ფოთელებმა ისე. მოიგეს, ხეირიანად არც გაუფლისთან.

კლასი დრო გაიმარჯვებს

ქუთაისი
„ავტო კლასი“
25 ნოემბერი

აკადემია 1:1 კოლხეთი ფოთი

აკადემია: ჩაჩიბაია, კ. ჩადუნელი, ჭანკოტაძე, მ. ვაშაკიძე (გ. მეტრეველი 46), კვრციანი, დ. ბახტაძე, კოჩაძე, კ. გოდერძიშვილი, ჯუღელი, კაკაშვილი, მ. ალავიძე (ა. მაზანაშვილი 46)
კოლხეთი: მ. გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ღაღანიძე (დ. მახარაძე 64), ამაშუკელი, ტორჩინავა, ქუთათელია, წივწივაძე (პაპავა 75), ქუტიძე
0:1 მიქაბერიძე (16), 1:1 კოჩაძე (87)
გაფრთხილებები: ჭანკოტაძე, ტორჩინავა, ჯუღელი
მსაჯი: ღ. ფანიაშვილი (თბილისი)

მამუკა კვანტალიანი

გუშინწინ დიდუბეში მეორე ჯგუფელი პირველ ჯგუფელს ეჭიდავებოდა. ცდილობდა, კარგად ეთამაშა, თავს არ ზოგავდა, ფოთში გაფლანგული ორბურთიანი დეფიციტი რომ ამოევსო, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან თავს ზემოთ ძალა არ იყო.

როცა ისეთ გამოცდილ გუნდს ეთამაშები, როგორიც „კოლხეთია“, შეცდომის უფლება არ გაქვს. 90 წუთის მანძილზე შექმნილი სამი-ოთხი სახიფათო მომენტი გოლად უნდა აქციო და დაცვაშიც ზედმეტი ყურადღება გამოიჩინო. ეს ვერ მოახერხა პოლიციელთა „აკადემიამ“ და გუშინწინდელი ფრეც მიღწევად ჩაეთვალა.

მატჩი ახალი დაწყებული გახლდათ, როცა ღაღანიძემ თავიდანვე აკოჭლებული წივწივაძე გარღვევაზე გაიყვანა. ჰამლეტმა თავდასხმაში უფროსი, გამოცდილი პარტნიორი მოძებნა და კარის წინ ეულად დატოვა. ბუნებრივია, „ტურამ“ მასპინძლებს უყურადღებობა არ აპატია. დარტყმული უნაკლო გამოდგა. ამის შემდეგ ხომ ცხადზე ცხადი იყო – „კატემაც“ ოთხი გოლის გამტანი არ გაბლდათ. თავი არც ფოთელებს მოუკლავთ, უბრალოდ, საკუთარი კარის მისადგომები გაამაგრეს და პირველი ნახევარიც უაზრო ბურთაობაში გაილია.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან მასპინძლებს გამოცოცხლება დაეტყოთ. შეტევაშიც დიდი ძალებით ჩაერთნენ, მაგრამ სანამ მეტოქის კართან რამე სახეიროს შექმნიდნენ, კინაღამ მეორე გოლიც მიიღეს. მიქაბერიძემ მასპინძელთა დაცვა ერთი პასით დაშალა და ამაშუკელი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ბესოს კი მეკარემ აჯობა.

„აკადემიამ“ თუ რამე სახეირო შექმნა, თავის მარცხენა ნახევარმცველ კოჩაძეს უმადლოდეს. „ბობიჩა“, მართალია, ბევრს არა, მაგრამ აზრიანად მოძრაობდა. მისი გარღვევა საჯარიმოში კარგი პასით დამთავრდა, კაკაშვილმა კი კარში დარტყმის ნაცვლად კიდევ ერთი გადაცემა გააკეთა. მეტრეველის საბოლოო დარტყმული გვასალიამ აიღო.

მომენტები მასპინძლებმა კიდევ შექმნეს. ამათგან ჭანკოტაძის ჯარიმიდან დარტყმული გამოირჩეოდა, მაგრამ მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა. ჯუღელი და კაკაშვილი ყველაფერში წუთით აგვიანებდნენ და სტუმარ მცველებს მათი განეიტრალება არ უჭირდათ.

ბოლოს ისევ კოჩაძემ ივარგა. მაზანაშვილის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა გვასალიას ეშმაკური დარტყმით გაუტანა. „აკადემიამ“ ძლიერ მოინდომა, მაგრამ აბა, სამ წუთში რას მოასწრებდა. გამოცდილება, კლასი და უკეთესი მომზადება ბევრს ნიშნავს. ამის ხარჯზე ფოთელებმა ისე. მოიგეს, ხეირიანად არც გაუფლისთან.

ჭყავძე ასიაო

ფიათურა
„მაღაროელი“
25 ნოემბერი

მაღაროელი 2:0 სიონი

მაღაროელი: გვენცაძე, კიპაროიძე, იობაშვილი, ასანიძე, მ. გაბრიჭიძე, ტეფნაძე, შეყლაშვილი, ბუნიშვილი, საშხარაძე (მენაბდიშვილი 46), კავთელაძე, მწყერაშვილი (ლილაძე 70)
სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე (ჯაგიდისი 63), ყავლაშვილი, ყიფშიძე, წიკლაური (მოსულიშვილი 46), ტრაპაიძე, ხოსროშვილი, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ისიანი, ტარტარაშვილი
გაფრთხილებები: გაბრიჭიძე, შაკიაშვილი
გაძევება: 1:0 შეყლაშვილი (12), 2:0 იობაშვილი (61)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

გენო ჯანგავაძე ფიათურიდან

ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურში „ოდიშის“ სენსაციურად, დიდი ანგარიშით მძლეველი ბოლნისის „სიონი“ ჭიათურაში თასის გათამაშების საპასუხო მატჩში რამეს დათმობდა, მაგრამ დათმო, რადგან მათ ამ თამაშში გუნდის უდავო ლიდერი ბუბა ტყავაძე აკლდა. მის გარეშე კი სტუმართა გუნდის ყველა რგოლს შორის კავშირი მოშლილი იყო.

თამაშის პირველი ნახევარი საკმაოდ ულიმღამოდ, ყოველგვარ ენის მოკლებულ ორთაბრძოლაში მიილია. ერთადერთი გოლი, მე-12 წუთზე მასპინძელთა საკმაოდ აქტიურმა გარემარბმა შეყლაშვილმა გაიტანა, რომელმაც იმ დღეს უსუსურად მოქმედ ბოლნისელ მცველთა შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი მისგან შორეულ კუთხეში მოათავსა. ჭიათურელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა, მათმა მახვილგონიერულმა გადაცემებმა, შეტევის მიმართულების ხშირმა და ეფექტურმა ცვლამ ბოლნისელთა გუნდის დაცვას საკმაო თავსატეხი გაუჩინა. იქნებ სწორედ ამიტომაც ისინი თავიანთ თავს ბედს ანებეს და თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება ალალად მოიპოვეს.

ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან

ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურში „ოდიშის“ სენსაციურად, დიდი ანგარიშით მძლეველი ბოლნისის „სიონი“ ჭიათურაში თასის გათამაშების საპასუხო მატჩში რამეს დათმობდა, მაგრამ დათმო, რადგან მათ ამ თამაშში გუნდის უდავო ლიდერი ბუბა ტყავაძე აკლდა. მის გარეშე კი სტუმართა გუნდის ყველა რგოლს შორის კავშირი მოშლილი იყო.

თამაშის პირველი ნახევარი საკმაოდ ულიმღამოდ, ყოველგვარ ენის მოკლებულ ორთაბრძოლაში მიილია. ერთადერთი გოლი, მე-12 წუთზე მასპინძელთა საკმაოდ აქტიურმა გარემარბმა შეყლაშვილმა გაიტანა, რომელმაც იმ დღეს უსუსურად მოქმედ ბოლნისელ მცველთა შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი მისგან შორეულ კუთხეში მოათავსა. ჭიათურელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა, მათმა მახვილგონიერულმა გადაცემებმა, შეტევის მიმართულების ხშირმა და ეფექტურმა ცვლამ ბოლნისელთა გუნდის დაცვას საკმაო თავსატეხი გაუჩინა. იქნებ სწორედ ამიტომაც ისინი თავიანთ თავს ბედს ანებეს და თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება ალალად მოიპოვეს.

ბრანსფერზე – კეპარტებად

ეტყობა, ეტყობა კი არა, ნამდვილად ასეა, საფეხბურთო კლუბ „სამგურალის“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა გუნდის მიერ ჩემპიონატის პირველ წრეში ნაჩვენები შედეგით. გემახსოვრებათ, რომ ჯერ გასვლაზე „მერანს“ სძლიეს და მერე შინ თსუ-ს აგემეს პირველი მარცხი. წინა წლებთან შედარებით „სამგურალი“ ბევრად უკეთეს ყოფაშია და გასაკვირიც არ არის, თუ მისგან თამაშსაც შესაბამისს ითხოვენ. მეცხრე ჩემპიონატში გუნდს პროგრამა-მინიმუმად ათეულში მოხვედრა აქვს დასახული და, ერთი შეხედვით, ამ ამოცანის გადაჭრა არც უნდა უჭირდეს, მაგრამ...

კლუბის პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძის აზრით, გუნდის ჩავარდნა მეტწილად ცალკეულ ფეხბურთელთა საქმისადმი არაპროფესიული მიდგომით არის გამოწვეული და ამის გათვალისწინებით 24 ნოემბერს მკაცრ ზომებსაც მიმართა. ქათამაძის ბრძანებით, „სამგურალის“ რამდენიმე ფეხბურთელს უარი ეთქვა გუნდში თამაშის გაგრძელებაზე. ესენი არიან: მეკარეები — თემურ ნიშნიანიძე და მამუკა თევზაძე, მცველი გივი ჯანელიძე და წინახაზელი კახა ჯანაშია. ოთხივე ტრანსფერზეა წარდგენილი. ბრძანება გუშინწინ გაეცნო კლუბის საერთო კრებას, რომელიც კინოსაკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ გაიმართა.

იუზა კაციტაძე

კანტიძე არაფერს თაკილობდა, ინიაშვილის მეურვეობასაც კი

აბა, გოლი ის იყოო

ნახევრის დასაწყისში უფრო გააქტიურდა თსუ, ცალკე ამათმა გულშემატკივრებმა ატეხეს ჟრიამული და „ლოკომოტივიც“ ბედს შეეგუა. რუსიას მეორე გოლის შემდეგ კი ყველა ეჭვი გაქარწყლდა. ამის მერე თამაში გაიხსნა და ბოლო წუთები მეტად ხვავიანი გამოდგა. მათგან ერთი, კოტორაშვილის გატანით, ნებისმიერ შეხვედრას დაამშვენებდა, იგი თვით მარადონას გოლს გაუწევდა მეტოქეობას, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბელგიელთა კარში რომ გავიდა: კოტორაშვილმა საჯარიმოს ხაზთან ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილა ექვსი მეტოქე, რომლებიც გასაქანს არ აძლევდნენ და დოლიძე სახტად დატოვა. „ლოკომოტივს“ ერთადერთ ნუგეშად მისი გოლი დარჩა, თსუ-ს კი საერთო ჯამში დამსახურებული გამარჯვება.

720 წუთიდან 25

UEFA CUP

უეფას თასის მერვედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

„ამსტერდამ არენაზე“, შესვენებამდე საუცარი 25 წუთი გაილია. 25 წუთი, რომელმაც ექვსი გოლი მოიტანა, 25 წუთი, რომელმაც იმედი შვა, აღაზევა და ჩაკლა, 25 წუთი, რომელმაც შეაფიქრიანა, ცეცხლი შეუნთო და ძალა გამოაცლინინა, 25 წუთი, რომელშიც საქართველოს ნაკრების ფორვარდმა შოთა არველაძემ გოლით მიიღო მონაწილეობა.

ეს 25 წუთიანი მონაკვეთი მე-20 წუთზე დაიწყო და 45-ზე დასრულდა. ამ 25 წუთის პირველ ოთხწუთიან ნაწილში სტუმართა გუნდმა ორი გოლი შეაგდო. შემდგომი ათი წუთი უგოლო იყო, ბოლო თერთმეტი წუთი კი „აიაქსს“ ოთხის გასატანად ეყო.

„ბოხუმი“ გერმანიის ბუნდესლიგაში აუტსაიდერია, „აიაქსი“ ჰოლანდიაში — ლიდერი. თამაშის წინ ამსტერდამში თავდასხმას ჩაიდნენ, ფინელი იარი ლიტმანენი ვერ ითამაშებს და შეტევაში სიმწვავე მოვეკლებაო. თურმე დაცვაზე უნდა ეფიქრათ. მასპინძლებმა პირველი გოლი რომ გაუშვეს, თომას რაისმა მარცხენა ფრთაზე გვარიანი სივრცე იგდო ხელთ, მეორე გოლის დროს კი ვალდობს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთისთვის წინააღმდეგობის გარეშე დაარტყმევინეს თავი.

„აიაქსი“, ცხადია, არ გატყდა, მაშ რაღა „აიაქსი“ იქნებოდა. მასპინძლებმა მარწუხები შემოარტყეს გერმანელთა საჯარიმოს და სტუმრებმაც დაცვაში თავისი წილი შეცდომები დაუშვეს. მიქაელ ლაუდრუპის შემოქმედებითი ნიჭი, ტიუხანი ბაბანგიდას სისწრაფე, რონალდ დე ბურის სიღრმისეული პასები და შოთა არველაძის მოუსვენარი მანერა „ბოხუმისთვის“ მეტისმეტი აღმოჩნდა. ლაუდრუპმა პირველი გოლი მორგებული დარტყმით შეაგდო, მეორედ კი ბაბანგიდას ჩაწოდებული „გარდასახა“. შემდეგ, სწრაფად გათამაშებული ჯარიმით შოთამ ვაიკაფა მეტოქის კარისკენ გზა და სასწორი ამსტერდამელთა სასარგებლოდ გადასწონა. ტაიმის ბოლო წამებზე კი გერმანელმა გოლკიპერმა უვე გოსპოდარეკმა სანდი ოლისეს დარტყმული ხელში ვერ შეიმაგრა და რონალდ დე ბურმა მეოთხე გოლი შეაგდო.

კართა შეცვლის შემდეგ გოლი აღარ გასულა. ამაში სხვადასხვა მიზეზის გარდა მასპინძელთა მეკარის, გამოცდილ ერვინ ვან დერ სარის ოსტატობასაც მიუძღვის წვლილი. „აიაქსის“ დაცვამ კი რამდენიმე შეცდომა მაინც დაუშვა.

— თავდან სიფხიზლე მოვაღუნეთ და ამიტომ დავისაჯეთ, მაგრამ მხნეობის შენარჩუნებასა და 12 თუ 14 წუთიანი დიდებული სპექტაკლის მოწყობასაც ხომ შნო სჭირდება. და მაინც, უეფას თასის გათამაშების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი შინ გოლების არგაშვება იყო. ჩვენ ეს ვერ შევძელით, რაც უწინარესად ჩვენივე ბრალია — აღიარა მატჩის შემდეგ ამსტერდამელთა დანიელმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა.

— პირველი გოლის შემდეგ გეგმები აგვერია. ჩემი საუკეთესო ფეხბურთელებისგან მეტს ველოდი. მართალია, სტუმრად გოლი გავიტანეთ, მაგრამ აღარ უნდა გაგვეშვა. ძლიერი გუნდის კარში 12 წუთში ოთხი გოლი არ უნდა გადიოდეს — აღნიშნა „ბოხუმის“ თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა.

— მე გავაკეთე უარესი, რისი გაკეთებაც შემეძლო, არ მახსოვს ვინ გამიტანა, მაგრამ ვინც გინდა იყოს, ჩემთვის მაღლობის გადახდა მართებს — მწარედ დასცინოდა თავს გოსპოდარეკი, მეოთხე გოლის გაშვებისთვის.

ევონებ „აიაქსი“ პირველ შეხვედრაში მოპოვებულ უპირატესობას აღარ დათმობს და მოეთხედფინალში გავა, ჩვენ კი ყოველი შემთხვევისთვის გავიხსენოთ, რომ ამსტერდამელები უეფას თასს ბოლოს 1992 წელს ფლობდნენ.

„აიაქსმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი (სიერი 46), ფ. დე ბური, ოლიხე (რუდი 73), დანი, რ. დე ბური ვიჩხე, ლაუდრუპი (პუქსტრა 69), ბაბანგიდა, არველაძე.

„აიაქსის“ — „ბოხომის“ შეხვედრის 25 წუთიანი მონაკვეთი ალბათ ყველაზე ლამაზი და ამღელებული იყო იმ 720 წუთში, რომელმაც უეფას თასის მერვედფინალის რვა თამაში მოიცვა, თუმცა ჰოლანდიელთა გამარჯვებას მოულოდნელს ვერ ვუწოდებთ. მოულოდნელი იტალიური სერია A-ს ლიდერის, „ინტერის“ მარცხი გახლდათ სტრასბურში.

მილანელებმა გარდა იმისა, რომ თამაში წააგეს, რონალდოც დაჰკარგეს. 70-ე წუთზე ბრაზილიელ ფორვარდს ნიგერიელმა მეურვემ გოდუონ ოკპარამ მუხლი ატკინა და მან მოედანი დასტოვა. იგი კვირას იტალიის ჩემპიონატის თამაშს „ვიჩენცას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, მაგრამ ტრავმა არც ისე საშინელი გამოდგა თავიდან რომ ეგონათ. შემდეგ ტურში, „სამპდორიასთან“ რონალდო მოედანზე იქნება.

„სტრასბურმა“ ოცდამეთორმეტედფინალსა და მეთექვსმეტედფინალში „გლაზგო რეინჯერსი“ და „ლივერპული“ გამოთიშა გათამაშებიდან და ახლა, ეტყობა, ფაეორიტთა რისხვის სახელის საბოლოოდ მოსაპოვებლად გადაწყვიტა, „ინტერსაც“ იგივე შეჰპედრა. გამოუვა რამე თუ არა, ამას ორი კვირის შემდეგი სამშაბათი გვეტყვის, მაგრამ ფაქტი კია, რომ პირველ თამაშში ფრანგებმა თავისი სურვილი რიხიანად განაცხადეს.

მასპინძლებმა ღირსეულად გაიმარჯვეს. მათი თამაში შემტევი და ლამაზი გახლდათ, „ინტერი“ კი პირველ ნახევარში შეცდომებს უშვებდა. ლუიჯი სიმონის მოთამაშეებს ნახევარდაცვაში ღონე და თავდასხმაში სიმწვავე აკლდათ. ეს მით უფრო გასაოცარი იყო, რომ „შავლურჯთა“ წინა ხაზში დამატებითი ფორვარდი, მაურიციო განცი მოქმედებდა.

მილანელებმა შეცდომები მეორე ტაიმში შეღვრებით გამოასწორეს. ზოგადად კი „სტრასბური“ უკეთ ორგანიზებული და უფრო ნაპერწკლიანი სჩანდა. ისე მათაც გაუმართლათ, როდესაც სტუმართა არგენტინელი მოთამაშის დიეგო სიმეონეს გოლი არბიტრმა ოფსაიდად ბული იყო, „ინტერის“ მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ ოლივერ დაკურტის დარტყმული ხარიხას მიღმა თითის წვერებით გადაგდო, ცოტა ხანში კი დავიდ ზიტელის მარჯვენა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ხელი სუსტად გაჰკრა და „სტრასბურის“ თავდამსხმელმა ჟერარ ბატიკლმა ზუსტი დარტყმით ბურთი მის კარის ბადეში შეაგდო.

ანგარიშის გახსნიდან რვა წუთის შემდეგ მასპინძლებმა ჯარიმა მოიპოვეს. ვალერიენ ისმაელმა მიუხედავად სიმორისა პალიუკას იმედი არ დაუტოვა.

„ინტერმა“ ძალთა მოკრება სცადა, მაგრამ მისი ერთადერთი მომენტი, 37-ე წუთზე, რონალდოს შორეული ჯარიმა გამოდგა, რომელიც „სტრასბურის“ მეკარემ ალექსანდრ ვენტკლმა ჩააცხრო. საპირისპირო კართან კი მოგვიანებით ისევ მომენტი შეიქმნა. დაკურტის დარტყმული ჯარიმა სტუმრების კედელში გაძვრა და ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ გარემარბი ფრანჩესკო მორიერო ბრაზილიელი ნახევარმცველის ზე ელიასის ნაცვლად რომ შეევიდა მოედანზე, „ინტერმა“ შედარებით გამოასწორა თამაში. ორი მომენტი განეს ჰქონდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ერთხელაც ვერ მიაღწია მიზანს, მორიერომ კი ძელსაც გაარტყა. მორიერომ ბოლოშიც სცადა ბედი, მაგრამ საჯარიმოს გარედან დარტყმული ვენცელმა აუღო. დიეგო სიმეონეს არჩათვლილი გოლი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გავიდა.

ამ მატჩში „ინტერის“ კაპიტანმა ჯუზეპე ბერგომიმ ევროთასებზე 104-ე თამაში ჩაატარა და გაიმეორა ინგლისელი მეკარის რეი კლემენსის სარეკორდო შედეგი. კლემენსი, შეგახსენებთ, ის კაცია, 1979 წელს „ლივერპულის“ შემადგენლობაში, თბილისში, ცნობილ წვიმიან მატჩში რომ მიიღო მონაწილეობა და სამი გოლი გაუშვა. დღეს რეი კლემენსი თავისი ქვეყნის ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად მუშაობს.

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენს კართან ხიფათი სულ ერთი-ორჯერ თუ შეიქმნა — განაცხადა „სტრასბურის“ მწვრთნელმა ჟაკ დუგუპრომ — ჩემს გუნდს დიდებული მომავალი აქვს. სამწუხარო ისაა, რომ დიდ ნიჭს საფრანგეთის ჩემპიონატში ხშირად ვერ ვაცნობთ ხოლმე.

უეფას თასის მფლობელი გერმანული „შალკე“ პორტუგალიაში „ბრაგასთან“ თამაშობდა. მოედანი, სადაც მეოთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამო“ ოთხი გოლი გაუშვა წვიმისგან ატალახებული გახლდათ. მასპინძლებმა სტუმართა შეფუცხუნება თითქმის ვერ შეძლეს, „შალკეს“ ბელგიელ თავდამსხმელს მარკ ვილმოტსს კი ორჯერ შეეძლო პორტუგალიელთა კარის დალაშქრა, მაგრამ ორივეჯერ მას მოწინააღმდეგის გოლკიპერი, პოლონელი ანჯეი ვოზნიაკი აღუდგა. ეს, უეფას თასის ამ სეზონის ხუთ შეხვედრაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც „შალკემ“ არც მოიგო და ვერც გაიტანა.

ბუნდესლიგის კიდევ ერთ გუნდს, „კარლსრუეს“, მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში მხოლოდ 12 ათასმა გულშემატკივარმა დაუჭირა მხარი. „კარლსრუემ“, რომელიც სამი წლის წინ ამ თასის გათამაშებაში ნახევარფინალისტი გახლდათ, 54-ე წუთზე შეცვალა თავისი ცნობილი თავდამსხმელი, გაგერმანელი ავსტრალიელი შონ დანდი, რომელიც აშკარად ცუდ ფორმაშია. მან ერთ ეპიზოდში, ჩინებულ მდგომარეობაში მიღო ბურთი, მაგრამ მიზანს აააცილა.

დაუღალავმა ნახევარმცველმა თომას ჰესლერმა გრიპიანმა ითამაშა. იგი ყველა ღონეს ხმარობდა ავადმყოფობისა და მოსკოველთა დაცვის დასათრგუნად, მაგრამ ამაოდ. ყოველ შემთხვევაში, ჰესლერმა რუსეთის ჩემპიონის კარს ვერაფერი დააკლო.

„კარლსრუეს“ მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა პრესკონფერენციაზე თავის ფეხბურთელებს ბრალი არაფერში დასდო:

— ცდა არ დაგვაკლია, მაგრამ ნერვიულობამ ხელი მოგვიცარა. სამწუხაროა, თუნდაც ერთი გოლის გატანა რომ ვერ მოვახერხეთ. ჩვენ გვეშინოდა, რომ შეცდომებს დავუშვებდით, ამ შიშმა კი უარესი შეცდომებისკენ გვიბიძგა.

შეფერის გუნდი ბუნდესლიგის დღევანდელ ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა. მაგრამ მაინც შეეძლო რუსთა უძლიერესი კლუბის დამარცხება. იღბალი რომ ჰქონოდათ და მეცხრე წუთზე ჰესლერს ბურთი ძელისთვის არ გაერტყა, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

— ის ერთი რომ კარში შესულიყო, სულ სხვა შედეგი იქნებოდა — დასძინა შეფერმა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ იმავეს თქმა სტუმრებსაც შეეძლოთ, ერთხელ მათაც გაარტყეს ძელს ბურთი. სხვათა შორის „სპარტაკმა“ ბოლო სამი წუთი ათი ფეხბურთელით ითამაშა. მოედნიდან კონსტანტინ გოლოსკოვი გააძევეს.

ბუქარესტში „სტიაუამ“ ინგლისური „ასტონ ვილას“ 2:1 მოუგო და ბირმინგემელთა თავკაცს, რომელსაც იმ დღეს 44 წელი შეუსრულდა, „ვილას“ მწვრთნელად მესამედ დაბრუნება გაუხალისა. რუმინელები ერთი პირობა 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ დუაიტ იორკის მიერ 54-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ვილა პარკის“ ბინადრებს იმედი ჩაუსახა.

იორკს ბუქარესტში სიხარულთან ერთად წყენაც ერგო. მას და მის თანაგუნდელს უგო ეხოგუს სამსამდე ბუქარესტელი ქომაგი რასისტულ შეურაცხყოფას აყენებდა. ეს ორშაბათს, „ვილას“ რუმინეთის დედაქალაქში ჩასვლის დღეს მოხდა, 24 საათის შემდეგ კი ფერადკანიანმა ჯავრი იყარა.

— დუაიტი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მან გასულ წლებში დიდი სამსახური გამიწია, მაგრამ დღეს ყველაზე თვალნათლივ დავეკანაზე, რომ გაჭირვების ტაკვესია — ბრძანა ლიტლმა და დასძინა — უფრო დრამატულ დღეობას ვერც კი წარმოვიდგენდი. ადამიანი ყოველთვის იმახსოვრებს თავისი დაბადების დღის მოვლენებს, მე დღევანდელ ამბებს აღარაფერი დამაკლებს. თითქმის იგივე ხდება, რაც მეთექვსმეტედფინალში ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ იყო (მაშინ „ვილამ“ ესპანეთში 0:0 ითამაშა), 1:0 რომ მოვიგოთ, შემდეგ ეტაპზე გავალთ.

სანამ ასეთი სიხარულის გამომწვევ გოლს გაიტანდა, ბირმინგემის გუნდმა კინაღამ მესამე გაუშვა: კატალინ მუნტეანუმ ხარიხას გაარტყა ბურთი.

ფრანგულმა „ოსერმა“ ჰოლანდიურ „ტვენტეს“ სტუმრად 1:0 მოუგო და ახლა ფაეორიტია. ამ თამაშის ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე ბერნარ დიომედმა შეაგდო. პირველი ტაიმის შემდეგ „ოსერის“ კონტრშეტევები გაცილებით სახიფათო გახდა. სახიფათო ჩხვლეტები ფრანგებმა თანდათან გააზარეს და შედეგსაც მიაღწიეს. იან ლაშემ გონებამახვილური პასით დიომედს ჩინებული მდგომარეობა შეუქმნა და საფრანგეთის ნაკრების გარემარბმაც ოსტატობას ოსტატობა დაახვედრა — ბურთი მეტოქის კარის შორიდან კუთხეში შეაგდო.

გიორგი ქატანეს ვახშმად ლევანესა ჰქონდა, თუმცა სუო ბოლოს. საუკეთესო შესაძლებლობა ანდრე კირჩენეს ვერ გამოიყენა. მისი ხაზარი დარტყმა ლამუშმა კარის ხაზთან ჩაჭრა და ბურთი უკუაგდო.

ავსტრიის დედაქალაქში, „რაპიდს“ იტალიის დედაქალაქის „ლაციოს“ ავკობა.

აიაქსი — ბოხუმი. დანის გოლი არ გაუტანია, მაგრამ იმ 25 წუთიან შოუში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

AP ამსტერდამიდან

ამ შეხვედრაში არბიტრმა ორივე გუნდს თითო ფეხბურთელი გაუძევა მოედნიდან. „რაპიდს“ 57-ე წუთზე გერმანელი ნახევარმცველი ოლივერ ფროინდი მოაკლდა. მან ხელით ითამაშა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ფროინდს ექვსი წუთის შემდეგ მეტოქე გუნდის ფორვარდი რობერტო მანჩინი ჩაუყენეს კვალში. მანჩინიმ „ლაციოს“ მეორე გოლი შეავდო თუ არა, ერთ წუთში კრისტიან ვიერისკი წააქცია და მეორე გაფრთხილება მიიღო.

ანგარიში „ლაციოსა“ და „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელმა პიერლუიჯი კაბრარამ გახსნა. მან დაინახა, რომ მანჩინის დარტყმა „რაპიდის“ გოლკიპერმა რაიმუნდ ჰედლმა მოიგერია და დასამატებლად იჩქარა. მეორე ნახევარში კი, როგორც გითხარით, საკუთრივ მანჩინიმ შეაგდო. ამაში რობერტოს ავსტრიელთა დაცვის შეცდომამ შეუწყო ხელი.

ზაგრების „კროაციას“ კი სუსტად ჩატარებულმა ბოლო წუთებმა გაუწია ცუდი სამსახური. მადრიდის „ატლეტიკომ“ ანგარიში გაუთანაბრა და ახლა შინ ელის ხორვატებს. არადა, დასაწყისი მასპინძელთათვის საოცნებო იყო — ანგარიში მეორე წუთზევე გახსნეს. ხორვატიული გუნდის ბოსნიელმა ფეხბურთელმა ედინ მუინიმა ვლადიმირ პეტროვიჩის პასი მიიღო და 10 მეტრიდან ძლიერად გაგზავნა ბურთი ესპანელთა კარში.

პირველ ტაიმში „კროაცია“ აშკარად სჯობდა მადრიდის გუნდს. ისინი ბურთსაც უკეთ ათამაშებდნენ და მომენტებსაც ჰქმნიდნენ, მაგრამ ვერ გაჰქონდათ. ალბათ უხეირო შედეგი ამასაც უნდა დაბრალონ. ცნობილი ხოსე ლუის კამინერო 61-ე წუთზე შეეიდა მოედანზე ხორდი ლარდინის მაგივრად და მარცხენა ფეხით ისე დაარტყა, რომ მასპინძელთა მეკარეს დრაჟენ ლადიჩს გოლის გაშვება აიძულა. სხვათა შორის ეს გოლი მას მერე გავიდა, რაც პეტროვიჩმა კაპიტნის იგორ ცვეტანოვიჩის დიდებული პასით ვერ ისარგებლა.

ანგარიშის გათანაბრებამ ხორვატებს ხასიათი გაუფუჭა. თამაშს სიმწვავე დააკლდა და „ატლეტიკო“ სერიოზულად აღარაფერს შეუშფოთებია. პირველ ტაიმში კი, როგორც გითხარით, ცალკარა იყო. რობერტ პროსინეჩკი, დანიელ სარიჩი და ცვეტანოვიჩი ხიფათს ხიფათზე ქმნიდნენ. მარტო გოლის ავტორს მუჩინს სამი აშკარა საგოლე მომენტი გაუცუდდა, პროსინეჩკისაც 10 მეტრიდან დარტყმული „ატლეტიკოს“ მეკარემ მოლინამ აუღო.

„ატლეტიკოს“ მხრივ ბრაზილიელი ჟუნინიოს ჯარიმები იყო დასამახსოვრებელი. ერთხელ რობერტოს დარტყმულმა ჩაუფრინა მასპინძელთა ძელს.

პაპუნა ძედია

უეფას თასის მერვედფინალური მატჩები

პირველი მატჩები. 25 ნოემბერი

UEFA CUP

ტვენტე (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი) 0:1
0:1 დიომედი (70)
სტაიუა (რუმინეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 2:1
1:0 ოუჯსი (30ს.კ.), 2:0 ჩიოჩოიუ (32), 2:1 იორკი (54)
კარლსრუე (გერმანია) — სპარტაკი (რუსეთი) 0:0
აიაქსი (ჰოლანდია) — ბოხუმი (გერმანია) 4:2
0:1 რაისი (20), 0:2 ვალდობი (24), 1:2, 2:2 ლაუდრუპი (34, 36), 3:2 ბრველაძე (38), 4:2 ფ. დებური (45)
სტრასბური (საფრანგეთი) — ინტერი (იტალია)
1:0 ბატიკლი (11), 2:0 ისმაელი (19)
კროაცია (ხორვატია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1:1
1:0 მუიჩინი (2), 1:1 კამინერო (61)
რაპიდი (ავსტრია) — ლაციო (იტალია) 0:2
0:1 კაზირაგი (38), 0:2 მანჩინი (62)
ბრაგა (პორტუგალია) — შალკე (გერმანია) 0:0

ბორა მილუტინოვიჩი ყოფილ შეგირდთა გარემოცვაში

ვაცად ძცეული კაცი

ხოსე ლეანოს განცხადებით მილუტინოვიჩი თანამდებობიდან ფარული კენჭისყრით, ეროვნულმა საბჭომ გადააყენა. ეს მას მერე მომხდარა, რაც სერბმა, საბჭოს, ეროვნული გუნდის მიერ შესარჩევ ციკლში გაწეული შრომის თაობაზე მოხსენება წარუდგინა.

მილუტინოვიჩმა მექსიკელთა ნაკრები 1995 წლის ოქტომბერში ხელახლა ჩაიბარა (მექსიკის ნაკრებს 80-იან წლებშიც ხელმძღვანელობდა). მანამდე იგი აშშ-ისა და კოსტა რიკას ეროვნულ, აგრეთვე მექსიკის საკლუბო გუნდებს ედგა სათავეში.

ახლახანს, 2 ნოემბერს, გულშემატკივრებმა მექსიკის ნაკრებს უსტვინეს. მიუხედავად იმისა, რომ მათმა ფეხბურთელებმა საფრანგეთის საგზური მოიპოვეს, აშშ-ის გუნდთან უგოლოდ დამთავრებული შეხვედრა (თან აშშ კატნაკლული თამაშობა) ფრიად უსიამოვნო სანახაო გამოდგა. ამას მოჰ ყვა უსახური მატჩები კოსტა რიკასა და იამაიკასთან.

თანამდებობიდან მოხსნილ შრლუტინოვიჩს ბუნებრივია მხარდამჭერებიც ჰყავდა. ისინი დღემდე იმეორებენ, რომ სერბის ხელმძღვანელობით მექსიკამ 46 თამაშიდან 23 გამარჯვება მოიპოვა, მარცხი კი მხოლოდ ცხრაჯერ იწვნია. მათი აზრით მილუტინოვიჩი განტევების ვაცად აქციეს, უსახური თამაშების მიზეზი კი ფეხბურთელების უნიათობა გახლდათ.

ამბობენ, რომ მექსიკელთა ახალი მწვრთნელი არგენტინელი ლუის სესარ მენოტი გახდება. მოგეხსენებათ მან ცოტა ხნის წინ დატოვა იტალია, სადაც გენუის „სამხდორიას“ ხელმძღვანელობდა. ახლა მენოტი უმუშევარია.

ინგლისი

XV ტურის ბოლო მატჩი

ტოტენჰემი 0:1 კრ. პალასი

ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი (ვეგა 25), კარი, ივრსონი (ალენი 66), კემპბელი, კლუმენსი, სქაილზი, ჟინოლა, ანდერტონი (ნილსენი 66), ფერდინანდი

კრისტალ პალასი: მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, ლინიგენი, უორშერსტი, შიპერლი, დაიერი, როზერი, პრადარსონი, პადოვანო (ვეგრტი 80)

0:1 შიპერლი (57)

ლონდონური დერბი ორმაგი დებიუტით აღინიშნა — „ტოტენჰემი“ პირველ მატჩს ატარებდა შვეიცარიელი მწვრთნელის კრისტიან გროსის თავკაცობით, სტუმართა რიგებში კი „იუვენტუსიდან“ მილიონ 750 ათას გირვანქად შეძენილი მიკელე პადოვანო სცდიდა ძალას. რაც შეეხება მატჩს, იგი საკმაოდ უინტერესო გამოდგა, საათნახევრის განმავლობაში მეტოქეებმა მხოლოდ ოთხი სახიფათო მომენტი შექმნეს და მათგან ერთერთი სტუმრებმა გოლად აქციეს. კრისტიან გროსმა მატჩამდელ პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, „ტოტენჰემს“ ახალ სულს შთავბერავო, მაგრამ მასპინძელთ რაიმე ცვლილება სრულიადაც არ ეტყობოდათ, ისინი ისევ ისეთ მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდნენ, როგორსაც ბოლო რამდენიმე სეზონის მანძილზე. განსაკუთრებით დევიდ ჟინოლამ იზარმაცა. მას ხვირიანი არაფერი გაუკეთებია და მთელი თამაში თანაგუნდელებს ჭკუას ასწავლიდა. რა შეიძლება ითქვას გოლზე? იგი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო: ჟინოლამ ცენტრში ბურთი დაკარგა და სამმა სტუმარმა ფეხბურთელმა უმალ კომბინაცია გაითამაშა, რომლის დავიგრგვინება მოჭრილი დარტყმით შიპერლიმ მოახერხა.

გროსის დებიუტი პრემიერლიგაში კრახით დასრულდა, მაგრამ მეორე დებიუტანტი — მიქელე პადოვანო გუნდს კარგად მოერგო, ყოველ შემთხვევაში, „ტოტენჰემიდან“ ასე ჩანდა. მან ტურინის „იუვენტუსში“ ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ იასპარეზა და აშკარად ეტყობოდა, თამაშს დანატრებული რომ იყო, ამიტომაც ირჯებოდა მთელი ძალით.

მეთხუთმეტე ტური დასრულდა თუ არა, მეორე დღეს, ანუ სამშაბათს გროსმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა და მოსალოდნელ ცვლილებებზე ისაუბრა. თურმე მწვრთნელს რამდენიმე მოთამაშის გაშვება განუზრახავს, თუმცა, მათი ვინაობა არ დაუსახელებია. მან ისიც თქვა, ახლა ფეხბურთელები შეკრებაზე ორი დღით ადრე გამოცხადდებიანო. „გუნდში სრულიად მოშლილია დისციპლინა. მოთამაშეები ვარჯიშებზე დაგვიანებით მოდიან. ასე არ შეიძლება. წვრმატების თავი და თავი დისციპლინაა. თავდაპირველად გუნდში სწორედ ამის გამყარებას შევეცდები“ — განაცხადა „გრასჰოპერის“ ექსმწვრთნელმა. გროსმა მოთამაშეებს სრული მობილიზება და თავდადება მოსთხოვა. ახალი მწვრთნელი „ტოტენჰემის“ კაპიტან სოლ კემპბელს მეტად მოსწონებია და ამის დასტური მისი სიტყვებია — მე, როგორც გუნდის კაპიტანი, გროსის იდეებს მხარს დავუჭერო.

პირველი დივიზიონი

მე-19 ტურის ბოლო მატჩი: ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი 1:0

შესარჩევი ტურნირი

FRANCE98

ალაჰის იმედად

შაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო, 32-ე მონაწილე გაირკვევა — ავსტრია ან ირანი.

პირველი მატჩის შედეგის გათვალისწინებით, შანსები, ცხადია, ავსტრალიელებს აქვთ, რადგან სტუმრად 1:1 მეტად კარგი შედეგია. მიუხედავად ამისა, ირანელებს თავიანთი თავის და უპირველესად ალაჰის იმედი აქვთ. მათ სჯერათ, რომ ალაჰი ნაკრებს 1978 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანს.

გუშინ ირანის ნაკრები ავსტრალიაში ჩავიდა. თითქმის 40-საათიანი მგზავრობის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ გუნდს მელბურნში 40-მდე ირანელი დახვდა, რომლებსაც ფეხბურთელების შეგულიანება და გამხნევება თითქმის ერთი საათი არ შეუწყვეტიათ. ირანელთა გუნდის წარმომადგენლის ალი მანდუსაფირის თქმით, მართალია, შინ, ვერ მოიგეს, მაგრამ შანსები თანაბარი აქვთ: „ვფიქრობ, მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ 100 ათასამდე გულშემატკივარი დაუჭერს მხარს ავსტრალიელებს, მაგრამ ამის არ გვეშინია. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. საფრანგეთის საგზურის მოპოვებისთვის საათნახევრიანი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს, მაგრამ ეგ არაფერი, დარწმუნებული ვარ, ალაჰი შეგვეწევა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ გავალთ“. მანეე დასძინა, ჩვენებს პირველ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული ახმედ ბაეური დაემატებათ, ეს კი ძალიან დიდი ძალააო. სხვათა შორის, ირანელთა მწვრთნელმა ვალდირ ვეირამ ბაეური გუნდის 40 პროცენტად შეაფასა. ირანელთა თავკაცს ავსტრალიელთა ინგლისელი მწვთნელი ტერი ვენებლზიც დაეთანხმა, ბაეირი ნამდვილად დიდი ძალაა, მას შორიდან დარტყმები განსაკუთრებით ეხერხებაო. რაც შეეხება თავად ავსტრალიელებს, ვენებლზმა დაიჩვენა, რამდენიმე მოთამაშე მთლად ჯანზე ვერ არის, მაგრამ იმედია, შაბათამდე ყველა საღ-სალამათი იქნებაო.

მაღე ჰიმნსაც დაამღერებენ

FRANCE98

მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატამდე ნახევარ წელიწადზე მეტია დარჩენილი, მაგრამ საორგანიზაციო საქმეები შეუჩერებლივ მიმდინარეობს. საფრანგეთი დიდი ენთუზიაზმით ემზადება უპირველესი საფეხბურთო ტურნირის სამასპინძლოდ. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, 80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ ამ დღეებში განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი 10 სტადიონიდან ცხრას მინდორსა და ტრიბუნას შორის არსებული დამცავი ზღუდეები მოეხსნება. იგივე დაადასტურა ქვეყნის სპორტის მინისტრმა მარი ჟორჟე ბუფემ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოპენმა მათ ეს გადაწყვეტილება ძლიერ მოუწონა. ის ერთადერთი სტადიონი, რომელზეც ზღუდეების მოხსნა ჭიანურდება, ნანტის „ლა ბუჟუარია“. მისი მფლობელი ქალაქის მერიაა.

სანამ პლატინი და კომპანია ორგანიზაციულ საკითხებს წყვეტენ, მსოფლიოს ჩემპიონატის ორმა მასპინძელმა ქალაქმა სტუდენტებს შორის შექმნილი პლაკატებიდან საუკეთესოები ამოარჩია. მონპელიელმა ნატალი ლე გლენმა საფრანგეთი 98-ის აფიშა შექმნა, პარიზის პლაკატი ასევე სტუდენტმა ფაბიენ ჟენომ დაამზადა, ბორდოსი კი — ელის მასენამ.

ისიც გაირკვა, ვინ იმღერებს მსოფლიოს ჩემპიონატის ჰიმნს. ფრანგულ ტურნეში მყოფმა ბელგიელმა მომღერალმა აქსელ რედმა საფრანგეთის რადიოს განუცხადა, რომ ჟიურიმ ჰიმნის შესრულება მას და სენეგალელ იუსუ ენდურს მიანდო. სხვათა შორის, თბილისში ერთ დროს მეტად პოპულარულ სიმღერას — „შვიდი წამი“ იუსუ ენდური ნენე ჩერისთან ერთად ასრულებდა. მსოფლიოს ჩემპიონატის ჰიმნს „ლე სურ ლე გრანდეს“ ჰქვია. ჰიმნის პრეზენტაცია მარსელში, 4 დეკემბერს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრაზე მოხდება.



REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — კრ. პალასი. ამჯერად შიპერლის სქაილზმა არ გაატანინი

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის „არსენალის“ ფრანგი მცველი ემანუელ პეტი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მსაჯის შეურაცყოფისთვის ერთი მატჩის გამოტოვებით და 1000 გირვანქით დააჯარიმა. პეტიმ „ასტონ ვილასთან“ 26 ოქტომბერს 0:0 დასრულებული მატჩისას მთავარ მსაჯ პოლ დარკინს წითელი ბარათი არ აპატია და ეუხეშა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც.

ესპანეთის ჩემპიონატის მე13 ტურის ბოლო მატჩში „ესპანიოლმა“ შინ ხიხონის „სპორტინგთან“ ფრედ 1:1 ითამაშა. მასპინძელთაგან გოლი კიკე მარტინმა შეაგდო მე-16 წუთზე, სტუმართაგან კი დმიტრი ჩერომენცევმა 68-ზე.

იტალიის „ნაპოლის“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. ზედიზედ ოთხი მარცხის გამო განთავისუფლებული კარლო მაცონეს ნაცვლად სამშაბათიდან გუნდს უხელმძღვანელებს ჯოვანი გალეონე, რომელიც ბოლო სეზონში, „პერუჯადან“ გაანთავისუფლეს კლუბის მფლობელ გუჩის ოჯახთან უთანხმოების გამო. 56 წლის გალეონე ნეაპოლშია დაბადებული. მან გუნდთან მომავალი წლის ივლისამდე გააფორმა კონტრაქტი, თუმცა, თუ საქმეები კარგად აეწყო, კლუბში, ალბათ, კიდევ დარჩება.

იუგოსლავიელი მცველი გორან ჯოროვიჩი დაახლოებით ერთი თვით ჩამორჩება ფეხბურთის ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სანტანდერთან“ წაგებულ მატჩში მიღებული ტრავმის გამო. ჯოროვიჩის გუნდის, „სელტას“, ექიმებმა განაცხადეს, რომ ფეხბურთელს ფეხის კუნთი გაუწყდა.

სამხრეთ აფრიკელ მარკ ფიშს, 4 დეკემბერს მარსელში მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში უნდა ეთამაშა ევროპის ნაკრების წინააღმდეგ, მაგრამ „ბოლტონმა“ მისი საფრანგეთში გაშვება იუარა. სამხრეთ აფრიკელები უახლოეს მომავალში დაასახელებენ ფიშის შემცვლელს.

ძოსტა რიკელმა მსაჯმა როდრიგო ბადილამ აღიარა, რომ საამიროებსა და იაპონიას შორის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ მავანნი მის მოქრთამვას შეეცადნენ. მისი თქმით, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მის სასტუმროს ნომერში უცნობმა ტელეფონით საამიროების გამარჯვების სანაცვლოდ 50 ათასი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ბადილია ცდუნებას არ აჰყვა და სამართლიანად იმსჯა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, რითაც მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გზა იაპონიას გაეხსნა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მატჩში „აინტრახტმა“ შინ 4:2 სძლია „ზანქტ პაულს“.

ბრაზილიელი რომარიო „ვალენსიაში“ აღარ ითამაშებს — სწორედ ასე განაცხადა კლუბის იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ, რომელმაც „ვალენსიას“ პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ რომარიოს გაყიდვა გადაწყვიტა. თავად ფეხბურთელი შინ დაბრუნებაზე ოცნებობს მაგრამ ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მის სანაცვლოდ ესპანურ კლუბს 4 მილიონ 110 ათას დოლარს გადაუხდიან.

ისრაელის ნაკრების მწვრთნელად ახალი ვადით დაინიშნა შლომო შარფი. მან გუნდის თავკაცობა 1992 წელს ითავა, ახალი კონტრაქტის თანახმად კი ნაკრებში 2000 წლამდე დარჩება.

შოტლანდიელმა კევინ გალაჰერმა „ბლექბერნთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამიერიდან იგი 2000 წლამდე მისი საკუთრება იქნება. გუნდის მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა განაცხადა, გალაჰერის საქმე მოვაგვარეთ, ახლა სატონის დაყოლიებას ვეცდებითო.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუჩანო ნიცოლამ მსაჯები გააკრიტიკა, აქაოდა, ბევრი შეცდომები მოგდითო. მაგალითებად ოლივერ ბირჰოფის „იუვენტუსის“ კარში გატანილი არჩაველილი გოლი და ბოლონიელი მიქელე პარამატისთვის არარსებული გოლის მიკუთვნება დაახელა. ნიცოლამ განაცხადა, თქვენგან მაქსიმუმს მივიხრებ და ესე თუ არ იქნა, თანამდებობიდან დაისვებითო.

ინგლისის „საუთჰემპტონმა“ განაცხადა, „ტოტენჰემის“ ნახევარმცველ ბოორნ ოიჰანსენს დიდი სიამოვნებით შევიძენდითო. ოიჰანსენმა ინგლისურ გუნდში უკვე ივარჯიშა, მაგრამ სანამ ბრიტანელები „ტოტენჰემსის“ შეთანხმებულ 848 ათას დოლარს არ გადაუხდიან, მანამდე იგი კონტრაქტს ხელს არ მოაწერს.

საფრანგეთში დოპინგ-კონტროლზე მეოთხე სპორტსმენი ჩავარდა — „ოსერის“ ნახევარმცველ ანტონ სიბერკის აკრძალული სტიმულატორების მიღება დაუმტკიცეს. 23 წლის სიბერკი, სავარაუდოდ, ერთი წლით მოიკვეთება ფეხბურთიდან. მანამდე დოპინგზე გამოიჭირეს „ლე ავრის“ სირიელ პოუე და „ტულუზის“ დომინიკ არიბაჟი, ისევე როგორც ძიუდოისტი ჯამელ ბურა. ჯერჯერობით არ დამთავრებულა პსჯ-ს ნახევარმცველის ვინსენ გერენის შემოწმებაც.

გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი მანფრედ ბინცი „ბრემიადან“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა. 32 წლის ბინცს, რომელიც თავის დროზე ფრანკფურტის „აინტრახტში“ ცხადაძის თანაგუნდელი იყო, ნაკრებში 14-ჯერ უთამაშია.

ჭრანბი მარსელ დესაი ორშაბათს სიკვდილს გადარჩა — გენუა-მილანის ავტოსტრადზე, მისი 150 კმ/სთ-ით მოძრავი „ფერარი“ მოსრიალდა და დამცავ ბარიერს მიემსხვრა. თავად დესაი უენებელი გადარჩა, გუშინ ივარჯიშა კიდეც, მოგვიანებით კი განაცხადა, მანქანა არც თუ სწრაფად მოძრავდა (?!), უბრალოდ, წვიმდა და გზა მოლიპული იყოო.

იტალიის ჩემპიონმა ტურინის „იუვენტუსმა“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ ნახევარმცველი კრისტიან ნერლინგერი შეიძინა — ასეთი ინფორმაცია გაავრცელა „კორიერე დელო სპორტმა“, თუმცა, როტერდამში, ჩემპიონთა ლიგაში „ფეიენოორდის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ჩასულმა „იუვენტუსმა“ ამ ინფორმაციის კომენტარი არ ისურვა. გაზეთის ცნობით, კონტრაქტი ოთხწლიანია.

იამაიკის ნაკრები მომავალ წელს „ოქროს თასის“ გათამაშებაში კანადის ნაცვლად იასპარეზებს. „ოქროს თასს“ ერთმანეთს ეცილებიან ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნები. იამაიკა პირველ ჯგუფში ბრაზილიასთან, გვატემალასთან და სალვადორთან ერთად ითამაშებს, მეორე ჯგუფში მექსიკა, ჰონდურასი და ტობაგო არიან, მესამეში — აშშ, კუბა და კოსტა რიკა.

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „შატორუსთან“ მატჩში, მიღებული ტრავმის გამო „ბორდოს“ მეკარე ულრიხ რამე დაახლოებით ორი თვე დაისვენებს. რამე სექტემბერში გადავიდა „ბორდოში“ და ჰოლანდიელი მეკარე სტენლი მენცო დაჩრდილა, მაგრამ ახლა „ათაჭსის“ კარის ყოფილ დარაჯს კვლავ ეძლევა თავის გამოჩენის შანსი.

ავსტრიელი თავდამსხმელი ივიცა ვასტიჩი, რომელიც წარმოშობით ხორვატიიდანაა, საავადმყოფოში 10 დღის მკურნალობის შემდეგ შინ დაბრუნდა. დაბლოებით თვენახევარში იგი თამაშსაც შეძლებს.

უნგრეთის ჩემპიონატის მე-17 ტურის უკანასკნელ მატჩში „კისპეშტმა“ შინ 2:2 წააგო „უპეშტთან“. ჩემპიონატი 28 თებერვალს განახლდება.

პორტუგალიის „ბენფიკას“ განცხადებით, მას აღარ აინტერესებს „ასტონ ვილას“ თავდამსხმელი საო მილოშევიჩი. პორტუგალიელებს ერთი კვირის წინ მილოშევიჩის შეძენა ძლიერ სურდათ, მაგრამ „ბენფიკას“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა იგი საქმეში რომ ნახა, გული აუცრუედა.

ჰოლანდიელი მცველი ვინსტონ ბოგარდი აღმზრდელ ლუის ვან გაალს დაუბრუნდა „ბარსელონაში“. ბოგარდი „მილანში“ გასული სეზონის ბოლოს გადავიდა, მაგრამ იტალიურ კლუბში ადგილი ვერ ჰპოვა და გუშინ 5 მილიონ 300 ათას დოლარად „ბარსელონაში“ გადაბარგდა. „აიაქსის“ ყოფილმა მცველმა კატალონიურ გუნდთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იმასაც ამბობენ, თითქოს „მილანის“ კიდევ ერთი ჰოლანდიელი, ედგარ დავიდსი აპირებს „ბარსელონაში“ გადასვლას.

ასი პროცენტი ძალიან ცოტაა

დღეს ინგლისში ბევრს ლაპარაკობენ ტაქტიკურ რევოლუციაზე. მაგრამ უხსოვარი დროიდან მომავალი „შეფილდ უენსდეის“ მწვრთნელს რონ ატკინსონს მხოლოდ ძველებური სკოლის სწვამს.

მოწინავე ევროპელი მწვრთნელები, „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი და „ჩელსის“ ხელმძღვანელი რუუდ გულიტი მოთმინებით აღჭურვილი უყრიან საფუძველს ინგლისისთვის უცხო კონცეფციებს, მოთამაშეებს ბურთის ფლობის ტექნიკას უვითარებენ და ასე შემდეგ, დიდ რონად წოდებული ატკინსონი კი ოდინდელ ბრიტანულ პრინციპებს, თავდადებას, საქმის ერთგულებას და შრომისმოყვარეობას ანიჭებს უპირატესობას.

ატკინსონი თავისი თეორიის ჭეშმარიტებაში გასული შაბათის მერე კიდევ უფრო დარწმუნდა. გასულ შაბათს მისმა „შეფილდ უენსდეიმ“ „არსენალს“ მთელ სეზონში მეორე მარცხი აგემა.

რონისთვის 100 პროცენტი მაჩვენებელი აღარაა. ის კი არა 110 პროცენტიც აღარ აკმაყოფილებს. შაბათის შედეგი სულ სხვა დონეზე გაწეული შრომის შედეგი გახლავთ.

— ჩვენ ძალიან გულმოდგინედ ვიმუშავეთ. გულშემატკივრები მხარს გვიჭერდნენ და გუნდმაც 150 პროცენტით დაუფასა ერთგულება — განაცხადა მწვრთნელმა, რომელსაც იგივე გულშემატკივრები ექვსი წლის წინ იუდას ეძახდნენ.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ატკინსონმა განაცხადა „შეფილდ უენსდეიდან“ არსად წავალო და ამ განცხადებიდან ცოტა ხანში „ასტონ ვილას“ მიაშურა. დღეს კი ყველაზე ავი ფანიც მომბალია. მას მერე, რაც 3 ნოემბერს შეფილდელებმა მწვრთნელის თანამდებობიდან დევიდ პლიტი გაუშვეს (ბოლო შედეგი „უენსდეის“ მარცხი გახლდათ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ — 1:6) და ატკინსონი მიიყვანეს, გუნდმა რამდენიმე თამაშში ხეირიან შედეგს მიაღწია.

თავდან გუნდმა „ბოლტონს“ 5:0 მოუგო, ახლა კი თვით მეორე ადგილზე მყოფი არსენალი დაამარცხა.

როდესაც სახიფათო ზონაში ტრიალებ, ნებისმიერი წარმატებით ხარობ. ამიტომაც იყო, რომ კაცშვილს ხმა არ ამოუღია, ატკინსონმა შაბათის ბენიტო კარბონე რომ არ ათამაშა.

— ორ ფეთქებადი ხასიათის ფეხბურთელს ერთად ვერ ვათამაშებდი ისეთი მეტოქის წინააღმდეგ როგორიც „არსენალი“ გახლავთ — ახსნა თავისი გადაწყვეტილება მწვრთნელმა.

კარბონეს თანამემამულე, იტალიელი პაოლო დიკანიო, რომელსაც გულისხმობდა ატკინსონი ფეთქებადი ხასიათის ფეხბურთელებზე საუბრისას, „არსენალის“ წინააღმდეგ საქმეში იყო ჩაბმული და პერიოდულად სახიფათოდაც მოქმედებდა.

— მე მინდა უცხოელებმა მთელი თავიანთი ცეცხლი და ნაპერწკალი მოედანზე დახარჯონ, მაგრამ ეს გუნდის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. უპირველესად მებრძოლი გუნდია შესაქმნელი, ისეთი, ცეცხლოვან მოთამაშეებს უნარის გამოვლენის საშუალებას რომ მისცემს.

გასაკვირი არაა, რომ ამ სიტყვების ავტორი შაბათის შედეგით მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა. „არსენალის“ ფრანგი ფეხბურთელის ჟილ გრომანდის შეცდომამ, პირველი ტაიმის დამთავრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ენდი ბუთს ანგარიში გაახსნევინა, შესვენების შემდეგ კი გაი უოტინგემმა მეორე გაიტანა.

ეს ფოტო 1995 წელსაა გადაღებული, როცა რონ ატკინსონი ჭოვენთრის ჩაუდგა სათავეში...

— ამქვეყნად იყო ხალხი, რომელთაც კლუბისთვის იცოცხლეს — თქვა ატკინსონმა, შემდეგ კი ისევ „არსენალთან“ შეხვედრას დაუბრუნდა — ჩვენ ბედი ხელიდან არ გავუშვით, ვიშრომეთ დაუღალავად, ვიცოდით, რომ დიდი ბრძოლა გველოდა, მთელს მოედანზე ვღვარეთ ოფლი. რომელმე ჩვენთაგანს გულში ბზარი რომ გასჩენოდა და შიში ან ეჭვი შეპარვოდა, ვერ მივაღწევდით იმას, რასაც მივაღწიეთ.

დიახ, „ტოტენჰემ ჰოთსპური“ გახდა კიდევ ერთი ინგლისური გუნდი, რომელმაც უცხოელი მწვრთნელი მიიწვია. მან ლონდონში შეეცარიელი კრისტიან გროსი ჩაიყვანა. ამ დროს რონ ატკინსონი კი კონტინენტს ეჭვის თვალით უყურებს.

— ვინმე უცხოელი რაიმეს რომ იტყვის, იმწუთას სახარებად შერაცხავენ ხოლმე. შემდეგ კაცი ფიქრობ, განა ეს რაიმე ჩვენ 10-15 წლის წინ არ ვიცოდით? ვიცოდით, ჰოდა, მგონია, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მოდაა. — ამბობს იგი.

ახლა ეტყობა „დიდ რონი“ თავად მოდაში შემოვა — ის 150 პროცენტიანი კაცია.

სასიამოვნო თავისტკივილი

პოლ სქოულზი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი ვარსკვლავი, სამოცანი წლების ლეგენდარული მოთამაშე დენის ლოუ წინასწარმეტყველებს, რომ პოლ სქოულზი გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ინგლისის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იქნება.

ლოუ თვლის, რომ გლენ ჰოდლის გუნდში, ადგილების დასაბევებელ შეჯიბრებაში, „იუნაიტედის“ დღევანდელი ფეხბურთელი, სქოულზი, აუცილებლად გაიმარჯვებს და ნაკრების მეორე თავდამსხმელის ამპლუაში სწორედ ის მოგვევლინება და არა მისივე თანაკლუბელი ტედი შერინგემი. შეგახსენებთ, რომ დღეს სქოულზი და მისი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგაში სლოვაკეთის „კოშიცეს“ ეთამაშებიან.

სხვათა შორის სქოულზს ხშირად ადარებენ ლოუს. კაცს, რომელსაც თავის დროზე „ოლდ ტრეფორდის“ მეფეს უწოდებდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ანუ ივნისისთვის „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელი ალან შირერი ალბათ მზად იქნება, ტრავმასაც საბოლოოდ მოიშუშებს და შესაბამისად კითხვას, ვინ იქნება ინგლისელთა მთავარი ფორვარდი ცალსახა პასუხი გაეცემა.

— დღეს მეორე ფორვარდად სქოულზი უნდა თამაშობდეს — განუცხადა ჟურნალისტებს ლოუმ — მიმდინარე სეზონში მან დაამტკიცა, რომ ჩინებული ფორვარდია და გოლების გატანის ამოცანას დიდებულად ართმევს თავს როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში. ის ყოველთვის სახიფათოა. გლენ ჰოდლმა ფეხბურთელების შერჩევისას მთავარ პრინციპად მათი ფორმაში ყოფნა-არყოფნა უნდა აირჩიოს და თუ ასე იქნა, სქოულზმა კი ახლანდელივით თამაში განაგრძო, ევროპის საფრანგეთში წამყვან პოზიციაზე ყოფნა არ ასცდება. მე რომ მწვრთნელი ვიყო, სწორედ მას დავეყრდნობოდი.

სქოულზი 23 წლისაა. მან ახალ ჩემპიონატში შვიდი გოლი გაიტანა და იმაში რომ დღეისათვის „იუნაიტედი“ პრემიერლიგის ცხრილის მწვერვალზეა, დიდი წვლილი უდევს. ნაკრებში სქოულზმა პირველად წლეულს, მაისში, სამხრეთ აფრიკასთან ითამაშა. მას მერე კიდევ ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ამ ხუთ თამაშში სამი გოლი გაიტანა.

— ის „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ წამყვანი ფიგურა გახდა. გოლები, რომლებიც მან მოედნის სიღრმიდან შეყარა, უდიდესი მნიშვნელობისა გახლდათ. აშკარად ნიჭიერი ფეხბურთელის ასეთი თამაში ჰოდლს სასიამოვნო თავსატეხს უნენს, მას ბევრი კარგი ფეხბურთელისგან ერთი ეყოლება ამოსარჩევი — დასძინა ლოუმ.

ჰანიკა გიჭვბის ბანდაში

ეგილ ოლსენი ნორვეგიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია, მან ისევე როგორც 1994 წელს, ახლაც გაიყვანა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ლონდონის „უემბლდონში“ სამუშაოდ გადასვლას არ აპირებს. „უემბლდონის“ თანამფლობელმა სემ ჰამანმაც განაცხადა ერთადერთი კაცი, ვინც ჩემს გუნდში მწვრთნელად მინდა ვყო კინიარია და ის რაც ბრიტანულ ტაბლოიდებში ეწერა სრული სიცრუეა.

ეგილ ოლსენი

ახლა, იმის თაობაზე თუ საიდან აგორდა ჭორი თითქოს ოლსენი, რომელსაც სამშობლოში დრილოს სახელით იცნობენ და დიდ პატივსაც სცემენ, სამსახურს თავს ანებებს და ინგლისში გადადის. საქმე ისაა, რომ „უიმბლდონი“ ნორვეგიელმა მილიონერებმა ბორნ რუნე გიელსტენმა და კიელ ინგე როკემ იყიდეს. ისინი კლუბის მოწილეები ივნისში გახდნენ და მას მერე მათი თანამემამულის, ეგილ ოლსენის ლონდონურ კლუბში გადასვლა გაზეთების დაუსრულებელ თემად იქცა. ამ დღეებში კი ხმები საგანგებო სიძლიერით იმიტომ დაირხა, რომ ოლსენი ლონდონს ჩავიდა და „უიმბლდონ“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშს დაესწრო. ამ შეხვედრაში „უიმბლდონმა“ 2:5 წააგო.

დაუსრულებელმა საუბარმა ოლსენის თაობაზე ერთობ გააპარაზა ჯო კინიარი, რომელიც როგორც მოგახსენეთ ლონდონური გუნდის დღევანდელი მწვრთნელია. გაბრაზდა კლუბის თანამფლობელი სემ ჰამანიც. ჰამანი ახლა ბიზნესის საქმეებზე ლიბანში იმყოფება და იქიდან გაკეთა განცხადება:

— მწვრთნელის შეცვლის თაობაზე მაშში ხეირიან შედეგს მიაღწია.

თავდან გუნდმა „ბოლტონს“ 5:0 მოუგო, ახლა კი თვით მეორე ადგილზე მყოფი არსენალი დაამარცხა.

როდესაც სახიფათო ზონაში ტრიალებ, ნებისმიერი წარმატებით ხარობ. ამიტომაც იყო, რომ კაცშვილს ხმა არ ამოუღია, ატკინსონმა შაბათის ბენიტო კარბონე რომ არ ათამაშა.

— ორ ფეთქებადი ხასიათის ფეხბურთელს ერთად ვერ ვათამაშებდი ისეთი მეტოქის წინააღმდეგ როგორიც „არსენალი“ გახლავთ — ახსნა თავისი გადაწყვეტილება მწვრთნელმა.

კარბონეს თანამემამულე, იტალიელი პაოლო დიკანიო, რომელსაც გულისხმობდა ატკინსონი ფეთქებადი ხასიათის ფეხბურთელებზე საუბრისას, „არსენალის“ წინააღმდეგ საქმეში იყო ჩაბმული და პერიოდულად სახიფათოდაც მოქმედებდა.

— მე მინდა უცხოელებმა მთელი თავიანთი ცეცხლი და ნაპერწკალი მოედანზე დახარჯონ, მაგრამ ეს გუნდის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. უპირველესად მებრძოლი გუნდია შესაქმნელი, ისეთი, ცეცხლოვან მოთამაშეებს უნარის გამოვლენის საშუალებას რომ მისცემს.

გასაკვირი არაა, რომ ამ სიტყვების ავტორი შაბათის შედეგით მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა. „არსენალის“ ფრანგი ფეხბურთელის ჟილ გრომანდის შეცდომამ, პირველი ტაიმის დამთავრებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ენდი ბუთს ანგარიში გაახსნევინა, შესვენების შემდეგ კი გაი უოტინგემმა მეორე გაიტანა.

ეგილ ოლსენი

განაცხადა ერთადერთი კაცი, ვინც ჩემს გუნდში მწვრთნელად მინდა ვყო კინიარია და ის რაც ბრიტანულ ტაბლოიდებში ეწერა სრული სიცრუეა.

ახლა, იმის თაობაზე თუ საიდან აგორდა ჭორი თითქოს ოლსენი, რომელსაც სამშობლოში დრილოს სახელით იცნობენ და დიდ პატივსაც სცემენ, სამსახურს თავს ანებებს და ინგლისში გადადის. საქმე ისაა, რომ „უიმბლდონი“ ნორვეგიელმა მილიონერებმა ბორნ რუნე გიელსტენმა და კიელ ინგე როკემ იყიდეს. ისინი კლუბის მოწილეები ივნისში გახდნენ და მას მერე მათი თანამემამულის, ეგილ ოლსენის ლონდონურ კლუბში გადასვლა გაზეთების დაუსრულებელ თემად იქცა. ამ დღეებში კი ხმები საგანგებო სიძლიერით იმიტომ დაირხა, რომ ოლსენი ლონდონს ჩავიდა და „უიმბლდონ“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშს დაესწრო. ამ შეხვედრაში „უიმბლდონმა“ 2:5 წააგო.

დაუსრულებელმა საუბარმა ოლსენის თაობაზე ერთობ გააპარაზა ჯო კინიარი, რომელიც როგორც მოგახსენეთ ლონდონური გუნდის დღევანდელი მწვრთნელია. გაბრაზდა კლუბის თანამფლობელი სემ ჰამანიც. ჰამანი ახლა ბიზნესის საქმეებზე ლიბანში იმყოფება და იქიდან გაკეთა განცხადება:

— მწვრთნელის შეცვლის თაობაზე ჩემს პარტნიორებს არასდროს არაფერი უთქვამთ. შანსი იმისა, რომ კინიარის ადგილს ვინმე დაიკავებს აბსოლუტურად ნულის ტოლია. ხმები ამის თაობაზე სიმართლეს არ შეეფერება. ჯო კინიარი ერთადერთი კაცია, რომელიც „უიმბლდონის“ მენეჯერად მსურს ვიხილო, მასთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს ხელი ახლახანს მოვაწერეთ და მელანი დიდი ხნით შეაშრა ფურცელს. დავიცალე უპასუხისმგებლო ჟურნალისტების ეარაუდთა უარყოფით.

კინიარი ორშაბათს, გუნდის ვარჯიშზე არ მისულა, მაგრამ მისმა ფეხბურთელებმა სრული მხარდაჭერა გამოხატეს.

თავდამსხმელმა მარკუს გეილმა თქვა: — ძნელია „უიმბლდონის“ კინიარის გარეშე წარმოდგენა. მოთამაშეები ყველა ღონეს ვიხმართ, ჯო რომ შეინარჩუნოთ. ის ჩვენი გუნდის სახეა. მან ჩვენ სხვა სიმაღლეზე აგვიყვანა.

მცველმა კრის პერიმ დასძინა: — დღეს ყველა ფეხბურთელი ჯოს მხარს უჭერს. მთავარი ისაა, რომ იგი არ ღალატობს „გიუების ბანდის“ ტრადიციას.

ნორვეგიის ნაკრების თავკაცი კი ლონდონში იმიტომ ჩავიდა, რომ „უიმბლდონისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრაში თავისი ფეხბურთელების თამაში ენახა. საამისოდ იგი ლონდონური კლუბის ზემოხსენებულ მეპატრონეს გიელსტენს ჰყავდა მიპატიჟებული. ოლსენი ოთხი ნორვეგიელის საქმეში ხილვას აპირებდა, თუმცა მხოლოდ სამის შემოწმებით დაკმაყოფილდა. „იუნაიტედის“ შემადგენლობაში იყვნენ რონი იონსენი და ჰენინგ ბერგი, „უიმბლდონში“ კი სტალე სოლბაკენი, რომელმაც მწვრთნელის სამწუხაროდ მხოლოდ ბოლო ხუთი წუთის მანძილზე ითამაშა. მეოთხე „იუნაიტედის“ ცნობილი თავდამსხმელი ოლე გუნარ სოლსკაერი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

— ლონდონში ჩემი ფეხბურთელების სანახავად გახლდით. „უიმბლდონთან“ არაფერი მესაქმება, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს — დაადასტურა დრილომ.

იგივე განაცხადა ნორვეგიული კომპანიის „უინდმორის“ მენეჯერმა იან პეტერ სტორეტვედტმა. მან თავისი ქვეყნის საავენტოს NTB-ს უთხრა: — ოლსენს ოთხი ნორვეგიელი მოთამაშის საქმეში ნახვის შანსი ჰქონდა და ეს გამოიყენა. სამწუხაროა ამ აბმავს ჯო კინიარი რომ გაანაწყენა, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ოლსენის ვიზიტი ინგლისში მას საამისო საბაბს მისცემდა. კინიარი ხუთწლიანი კონტრაქტითაა „უიმბლდონთან“ დაკავშირებული, ახლა კი პირველი წელიწადია. მას არ უნდა შეშინებოდა, ნორვეგიის ნაკრების თავკაცის ლონდონში ჩასვლა მის თანამდებობიდან მოხსნას არ ნიშნავს.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ გადარჩა. რუსეთის საფეხბურთო ლიგა „ულეგზანდაროჟნიკებს“ პროფესიული კლუბის ლიცენზიას არ აძლევდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გუნდი მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ვეღარ ითამაშებდა. ქართველი ფეხბურთელის ზაზა ჯანაშიას და მისი მოსკოვური გუნდის საბედნიეროდ, პრობლემა მოგვარდა და „ლოკომოტივის“ ქომაგები გაზაფხულიდან კვლავ რუსეთის უმაღლესი ლიგის ცხრილში დაუწყებენ თავიანთ გუნდს ძებნას.

სიტყვის, ფულის და ფეხბურთის თამაში

საქმე ის იყო, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მიმდინარე გათამაშების მეოთხედფინალისტი, რუსეთის თასის მფლობელი მოსკოვის „ლოკომოტივი“ ვერ აკმაყოფილებდა საფეხბურთო ლიგის მიერ წამოყენებულ ახალ მოთხოვნებს. პროფესიული გუნდისთვის აუცილებელ პირობებს ის, როგორც ლიგის პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი ამბობდა, რიგ მიზეზთა გამო ჩამორჩებოდა. საკუთრივ კლუბის მოხელეთაგან კი ამ „რიგ მიზეზებზე“ ვერავინ ვერაფერს ამბობდა.

— ჩვენ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია — ამბობდა ორშაბათს ნიკოლაი ტოლსტიხი, რომლის კოლეგებიც ძირითადად მაინც „ლოკომოტივის“ დოკუმენტაციის არასრულფასოვნებით იყვნენ უკმაყოფილონი. ლიგის მოხელეები კლუბს საბუთების უფრო ვრცლად წარმოდგენას სთხოვდნენ.

„ლოკომოტივის“ მსგავსად, „არასამოყვარულო“ სტატუსს ვერც ნაბერეჟნიე-ჩელნის „კამაზი“ იღებდა. „კამაზი“ გასულ სეზონში ლიგიდან ისედაც გავარდა, რადგან სატრანსფერო თანხის გადაუხდელობის გამო ექვსი ქულა ჰქონდა ჩამოკლებული.

— ჩვენ თავად მოვიგონეთ კანონი და მას ზედმიწევნით უნდა მივსდიოთ — ბრძანებდა ტოლსტიხი, რომელიც იმავდროულად მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტიცაა.

ზოგადად, რუსეთში პროფესიული ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი გახლავთ ისეთი პირობების დაკმაყოფილება, როგორიცაა სტადიონი, ბაზა, ახალგაზრდული გუნდები, ბიუჯეტი და ასე შემდეგ. მაგრამ „ლოკომოტივი“ სხვა მხრივ მიუდგა საქმეს, მან... სახელი შეიცვალა. ახლა მოსკოვის „ლოკომოტივის“ სრული სახელია არა „სპორტული კლუბი ლოკომოტივი“, არამედ „საფეხბურთო კლუბი ლოკომოტივი“.

ლიგის ხელმძღვანელობამ სახელის ცვლილება იმიტომ მოითხოვა, რომ ამით ძისთვის კლუბის ფინანსური საქმიანობა უფრო ნათელი გახდება. მართალია, რკინიგზის გუნდს ეს არ ესიამოვნა, მაგრამ იძულებული შეიქნა დაჰბულებულიყო.

— ჩვენთვის ძველი სახელის დატოვება მეტად სასურველი იყო, რადგან დიდი სისტემის ნაწილად ყოფნა უფრო იოლი გახლდათ, ახლა კი დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩამოვყალიბდეთ — უკმაყოფილოდ განაცხადა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა იური სიომინმა — მართალია, ისევ რკინიგზის სამინისტროს სტრუქტურაში ვიქნებით, მაგრამ საქმე გაგვირთულდება, გაცილებით მეტი ქაღალდის ქექვა მოგვიწევს.

ეუსებიო «ბენფიკაში»

ბოლო წლებია, „ბენფიკას“ უჭირს. პორტუგალიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, რომელსაც 60-იან წლებში მსოფლიოში უძლეველის სახელი ჰქონდა, ახლა ლამის საშუალო დონის კლუბად იქცა. წლევანდელი სეზონი, განსაკუთრებით კი მისი დასაწყისი, ძლიერ ცუდი გამოდგა. გუნდმა რამდენიმე თამაში ზედიზედ დათმო და, რაც ყველაზე საკვირველია, გოლების გატანა თითქოს სამუდამოდ დაივიწყა. არადა, „ბენფიკა“ მუდამ შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. არა, გუნდი, ცხადია, ძნელბედობის ჟამსაც გოლისკენ მიისწრაფის, მაგრამ ლისაბონელთა დღევანდელი და „გუშინდელი“ თავდასხმის შედარება, უბრალოდ, არ შეიძლება. დამარცხებებისა და წარუმატებლობის სერიებს მწვრთნელის გაშვება მოჰყვა. ახალმა თავკაცმა გრემ სუნესმა „ბენფიკა“ ზედიზედ ორჯერ ამარჯვა, მაგრამ „პოავიშტასთან“ სტუმრად 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ მან განიზრახა, თავდამსხმელთა მწვრთნელად ლეგენდარული ეუსებიო მოეწვია. სწორედ ეუსებიო იყო იმ დიადი „ბენფიკას“ ლიდერი 60-იან წლებში, ორჯერ ჩემპიონთა თასი რომ მოიგო. ეუსებიო არც პორტუგალიის ნაკრებში ირცხვენდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით მოზამბიკელი იყო. საბოლოო ჯამში 15-წლიანი კარიერის მანძილზე მან 1000-ზე მეტი გოლის შეგდება მიახერხა. სუნესის სურვილიც სწორედ ესაა, რომ ეუსებიომ ახალგაზრდა თავდამსხმელებს გოლის გატანის საიდუმლო აუხსნას, გამოცდილება დამწყებთაც გაუზიაროს. სუნესმა ასეც თქვა, მიუხედავად „ბენფიკას“ გაჯირვებისა, გუნდს ნამდვილად არ ავნებს. თუ კიდევ ერთ მწვრთნელთან, ყველა დროის ერთ-ერთ დიდ თავდამსხმელთან, ეუსებიოსთან ეითანამშრომლებთო.

მაგელანის მარშრუტით

ბრაზილიის ნაკრები წელს უკვე ვინ მოთვლის, მერამდენე ტურნირში მიემგზავრება. ამჯერად ბრაზილია ჯერ სამხრეთ აფრიკას ეწვევა იქაურებთან ამხანაგურად სათამაშოდ, შემდეგ კი საუდის არაბეთში ჩავა კონფედერაციის თასზე საბრძოლველად. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მწვრთნელმა, მარიო ზაგალომ აფრო-აზიური ტურნესთვის თითქის ორწლიანი შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნება ბებეტო, ისევე როგორც რომარიო. ბებეტომ ნაკრებში ბოლოს 1995 წელს ითამაშა სლოვაკეთის წინააღმდეგ, მას შემდეგ კი ნაკრების მაისური აღარ მოურგია. რაც შეეხება რომარიოს, მისი დაბრუნება ზაგალომ ფეხბურთელის მორჯულებით ახსნა, თუმცა, „ვალენსიას“ ფორვარდი მაინც გააფრთხილა, თუ კიდევ იჭირვეულებს, მისი სანაკრებო კარიერა დასრულდებაო. გუნდშია ლეონარდოც, რომლის ბრაზილელების უღლისთან მატჩში გაშვებაც „მილანმა“ იუარა. ნაკრების ერთადერთი ახალწვეული „სან პაულუს“ მეკარე როჟერიო კენია, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში ჯარიმებიდან სამი გოლის შეგდება მოახერხა.

რაც შეეხება ნაკრებს, იგი ამ შემადგენლობით ითამაშებს: მეკარეები — როჟერიო კენი (სან პაულუ), დიდა (კრუზეირო); მცველები — ზე მარია (პარმა), რობერტო კარლოსი, ზე რობერტო (რეალი), კაფუ, ალდაირი (რომა), ანდრე კრუზი (მილანი), გონსალვეში (კრუზეირო); ნახევარმცველები — სეზარ სამბაიო (იოკოჰამა), დენილსონი (სან პაულუ), დუნგა (ჯუბილიო ივატა), ემერსონი (ლევერკუზენი), კონსეისაო (დეპორტივო), ჟუნინიო (ატლეტიკო), ლეონარდო (მილანი); თავდამსხმელები: ბებეტო (კრუზეირო), რომარიო (ვალენსია), რონალდო (ინტერი), რივალდო (პარსელონა).

7 დეკემბერს იოჰანესბურგის „ელის პარკზე“, მსოფლიოს ჩემპიონების მეტოქეთა შემადგენლობა სამხრეთ აფრიკელებმა დაასახელეს: მეკარეები — მარკ ანდერსონი (ბაშ ბაქსი), ანდრე არენდსე (ფულემი), ბრაიან ბალუი (ჩიფსი); მცველები — სიზვი მოტაუნგი, ნილ ტოვი (ჩიფსი), მარკ ფიში (ბოლტონი), პიერ ისა (მარსელი), ვილემ ჯაქსონი (ორლანდო პაირატსი), დევიდ ნიატი (სენტ გალენი), ლუკას რადებე (ლიდსი); ნახევარმცველები — ჯონ მოტი, დუმისა ნგომე (ორლანდო პაირატსი), ალექს ბაპელა (სანდოუსი), დოქტორ ხუმალო (კოლუმბუსი), კლინტონ ლარსენი (მენონგი), ელმან მაკლელე (ქაისერი), იაბუ მნგოუნი (ვაალი), ჯონ მოშიე (ქოჩაელი), ბრიან სებაპოლე (იომო კოსმოსი), ერიკ ტინკლერი (ბარნსლი); თავდამსხმელები — ბრენდან აგუსტინი (ლასკ), შონ ბარტლეტი (ნიუორკი), ფილომენ მასინგა (ბარი), ბენი მაკკართი (აიაქსი), პოლენ ნდლანია (ბურსა).

დიდებული საქმე

აიღეთ ინგლისური დილის გაზეთი. გადაშალეთ ბოლო გვერდზე. იქ წერია: ყურადღება! რონალდო „სპურზში“ გადადის! საიდან საიდან? წაიკითხეთ წერილი. ნახავთ, რომ მასში „ტოტენჰემის“ ერთი ოფიციალური წარმომადგენლის ციტატაც კი არაა მოყვანილი. არც რონალდოს მრჩეველთა და ვექილთა დიდი ჯარის რომელიმე წევრი აცხადებს რამეს. და მიუხედავად ამისა ეს სიტყვები წერია. როგორც ჩანს სენსაციური ამბავი ჰაერი დანაა მოტანილი და სინამდვილესთან მხოლოდ ზოგადი შეხება აქვს, მაგრამ...

ყველაფერი გეგმის თანახმადაა, შესაძლოა გვარიან საფასურადაც კეთდება. თავი და თავი კი გახლავთ აგენტი, რომლის პროფესიული სტატუსი მხოლოდ იმაზე კი არაა დამოკიდებული, როგორ განაგებს იგი თავისი კლიენტის საფეხბურთო ფინანსებს. არამედ იმაზეც როგორ მართავს მის სამომავლო პოლიტიკას, როგორ იმიჯს უქმნის.

თუ დედამიწას მართლა ფული აბრუნებს, მაშინ აგენტები საფეხბურთო სამყაროს ბრუნვაზე არიან პასუხისმგებლები. მათ ყოველ საღამოს თავიანთი მფარველის, წმინდა ბოსმანის სახელზე მართებთ ლოცვა.

როდესაც ბელგიის მეორე დივიზიონიდან სადღაც საფრანგეთში მოხეტიალე პროფესიონალმა ფეხბურთელმა ბოსმანმა ევროსასამართლო ფეხბურთის სამყაროს მმართველი წესების წინააღმდეგ გაალაშქრა, ეგონა ამით მოთამაშეთა საშუალო ფენის ინტერესებს იცავდა. ის თავისი მასშტაბით აღიქვამდა მოვლენებს, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ფეხბურთი ხალხთა ენებია, პლუს სატელევიზიო შემოსავალთა რევოლუციამ, მოვლენებს სულ სხვა ელფერი მისცა.

დასავლეთ ევროპის მთავარმა საფეხბურთო ქვეყნებმა სწრაფად დაანგრიეს უკანონოდ დამკვიდრებული აკრძალვები ფეხბურთელთა შრომის უფლებებთან და საზღვარგარეთელ მოთამაშეთა გადაბირება-გაძმობრებასთან დაკავშირებით. იმავდროულად მათ გააცნობიერეს, რომ ფეხბურთელს სრული უფლება აქვს, გადავიდეს ერთი დამქირავებლისგან მეორესთან, თან ნებისმიერ დროს, როცა კი ამის სურვილი ექნება. ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია, რომელთა ხელშიც იყო ტრანსფერებისთვის გამოყოფილი ორიოდ კვირის ავან-ჩავანი, თავიანთი ხელმწიფობა დაჰკარგეს.

მიზეზი ისაა, რომ ევროკავშირის ქვეყნების ფეხბურთელებს როცა და სადაც მოესურვებათ, მაშინ და იქ შეუძლიათ გადასვლა. საქმე ეხება მათთვის ხელსაყრელ კონტრაქტებს, სატრანსფერო თანხებს, რომლებიც თავიდანვეა ხელშეკრულებით განსაზღვრული.

ჯებირი გაინგრა. დარჩა მხოლოდ გაზრდილ-გაბერილი სატრანსფერო ბაზრის გამარტივების ამოცანა. იდეალური მექანიზმი კი უკვე არსებობს: ეს გახლავთ საერთაშორისო აგენტთა ქსელი. აგენტები გახლავან ის ქალები და კაცები, რომლებიც გამალებით მუშაობენ, გამუდმებით არიან გართულნი სატელეფონო საუბრებში, გეგმავენ შეხვედრებს, ეძებენ სპონსორებს, უკავშირდებიან კლუბებს.

ახლა, ბოლო 12 თვის ბაზარს რომ გადავხედოთ, ძნელად თუ დავიჯერებთ, რომ გარიგებათა უმეტესობაში აგენტის ხელი არ ურევია. ისინი წილში არიან, ასე რომ რაც უფრო დიდ ფულს დაატრიალებენ, მით მეტი მოგება დარჩებათ. სწორედ ეს გახლავთ ბოსმანის ბრძოლის ძირითადი შედეგი. ცინიკურია არა? რეალობაა დღეს. საფეხბურთო ბიზნესი აგენტების გარეშე ვერ მუშაობს.

ეს ფიფას ინტერესებსაც ემთხვევა. ამ ორგანიზაციამ სამი წლის წინ სცადა აგენტების სისტემის ფორმალიზება. მას სურდა საშინელ ქაოსში გარკვეული წესრიგი შეეტანა.

ზაფხული ისე არ გაჯა, ფიფას სატრანსფერო გაუგებრობათა მთელი ნაკადი რომ არ დაატყდეს თავზე, ყველაზე ხშირია, როდესაც ორი კლუბი ჩივის, ერთიდამავე მოთამაშესთან კონტრაქტი გაფორმეთ და გაგვსაჯეთო. ოდესღაც ასეთ დღეში იყვნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „კიოლნი“. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გორდონ სტრაქანი მათია, მათთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ერთი ხნის შემდეგ, ნიგერიელი ემანუელ ამუნიკეს თამაშზე დავობდნენ ლისაბონის „სპორტინგი“ და „ლუისბურგი“.

ამიერიდან, იმედია, ფიფა მსგავს პრობლემებს არ გადაეყრება. როგორც ჩანს, პასუხისმგებლობა ევროპელ კოორდინატორებს დააწვებათ და არა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს.

სხვათა შორის მსგავს გაუგებრობაში მხოლოდ ფეხბურთელები არ ხვდებიან. ხანდახან კლუბები მწვრთნელების გამოც დავობენ.

1990-იანი წლების დასაწყისში იყო ასეთი შემთხვევა: შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი პორტუგალიურ „ბენფიკას“ დაპირდა, გუნდში დავბრუნდებიო. ამ დროს კი ერიკსონის სახელით მისმა აგენტმა განაცხადა, რომ შვედი „ფიორენტინას“ უნდა ჩაუდგეს სათავეშიო. ერიკსონს ალბათ იტალიაში დარჩენა უკეთებდა, მაგრამ ღირსება წინ დააყენა და ლისაბონს მიაშურა.

სულ ბოლო საქმე, რომელიც ფიფას გასარჩევი შეიქნა, ბრაზილიელ რონალდოსა და ფრანგ ლისარასუსთან იყო დაკავშირებული. ორივე მოთამაშე ერთსა და იმავე პრობლემას წააწყდა, მათ „ბარსელონასა“ და „ატლეტიკისგან“ თავი გამოეყიდეს, რათა უცხოურ კლუბებში, „ინტერსა“ და „ბაიერნში“ გადასულიყვნენ, მაგრამ ფიფამ დაუდგინა, რომ თავის გამოსყიდვა სატრანსფერო თანხის ტოლფასი არ არის და მყიდველ გუნდებს დამატებითი ფულის გადახდა დააკისრა, თუმცა საქმე რომ არ გაემწვავებინა, ეს დამატებითი თანხა მინიმალური დაუთქვა.

რონალდოს აგენტთა ტრიომ იმ დღეებში ბანკების კარი აატალახა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი წილში იყვნენ. მათ რონალდოს ტრანსფერების წილი ექვსი წლის წინ შედარებით იაფად, 5 მილიონ გირვანქა სტერლინგად იყიდეს. ფეხბურთელი კი თანდათან ძვირდებოდა, „ეინდჰოვენში“ 1994 წელს 4,5 მილიონად გადავიდა, „ბარსელონაში“, 1996 წელს, 12 მილიონად, ხოლო გასულ ზაფხულს „ინტერში“ 19,5 მილიონად — აგენტთა დანახარჯი მოგებით შეიცვალა.

ამრიგად ფიფას მიზანია აგენტთა კონტროლის სისტემა შემოიღოს და სატრანსფერო გაუგებრობათა რაოდენობა მინიმუმამდე შეამციროს და რა ხდება: აგენტებმა ფიფაში 100 ათას გირვანქიანი დეპოზიტი უნდა შეიტანონ და თან იმ ქვეყნის ფედერაციაში, რომელსაც წარმოადგენენ, შემოსავალი უნდა დაებეგროთ. გარდა ამისა, ისინი სულ მცირე ხუთი წელიწადის განმავლობაში მაინც უნდა იყვნენ „თავიანთი“ ქვეყნის მოქალაქენი და თავის ფედერაციაში „გამოცდა“ უნდა ჩააბარონ.

აგენტები, რომლებიც აღნიშნულ პროცედურას ვერ გაივლიან ანუ ოფიციალური ლიცენზია არ ექნებათ, უშუალო მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუ ფიფამ შეიტყო, რომ ესა თუ ის გარიგება არალიცენზირებულმა აგენტმა ჩაატარა, კლუბს, ფედერაციას ან ფეხბურთელს სასტიკად დააჯარიმებს, ექვსი თვით დისკვალიფიკაციას მიუსჯის ან ყოველგვარი სატრანსფერო საქმიანობის უფლებას ჩამოართმევს.

სამაგალითოა ფრანგი ფეხბურთელის ტიერი ანრის შემთხვევა. მის შესაძენად, გასული სეზონის დამლევს მოლაპარაკებას მადრიდის „რეალი“ აწარმოებდა. ანრის კონტრაქტს „მონაკოსთან“ იელოსში გაუდიოდა ვადა, ასეთ ხალხთან მოლაპარაკება კი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ნებადართულია. მადრიდელებმა შეცდომა დაუშვეს, მათი სახელით საქმეს, ფიფას ლიცენზიის არმქონე აგენტი მიშელ ბაზილევჩი აწარმოებდა. საბოლოოდ „მონაკომ“, რომელიც პარალელურად წესების სრული დაცვით ურიგდებოდა ანრის, ფიფაში იჩივლა. შედეგი სავალალო გამოდგა, „რეალი“ 50 ათასი გირვანქით დაჯარიმეს. ბაზილევიჩი კი საფეხბურთო საქმეებში „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადდა. (უფრო სასტიკ სასჯელს ფიფა ბაზილევიჩს ვეღარ დააკისრებდა, რამეთუ მას ამ აგენტის ზოგად საქმიანობასთან შეხება არ აქვს).

ახლა ვიკითხოთ, რატომ დაავალა „რეალმა“ ბაზილევიჩს საქმის გაძლოლა? პასუხი ცხადზე უცხადესია, ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აგენტია. ჯერ კიდევ როდესაც იოჰან კრუიფი „ბარსელონაში“ თამაშობდა, ბაზილევიჩი ოთხი წლის განმავლობაში მისი მარჯვენა ხელი გახლდათ.

ეს იყო ადრე, ახლა კი სხვაგვარადაა საქმე. აგენტებს საქვეყნოდ მუშაობა აღარ მართებთ. ასეთი რამ მათგან კლუბებს და მწვრთნელებსაც აღარ სჭირდებათ. როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობენ ხოლმე მწვრთნელები ამა თუ იმ ფეხბურთელზე, მისი გაყიდვა სულაც არ გვაინტერესებსო და მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი წუთით ადრე აცხადებენ, რომ მისით დაინტერესებულნი არიან? პასუხი მარტივია, იმიტომ, რომ ინტერესის ხმამაღლა გამოცხადება სხვა კლუბთათვის ცნობისმოყვარეობის გაღვიძებასაც ნიშნავს. მაგალითად „ტოტენჰემმა“ არ დამალა, რომ იტალიელი ფაბრიციო რავანელის ყიდვა სურდა... ჰოდა, წინ „მარსელი“ ჩაუხტა. მან ხელად დაანება თავი „ესპანიოლთან“ ნიკოლა უედაკზე საუბარს და მაშინ, როდესაც ალან შუგარი რავანელის ღამის იყო, უკვე „უაით ჰართ ლეინზე“ ელოდა, ფეხბურთელი ცხვირწინ აწაპა.

ამიტომაა საჭირო სურვილის დამალვა.

ნუ მოგვატყუებს ინგლისელი ერიკ ჰოლის საოცარი იმიჯი. ის ცალკეა და არ შეეფარდება ისეთი აგენტების კარიერას, როგორებიც არიან დენის როჩი (მისი უდიდესი საქმე, კრუიფთან თანამშრომლობა იყო), ტონი სტივენსი (იგი დევიდ პლატის და ალან შირერის ტრანსფერების უკან იდგა) და ჯონათან ჰოლმსი (გარი ლინეკერთან მუშაობდა). ჰოლს შეუძლია ეფექტურად და ხარისხიანად მუშაობა, მისებრ უნარიანი არავინაა. შეუბიზნესა და ფეხბურთში ჩატარებულ ოპერაციათა უგრძესი ჩამონათვალი, მის სახელოვან კლიენტთა სია, თავად მეტყველებს ჰოლის გაქანებაზე.

დღეს ბურუსმა მოიცვა არა მხოლოდ ის, რასაც აგენტები აკეთებენ, არამედ თავად აგენტებიც. გახსოვთ პოლ გესქოინის საგა, „ლაციოში“ გადასვლასა და დაბრუნებასთან დაკავშირებით? იქ, წამყვან როლებს მელ სტინი და ლინ ლაზარუსი ასრულებდნენ. სტინი და ლაზარუსი ფეხბურთელის აგენტები არ ყოფილან, მათ უფრო პროფესიონალი მრჩევლები შეიძლება ეუწოდოთ.

რონალდოსა და მისთანა ვარსკვლავებს თავიანთ აგენტებთან მუდმივი კონტაქტი აქვთ



რონალდოს აგენტი ბრანჩინი უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს

მართლაც, ასეა. მაგალითად საფრანგეთის სასამართლომ ვერ დაადგინა სტინის და ლაზარუსის სტატუსი. ვინ იყვნენ ისინი კრის უოდლისთვის, უბრალოდ მრჩევლები თუ სრულფასოვანი აგენტები? მოგეხსენებათ ამ ორი ინგლისელის წინააღმდეგ ბერნარ ტაპის საქმესთან დაკავშირებით ბრალდება იყო წარდგენილი.

აგენტებთან დაკავშირებით მოთამაშეთა აზრი წელ-წელა იცვლება. მათი უმეტესობა აფასებს და ხვდება, თუ რას აკეთებენ ისინი მათთვის. ბრიტანელი აგენტი რაქელ ანდერსონი ამბობს: „თუ ფეხბურთელს ჰგონია, რომ საქმეს თავად უკეთ გაუძღვება, ერთხელ ცდის და მიხვდება, რომ ცდება. გასახდელში რომ შევა, ხელად მიხვდება თავის შეცდომას“.

ცხადია, არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად იურგენ კლინსმანი. მან თავისი დიდი კარიერის მანძილზე ერთხელაც არ დაუშვა შეცდომა. კლინსმანი ყოველთვის იმ გუნდში გადადიოდა, სადაც მეტს უხდიდნენ. და მაინც, გერმანელი ფორვარდი, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ლეგენდები დადის, მთლად მარტო არ მოქმედებს. იგი მუდამ შეეცარიელ ადვოკატს კრისტიან გროსს ეყრდნობა.

ხშირად ფეხბურთელები ცოლებთან პარტნიორობენ. აქ მხოლოდ საოჯახო თანამშრომლობა და მეგობრობა არ ივულისხმება, აქ საქმეზეა ლაპარაკი. ასეთები გახლავან გერმანელები ბერნდ შუსტერი და ბოდო ილვენერი, ფრანგი იური ჯორკაეფი კი მამამისის, ჟანის მფარველობის ქვეშაა. სხვათა შორის ჟან ჯორკაეფი ახალგაზრდობაში თავადაც საფრანგეთის ნაკრების წევრი გახლდათ.

„საოჯახო აგენტებმა“ ხშირად შესაძლოა შეცდომაც დაუშვან (ტიერი ანრის მამა ძალიან მონდომებული იყო, მისი შვილი მადრიდის „რეალში“ რომ გადასულიყო), მაგრამ ისინი გარეშე აგენტებთან შედარებით უფრო საიმედონიც არიან. ზოგი აგენტი კლუბის ან ნაკრების ტურნეს აწყობს და ამით შოულობს ფულს. ტრანსფერი მათთვის კრემია ნამცხვარზე, მაგრამ რაოდენ იოლადაც იკაფავენ ისინი ეზას კლუბების, ფედერაციებისა და გასახდელებისკენ, იმდენად იოლადვე შეიძლება დასხლტნენ. ამის ნათელ მაგალითად „მარსელის“ საქმე იქცა, რომელმაც აგენტთა ფლიდობის შემთხვევები გამოაშკარავა და შეიძლება ითქვას, რომ ამ პროფესიის ადამიანებს ერთვაროვნად საზელიც გაუფუჭა.

ახლა ისტორიაზე ვთქვათ. 1970-იან წლებში, როდესაც სპონსორობამ ევროპაში ფეხის მოკიდება დაიწყო, აგენტებმა ფეხბურთისკენ შოუ ბიზნესიდან იწყეს დენა. თავიდან მათი ფუნქცია ფეხბურთელისა და სპონსორის დაკავშირება გახლდათ. თანდათანობით ჭკუამახვილებისთვის ნათელი გახდა, რომ ფეხბურთელებითა და მათი კონტრაქტებით დიდი მანიპულირებაა შესაძლებელი. დღეს კარგი აგენტები მაღალშემოსავლიანები არიან, ისინი ძვირადღირებულ ტრანსფერებს აწყობენ, ეს ყველაფერი კი პირდაპირ ითასება ტელე და სტადიონების შემოსავლებზე.

ხანდახან აგენტს ფეხბურთელი კი არა, კლუბი უხდის ფულს. ესეც „მარსელია“ და ბერნარ ტაპის საქმემ გამოააშკარავა. აგენტები ცდილობენ, ამა თუ იმ კლუბს ფეხბურთელები საზღვარგარეთულ კლუბებში გაუყიდონ და შემოსავლის წილში არიან. აგენტმა თავისი „საქონელი“ ხუთი თითივით უნდა იცოდეს. მაგალითისთვის მანუელ ბარბოსა მოვიყვანოთ, რომელიც ბრაზილიელი ფეხბურთელის კარლოს მოზერის პორტუგალიური „ბენფიკიდან“ „მარსელში“ გადაყვანის საქმეს ჩარხავდა. ოფიციალურად, სატრანსფერო თანხა გახლდათ 2,75 მილიონი გირვანქა სტერლინგი. აქედან 2 მილიონი „ბენფიკას“. ერგო, 100 ათასი ბარბოსამ მიიღო, დარჩენილი 650 ათასი კი მოზერს ხვდა წილად. ამ გარიგებაში ჩართული ბარბოსა, მოსწონდა ეს თუ არა, ტაპის იარაღი გახლდათ.

მსგავსია ნორვეგიელი რუნე ჰაუგეს ისტორიაც. ივი ფეხბურთელების ინგლისში გაყიდვაზე მუშაობდა და თანხის გარკვეულ ნაწილს თავისი საჭიროებისთვის ხარჯავდა. მასთან დაკავშირებული, ყველაზე გახმაურებული ამბავი გახლდათ 400 ათას გირვანქიანი მაღლობა ჰაუგემ იმდროინდელი „არსენალის“ მწვრთნელს ჯორჯ გრემს რომ გადაუხადა. ეს მადლობა ნორვეგიელმა აგენტმა დანიელი ჯონ იონსენისა და თავისი თანამემამულე პალ ლიდერსენის გაყიდვაში გაწეული დახმარებისთვის მოიხადა.

ნორვეგიელი აგენტი რუნე ჰაუგე

უმაღლესი კვალიფიკაციის აგენტებს მშვიდი ცხოვრება არ აქვთ. შეეცარიელმა ვინჩიო კიორნეკმა ახლახან გაიგო, რომ ლეონ მაკენაც, „ეს აუცილებელია — ამბობს ფიორანელი — თორემ ვერ შეხვდები ისეთ ფეხბურთელს, კარგი გეგმა ვერ შეიმუშავებ“.

თუმცა რონალდოს აგენტი ბრანჩინი, რომელმაც ახლა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, ერთგვარად რისკავდა. შეიძლებოდა იგი სარეიტინგო შკალის ფსკერზეც აღმოჩენილიყო.

იურგენ მილევსკი, „ჰამბურგის“ ყოფილი ფეხბურთელი, დღეს კი გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული აგენტი ამბობს: „ჩვენი დახმარება ახალგაზრდა მოთამაშეებს გაცილებით უფრო სჭირდებათ, ვიდრე ვეტერანებს“.

ისე არ გაიგოთ, თითქოს აგენტები არასდროს ცდებიან და ფეხბურთელებს მუდამ სწორ რჩევას აძლევენ, მაგრამ ყოველდღიური, თანმიმდევრული შრომის შედეგად ისინი წინა პლანზე გაჰყავთ და უკეთ თამაშსაც აიძულებენ. თუმცა უცნაური ისტორიებიც ხდება. ასეთი გახლდათ შონ დანდის ამბავი. დანდის „კარლსრუეს“ შემადგენლობაში იმდენი გოლი გაჰქონდა, რომ აგენტებმა ჰანს გეორგ ჰინდერლინგმა და ალექსანდერ ვაკერმა მას საზაფხულოდ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადასვლა გაუწალიჩეს. ლამის ყველაფერი მოგვარებული იყო, როდესაც დანდიმ გოლების გატანა შეწყვიტა. ამით აღშფოთებულმა „კარლსრუემ“ იჩივლა... ფეხბურთელის ფორმიდან ამოვარდნა გარიგებაზე ფიქრის ბრალიაო და დანდი აიძულა აგენტები დაეთხოვა.

აი, კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც აგენტის ჩარევამ საქმე გააფუჭა. ამ ზაფხულზე ბრაზილიელი დენილსონი სარეკორდო საფასურად „ბარსელონაში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ აგენტმა თავის წილად 3 მილიონი გირვანქა ითხოვა და გარიგება ჩაშალა.

არადა, თუ საქმე აეწყო, აგენტობა დიდებული საქმეა.

ძირ რედნიჯი
„უორლდ სოკერი“

ლეგიონერთა ფიფას მიერ ლიცენზირებული 35 ქვეყნის 286 აგენტი

ინგლისი	47
გერმანია	35
ესპანეთი	29
საფრანგეთი	23
იტალია	20
შვეიცარია	16
ბელგია	13
შოტლანდია	13
პორტუგალია	13
ჰოლანდია	11
არგენტინა	8
ნორვეგია	7
ბრაზილია	5
ისრაელი	5
ავსტრია	5
შვედეთი	4
აშშ	4
კორეა	3
საბერძნეთი	3
იუგოსლავია	2
დანია	2
რუმინეთი	2
ჩეხეთი	2
უნგრეთი	2
ურუგვაი	2
ალბანეთი	1
ავსტრალია	1
ბელგარეთი	1
ჩილე	1
იაპონია	1
პარაგვაი	1
პოლონეთი	1
სლოვაკეთი	1
საამიროები	1
ჩორვატია	1

მარანელოში იუბილეა
Ferrari 50

რბოლებში მონაწილეობა:	587
გამარჯვება:	113
პოლი:	121

მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის
1961, 1964, 1975, 1976, 1977, 1979, 1982, 1983

მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში
1952, 53 ალბერტო ასკარი (იტალია); 1956 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა); 1958 მაიკ ჰოუთორნი (დიდი ბრიტანეთი); 1961 ფილ ჰილი (აშშ); 1964 ჯონ სურტისი (დიდი ბრიტანეთი); 1975, 77 ნიკი ლაუდა (ავსტრია); 1979 ჯოდი შექტერი (სამხრეთი აფრიკა)

დღეს მსოფლიოს ავტოსპორტი წარმოუდგენელია „ფერარის“ ავტომობილების გარეშე. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ავტომოყვარულები ამაყად აფრიალებენ ლეგენდარული „სკუდერიას“ ალმებს, იტალიელი ტიფოზებისთვის კი ეს გუნდი ეროვნული სიმბოლოა და საკუთარივით ხარობენ და განიცდიან მის ყოველ წარმატებას და მარცხს.

„ფერარი“ მსოფლიო ავტოსპორტში ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფორმულა 1-ის ყველა მსოფლიოს ჩემპიონატში უსპარეზია და ყველაზე მეტჯერაც გაუმარჯვია ეტაპებზე. მხოლოდ „ფერარი“ ამზადებს მთლიანად სარბოლო ბოლიდებს და საკუთარ ტრასაზეც ცდის. „ფერარის“ სახელით ურბოლიათ ისეთ ვარსკვლავებს, როგორიც არიან ასკარი, ფარინა, ფანხიო, ჰოუთორნი, ფილ ჰილი, ფონ ტრიპსი, ბანდინი, მარიო ანდრეტი, იქსი, რეგაცონი, ლაუდა, შექტერი, ჟილ ვილნევი, ალბორე, ბერგერი, ალეზი, პროსტი, მენსელი და მიხაელ შუმახერი. ზოგმა მათგანმა კი ალისფერი ბოლიდის სჭესთან დალია სული — ფონ ტრიპსმა, ბანდინიმ, ჟილ ვილნევმა.

1951 წელი. სილვერსტოუნი. ფერარის პირველი გამარჯვებული არგენტინელი ხოსე ფლორიან გონზალესი

1947 წლის ტრასებზე პირველად გამოჩნდა წითელი ავტოები, რომელთაც ემბლემად ყალყზე შემდგარი ცხენი ამშვენებდა. ამ ბოლიდებმა გამოწვინისთანავე ბრძოლა გაუმართეს მაშინდელ გრანდებს „ალფა-რომეოს“ და „მაზერატის“. 1950 წლის მონაკოს დიდი პრიზი „ფერარის“ დებიუტი იყო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში. გუნდის პრეზიდენტის, ძალიან „კომედატორეს“ ენცო ფერარის (1892-1988) ხელმძღვანელობით ფერარელები ჯერუტად მიწევდნენ ავტოსპორტის მწვერვალისკენ. ფერარი თავისი პილოტებისგან მხოლოდ გამარჯვებებს ითხოვდა და ვერ ჰგუობდა, თუ რომელიმე მისი ბოლიდის ნაკლოვანებაზე ჩამოაგდება სიტყვას. ამიტომაც იყო, რომ პილოტებს ხშირად მოულოდნელად დათხოვდა ხოლმე. ყოველგვარი განმარტების გარეშე, არადა, არცთუ იშვიათად წარუმატებლობის მიზეზი კონსტრუქტორთა შეცდომები გახლდათ. ასეთ რისხვას ვერც ნაკი ლაუდა გადაურჩა. ეს ტრადიცია „კომედატორეს“ სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა და შერისხულთა შორის თვით ალენ პროსტიც აღმოჩნდა. ერთადერთი პილოტი, რომელსაც ენცო ფერარი ღმობიერად ეპყრობოდა, ფორმულა 1-ის „უფლისწული“ ჟილ ვილნევი იყო, რომელმაც, როგორც ამბობენ, უფრო მეტი წითელი ბოლიდი დაამსხვრია, ვიდრე ყველა მისმა წინამორბედმა.

თავად ფერარი მას „ჩემს დამაქცევარ უფლისწულს“ უწოდებდა. მიუხედავად ამისა, ჟილი „ფერარის“ თაყვანისმცემელთა უსაყვარლეს პილოტად დარჩა. მისი სურათი დღესაც ამშვენებს ენცო ფერარის კაბინეტს. ეს სიყვარული კანადელმა გამარჯვების ჟინით და ნაქები სისწრაფით

მიხაელ შუმახერი: „სკუდერიას“ გერმანელი იმედი

დაიმსახურა, „ფერარი“ კი სწორედ სისწრაფის სიმბოლოა და ავტომოყვარულთა შორის მის ასოციაციას იწვევს. თავად „კომედატორეც“ კი ამბობდა, „პილოტებს იმ ასოციაციის მიხედვით ვირჩევ, რომელსაც ისინი ჩემში აღძრავენ“.

პირველი გამარჯვება ფორმულა 1-ის ტრასებზე „ფერარის“ არგენტინელმა ხოზე ფლორან გონზალესმა მოუტანა 1951 წელს სილვერსტოუნში, 1952-53 წლებში კი ალბერტო ასკარიმ ჩემპიონის პირველი ორი ტიტული აჩუქა „სკუდერიას“. საერთოდ, 50-იან წლებში „ფერარიმ“ მსოფლიოს 10 ჩემპიონატში 4 ტიტული მოიპოვა. ასკარის წარმატება 1956-ში ლეგენდარულმა ფანხიომ გაიმეორა, 1958 წელს კი ჩემპიონობა ჰოუთორნმა მოიპოვა.

1961 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ფერარელები — გერმანელი ფონ ტრიპსი და ამერიკელი ფილ ჰილი ეცილებოდნენ ერთურთს. იტალიის დიდ პრიზზე ტრაგედია დატრიალდა. ფონ ტრიპსი დაიღუპა. ჩემპიონის ტიტული ამერიკელს დარჩა.

ჩემპიონის მომდევნო ტიტული იტალიელებს ბრიტანელმა ჯონ სურტისმა მოუტანა 1964 წელს და ამის შემდეგ ტიფოზებს კარგა ხანს მოუწიათ წარმატების ლოდინმა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ძლიერი პილოტები ბანდინი, იქსი, სურტისი, რეგაცონი, ანდრეტი, ამონი გამოდიოდნენ.

1967 წელს მორიგი ტრაგედია დატრიალდა — მონტეკარლოში რბოლისას ლორენცო ბანდინი დაიღუპა.

„ფერარის“ შემდგომი წარმატებები ნიკი ლაუდას სახელთან არის დაკავშირებული. 1974 წელს „კომედატორემ“ გუნდში რეგაცონი და ლაუდა მიიწვია, პირველივე წელს რეგაცონიმ ჩემპიონატი მე-2 ადგილზე დაასრულა, 1975-ში კი ლაუდამ იტალიელებს დიდი ხნის ნანატრი პირველობა მოუტანა. მომდევნო წელს „ნიურბურგრინგზე“ მძიმე ავარიამ ლაუდას ტიტული დააკარგვინა. ძლივს მოკეობინებულმა ავსტრიელმა ბოლო ეტაპზე ავდარში რბოლა შეწყვიტა, პირველობა ჰანტს დაუთმო და „კომედატორეს“ წყრომა დაიმსახურა, თუმცა კი 1977 წელს პირველობა დაუბრუნა იტალიელებს და გუნდიდანაც წავიდა. ამავე წელს „ფერარის“ საჭეს პირველად მიუჯდა ჟილ ვილნევი და პირველივე რბოლაში ნამსხვრევებად აქცია ალისფერი ბოლიდი, თანაც ორი მაყურებელიც იმსხვერპლა.

1979 წელს სამხრეთაფრიკელმა შექტერმა ტიტული მოუპოვა „სკუდერიას“, ვილნევი მეორე იყო, მაგრამ სხვადასხვა მაჩვენებლებით აშკარად დაჩაგრა ჩემპიონი.

ამის შემდეგ იწყება ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება — „ფერარი“ ვერაფრით ახერხებს პირველობის მოპოვებას. ეგ იყო, 1982-83 წლებში კონსტრუქტორთა შორის უძლიერესი გახლდათ.

1982 წელს გუნდს მორიგი ტრაგედია დაატყდა თავს, ბელგიაში ვარჯიშისას დაიღუპა ტიფოზთა კერპი ჟილ ვილნევი, რომლის „ფერარიმ“ იმ წელს მრავალი სიხარული არგუნა თაყვანისმცემლებს და გამარჯვების იმედიც ჩაუსახა მათ. რამდენიმე რბოლის შემდეგ კი პირონის შეეშინდა ავარია და სამუდამოდ დაეშვიდობა ავტოსპორტს, რამდენიმე წელიწადში კი კატარელებით რბოლისას დაიღუპა.

80-იან წლებში, მიუხედავად ძლიერი შემადგენლობისა, „ფერარი“ ვერაფერს აწყობდა იმ დროის საუკეთესო გუნდთან „მაკლარენთან“ და მხოლოდ მეორე პოზიცას სჯერდებოდა.

1988 წელს გარდაიცვალა ენცო ფერარი და გუნდის ხელმძღვანელობა ლუკა

„კომედატორე“ ენცო ფერარი

ჟილ ვილნევი: ფერარის „დამაქცევარი უფლისწული“

დი მონტეზემოლომ ითავა. „მაკლარენისა“ და სენას წინააღმდეგ საბრძოლველად მან გუნდში მენსელი და პროსტი მიიწვია, მაგრამ ვერც ამათ მოუხერხეს ვერაფერი ბრაზილიელ ჯადოქარს და ფრანგი „პროფესორი“ გუნდიდან უბოდშოდ დაითხოვეს, წარმატება ვერც ბერგერ-ალეზის ტანდემმა მოიპოვა და გუნდში გამოჩნდა მიხაელ შუმახერი. შუმის გუნდში გადმოსვლას ემთხვევა „ფერარის“ აღმავლობაც და წლეულს გუნდი სანუკვარ ოცნებასთან ძალიან ახლოს იყო. როგორ დამთავრდა ეს წელი, ავტომოყვარულებმა კარგად უწყიან. სამომავლოდ კი „ფერარი“, როგორც ყოველთვის, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტია და ალბათ აუსრულებს კიდეც ოცნებას ტიფოზებს.

ალექო ბაბუციანი

დარჩება ფორმულა ფეხშიშველი და უფულო?

ჟაკ ვილნევმა „გუდიარს“ 350-ე გამარჯვება მოუტანა

ამერიკული საბურავების ფირმა „გუდიარი“ 1998 წლის ბოლოს დატოვებს ფორმულა 1-ს — ასეთი სენსაციური ცნობა გავრცელდა ხუთშაბათს. ეს დაადასტურა კომპანიის წარმომადგენელმა დერმოტ ბემბრიჯმა და თან დასძინა, ასეთი გადაწყვეტილება ფირმის ამერიკული ხელმძღვანელობისგან მომდინარეობს, მიზეზად კი ფორმულა 1-ის გაჭირვებას და გასვლას ახალი ტიპის საბურავების შემოღებას ასახელებენ. „გუდიარი“ ფორმულა 1-ში 1965 წლიდან მონაწილეობს, მას შემდეგ 361-ჯერ იზეიმა გამარჯვება და ამ საბურავებით ჩემპიონის 25 ტიტულია მოპოვებული პირად პირველობაში, 26 კი გუნდურში.

„გუდიარი“ მოწინავე გუნდების უმეტესობას ამარაგებდა, მაში წასვლის შემდეგ ვინ მიაწვდის მათ საბურავებს, ჯერ უცნობია. „ბრიჯსტოუნი“ გახდება მონოპოლისტი ამ სფეროში თუ ფრანგული „მიშელინი“ ან სხვა დაუბრუნდება ტრასებს, ეს 1999 წლისთვის გაირკვევა.

ამერიკელები კი აცხადებენ, რომ კვლავაც გააგრძელებენ CART-ის, IRL, NASCAR-ის ჩემპიონატებში მონაწილეობას.

სპორტული სკანდალების ჩაწყნარების შემდეგ ფორმულა 1-ში საორგანიზაციო-ფინანსური სკანდალების ჟამი დადგა.

ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და ბავშვთა დაცვის 80-ზე მეტი ორგანიზაცია მთავრობისგან ფორმულა 1-ში თამბაქოს რეკლამის აკრძალვას ითხოვს. ეს ყოველივე მოჰყვა ნოემბრის დამდეგს ბრიტანეთის მთავრობის თხოვნა-მიმართვას ევროკავშირის მმართველობის ორგანოებისადმი, შემცირებულიყო კონტროლი თამბაქოს რეკლამაზე სპორტის ამ სახეობაში. არადა, ფორმულა 1 ძირითადად თამბაქოს ფულით საზრდოობს და რეკლამის აკრძალვამ შესაძლოა ევროპის ზოგიერთი ქვეყნის „დიდი პრიზის“ გაუქმებაც გამოიწვიოს.

ერთსულოვნება არც ევროკავშირებში: ზოგი ქვეყანა ეთანხმება ბრიტანეთის მთავრობის მმართველობას, ზოგიც — არა. საქმეს ისიც ართულებს, რომ თამბაქოს რეკლამის აკრძალვამ შეიძლება დასაქმების პრობლემებიც გააჩინოს, რაც არცთუ ისე სასურველია მმართველი წრეებისთვის.

შექმნილი ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა ცნობამ იმის თაობაზე, რომ ლიბერისტებმა ფორმულა 1-ის ბოსისგან ბერნი ეკლსტოუნისგან 1 მილიონი გირვანქა სტერლინგის შემოწირულობა მიიღეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გასულ კვირას ბოდში მოიხადა ეროვნული ტელევიზით, ეს ცნობა მთლად ზუსტი არ იყოო, თან კი დასძინა, ლეიბორისტთა პარტია შემოწირულობას ეკლსტოუნს უკან კი უბრუნებს, მაგრამ ჩვენი მთავრობა თავის თხოვნა-მიმართვაზე უარს არ ამბობსო.

თამბაქოს რეკლამის აკრძალვით ფორმულა 1-ის პილოტები 100 მილიონ გირვანქამდე შემოსავალს დაკარგავენ და ამ სახეობის თავკაცებსაც თავისი წილი მოაკლდებათ. არის გამოსავალიც — ეტაპების უმეტესობა მოეწყოს იმ არაევროპულ ქვეყნებში, სადაც თამბაქოს რეკლამა აკრძალული არ არის და რომლებიც კარგა ხანია ელიან ფორმულა 1-ის სტუმრობას. ამ საკითხს ევროკავშირის ქვეყნების მინისტრები დეკემბრის დამდეგს განიხილავენ და ყველაფერი საბოლოოდ მაშინ გაირკვევა.

ფორმულა 1-ის ტრასები შესაძლოა თამბაქოს რეკლამის გარეშე დარჩეს

რეგულარული ჩემპიონატი

წაგება ყველას წილია

24 ნოემბერი

იუტა 133:124 მინესოტა

იუტა: მელოუნი (33), ჰორნაჩეკი (25)
მინესოტა: მარბერი (38+10 პასი), გულიოტა (16)

ტორონტო 90:91 პორტლენდი

ტორონტო: სტუდემაიერი (29+11 პასი), უოლესი (20)
პორტლენდი: უოლესი (16), საბონისი (12+16 მოხსნა + 8 პასი)

ტორონტომ ზედიზედ მეათედ წააგო.

ორლანდო 95:87 ვაშინგტონი

ორლანდო: საიკლი (24+13 მოხსნა)
ვაშინგტონი: უებერი (29+16 მოხსნა), ჰოვარდი (20)

25 ნოემბერი

გოლდენ სტ. 87:101 ნიუ ჯერსი

გოლდენ სტეიტი: მარშალი (25+22 მოხსნა), სმიტი 20
ნიუ ჯერსი: კასელი (18)

ისევე როგორც კლიპერსსა და ტორონტოს, გოლდენ სტეიტსაც კინკილა მოგება აქვს და, ეტყობა, მეორეზე ფიქრით თავს არ იწუხებს.

სიეტლი 91:90 ჩიკაგო

სიეტლი: პეიტონი (22+12 პასი), ბეიკერი (19+12 მოხსნა)
ჩიკაგო: კუკოჩი (30), ჯორდანი (26), როდმანი (4+17 მოხსნა)

ჩიკაგოში უკვე დარწმუნებით ლაპარაკობენ პიპენის სხვა გუნდში გადასვლაზე. მისი შეძენა ძალიან სურს „ლოს ანჯელეს ლეიკერსს", რომელსაც კონკურენტიც ჰყავს — „ფინიქს სანზი". ამ სეზონის თამაშებიდანაც ჩანს, რომ ჩიკაგოს მის გარეშე ძლიერ გაუჭირდება. სიეტლთან მატჩი ხარებისთვის სეზონში მეთოთხმეტე იყო, მარცხი კი მეექვსე. რას იზამს ეულად ჯორდანი თავისი მარჯვენა ხელის გარეშე, ძნელი სათქმელია. ამ თამაშსაც, ისევე როგორც სხვებს, ტერფმტკივანი სკოტი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. ეს მატჩი მისმა გუნდმა ბოლო წამებზე წააგო. თამაშის დამთავრებამდე 40 წამით ადრე გერი პეტტონის ზუსტი საჯარიმოს მიუხედავად „ბულზი" მანც 90:89 იგებდა, მაგრამ სტუმართათვის საბედისწერო რენდი ბრაუნის არაზუსტი სროლა აღმოჩნდა. ბურთს სიეტლი დაეუფლა და ორიოდე წამი იყო დარჩენილი, როცა ვინ ბეიკერმა ლუკ ლონგლის აჯობა და მისიანებისთვის გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წინა სეზონში სიეტლმა ჩიკაგოსთან ორივე მატჩი წააგო და ეს მოგება 1996 წლის ფინალში 4:2 დამარცხების შემდეგ მისთვის პირველი იყო.

საკრამენტო 97:93 დენვერი

საკრამენტო: უილიამსონი (24+10 მოხსნა), რიჩმონდი (22)
დენვერი: ნიუმენი (19), გარეტი (13+21 მოხსნა)

დალასი 91:102 სან ანტონიო

დალასი: ფინლი (20), ბრედლი (16+10 მოხსნა + 6 დაფარება)
სან ანტონიო: რობინსონი (22+11 მოხსნა), ელიოტი (19)

დალასმა ეს მატჩიც დათმო, უკვე ზედიზედ მეათე. მან პირველი მეოთხედში 17:40 წააგო, მესამე მეოთხედში კი თავი გამოიდეს სკოტმა (15 ქულა მატჩში) და ფინლიმ, მაგრამ 7 ქულაზე ახლოს ვერ გაეკარნენ თანაშტატელებს.

შარლოტი 90:85 დეტროიტი

შარლოტი: რაისი (21), გეიგერი (17)
დეტროიტი: უილიამსი (27+10 მოხსნა), ჰილი (19)

მაიამი 103:86 ლეიკერსი

მაიამი: ჰარდეიზი (22), მაშბურნი (22)
ლეიკერსი: ვან ექსელი (21), კემპბელი (17)

თუ ატლანტას ნიუ იორკმა გაუფუჭა გუნება, ლეიკერსს მაიამიმ წაუხდინა ხასიათი. ატლანტის დარად, ვეღარც ლეიკერსი გაეჯიბრება ჰიუსტონის ზედიზედ 15 მოგებას. ორივე გუნდი მაშინ გამოაფხიზლეს ოცნებიდან, როცა 11 მოგება ჰქონდათ. ლეიკერსი 86 ქულას დასჯერდა მაშინ, როცა საშუალოდ თამაშში მისი მონაგარი 111,9 ქულა იყო. მაიამის მოგებაში მთავარი როლი ითამაშა ლეიკერსის ყოჩის შაკილ ონილის არყოფნამ. ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ მაიამის დამრიგებელი გაზლავთ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი პატ რაილი, ეს კი ის კაცია, ვინც ლეიკერსი ოთხჯერ გაიჩემპიონა 80-იან წლებში. ამ მოგებით მაიამი გაუტოლდა ორლანდოს და ნიუ იორკს და ეს სამეული ლიდერობს ატლანტის დივიზიონს.

ირაკლი ფირაყვილი



სიეტლი — ჩიკაგო. ვინ ბეიკერის ამ სროლამ სიეტლს გამარჯვება მოუტანა

მარჯვე ცაციები

გორან ივანიშევიჩი

კაცმა ჩოგბურთელებმა, როგორც იქნა, დაამთავრეს უსაშველოდ გაწელილი და ათობით ტურნირით დახუნძლული სეზონი და ATP-იმაც წლის ბოლოს თამაშის სხვადასხვა კომპონენტებში ლიდერთა სიაც გამოაქვეყნა (არაა გათვალისწინებული მსოლფიოს ჩემპიონატის შედეგები).

ეისების მხრივ ისევე, როგორ შარშან, პირველ ადგილზე ცაცია ხორვატი გორან ივანიშევიჩი გავიდა, რომელსაც წლის განმავლობაში 1071 სუფთად მოგებული მოწოდება დაუგროვდა. მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი — ინგლისელი გრეგ რუზეცკი მეორე ადგილს დასჯერდა, მესამე კი უომბლდონის შარშანდელი ჩემპიონი — ჰოლანდიელი რიჩარდ კრაიჩეკი აღმოჩნდა.

	ეისი	მატჩი
1. გორან ივანიშევიჩი	1048	71
2. გრეგ რუზეცკი	989	71
3. რიჩარდ კრაიჩეკი	987	68
4. მარკ ფილიპუსისი	886	65
5. მარკ-კევინ გოლენერი	646	55
6. პიტ სამპრასი	627	60
7. მაგნუს ნორმანი	596	67
8. პიტრიკ რაფტერი	588	84
9. ტიმ ჰენმანი	565	70
10. ალექს რადულესკუ	527	50
13. გუსტავო კუერტენ	480	56
15. პეტერ კორდა	456	74

საკუთარ პირველ მოწოდებაზე მოგებული ბურთების პოხედვით ძირითადად იგივე ჩოგბურთელები ლიდერობენ, რაც ეისების გრაფაში, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ივანიშევიჩმა და კრაიჩეკმა ადგილები გაცვალეს.

1. რიჩარდ კრაიჩეკი	86 %	68
2. გრეგ რუზეცკი	84 %	71
3. გორან ივანიშევიჩი	83 %	71
4. პიტ სამპრასი	82 %	60
5. ტიმ ჰენმანი	80 %	70
6. მარკ ფილიპუსისი	80 %	65
7. მარკ-კევინ გოლენერი	80 %	55
8. ტომას ენქვისტი	78 %	56
9. ალექს რადულესკუ	78 %	50
10. მარკ როსე	77 %	62
13. პატრიკ რაფტერი	76 %	84

თუ პირველ მოწოდებაზე ძირითადად მძლავრი მოწოდების მქონე ჩოგბურთელები ჯეჯილობენ, მეორეზე, როცა დარტყმის სისწრაფე და მასთან ერთად ქულის იოლად მოპოვების შანსი გაციებით მცირდება, უკვე უკანაზაზელები და მოთიხნარეები — რიოსი, ჩანგი, მუსტერი და მისთანანი ხეირობენ, თუმცა, პირველი ადგილი მაინც გრეგ რუზეცკის უპყრია.

1. გრეგ რუზეცკი	54 %	71
2. მარსელო რიოსი	53 %	78
3. მაიკლ ჩანგი	53 %	73
4. ტომას მუსტერი	53 %	65
5. პიტ სამპრასი	53 %	60
6. ალბერტ კოსტა	53 %	58
7. გიიომ რაუქსი	53 %	52
8. იონას ბიორკმანი	52 %	89
9. პატრიკ რაფტერი	52 %	84
10. ფელიქს მანტია	52 %	74
11. ალექს კორეჩა	52 %	71
12. რიჩარდ კრაიჩეკი	52 %	68

გრეგ რუზეცკი

ლიდერი საკუთარი მოწოდებების შენარჩუნების მიხედვითაც გრეგ რუზეცკა, და ეს გასაკვირი არც არის, მაგრამ ამ სიაში 1,72 მ სიმაღლის მარსელო რიოსის მოხვედრა, თუკინდ მეთხუთმეტე ადგილზე, ლამის გმირობის ტოლფასია.

1. გრეგ რუზეცკი	91 %	71
2. რიჩარდ კრაიჩეკი	91 %	68
3. პიტ სამპრასი	91 %	60
4. გორან ივანიშევიჩი	88 %	71
5. მარკ ფილიპუსისი	86 %	65
6. პატრიკ რაფტერი	85 %	84
7. ტომას ენქვისტი	84 %	56
8. პეტერ კორდა	83 %	74
9. ტიმ ჰენმანი	83 %	70
10. მაგნუს ლარსონი	83 %	61
11. მარსელო რიოსი	81 %	78

ჩოგბურთელის კლასისა და მისი ფსიქოლოგიური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი მანიშნებელი ის არის, თუ როგორ თამაშობს იგი მატჩის უმნიშვნელოვანეს მომენტებში — ბრეიკ-პოინტებზე. მაგრამ აქვე ერთი ფაქტიც უნდა გავითვალისწინოთ — ბრეიკ-პოინტების გადარჩენა ცაცია ჩოგბურთელებისთვის გაციცებით იოლია, ვიდრე მემარჯვენესათვის, რადგან მეორე კვადრატში მოწოდება მემარცხენისათვის უფრო მოსახერხებელია. ამიტომაც ბრეიკ-პოინტების გადამრჩენთა სიაში პირველ სამ ადგილზე ცაციები არინ მოკალათებული.

1. გორან ივანიშევიჩი	71 %	71
2. გრეგ რუზეცკი	69 %	71
3-4. ტომას მუსტერი	68 %	65
მარკ ფილიპუსისი	68 %	65
5. რიჩარდ კრაიჩეკი	67 %	68
6. პიტ სამპრასი	67 %	60
7. იან სმერინკი (ცაცია)	67 %	48
8. პატრიკ რაფტერი	66 %	84
9. მაგნუს ნორმანი	66 %	67
10. პეტერ კორდა (ცაცია)	65 %	74

ჩოგბურთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მიღებაზე თამაშია, რომლის გარეშეც წარმატებაზე ფიქრი რუზეცკისნაირებისთვისაც კი შეუძლებელი იქნებოდა. ამ მაჩვენებლით ATP ტურში ძირითადად მოთიხნარე ესპანელები გამოირჩევიან, რადგან თიხნარზე მოწოდებას სისწრაფე აკლდება და მისი „მოთვინიერება" გაცილებით იოლია. ამიტომ მიღებაზე თამაშის რეალურ ლიდერებად მანტია, კორეჩა, კლავეტი და ბარასატეგი კი არ უნდა მოვიხნიოთ, არამედ ძირითადად სწრაფ კორტებზე მოასპარეზე ჩოგბურთელები ჩანგი, ბიორკმანი, ვუდბრიჯი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი.

1. ფელიქს მანტია	33 %	74
2. მაიკლ ჩანგი	33 %	73
3. ალექს კორეჩა	33 %	71
4. იონას ბიორკმანი	32 %	89
5. ფრანსისკო კლავეტი	32 %	65
6. კარლოს მოია	31 %	82
7. ალბერტო ბარასატეგი	31 %	66
8. სერხი ბრუგერა	30 %	60
9. კაროლ კუჩერა	30 %	60
10. ტოდ ვუდბრიჯი	30 %	50
11. მარსელო რიოსი	28 %	78
12. პიტ სამპრასი	28 %	60
14. ანდრეი მედვედევი	28 %	53

გარდა ამისა, შედარებით ნაკლებად და საინტერესო კატეგორიებში პირველები იყვნენ: გამოყენებული ბრეიკ-პოინტების მიხედვით — კარლოს მოია 46% (82 მატჩი), პირველი მოწოდების ჩაგდების მიხედვით 73% (66 მატჩი).

ავთანდილ სვანიძე

რეგულარული ჩემპიონატი

სხვისი ხარ, მაგრამ კარგი ხარ

რეინჯერსი — ვანკუვერი 2:4

შაიბები: სკაჩარდი 4 (0:1), მესიე 8 (0:2), ლაფონტენი 14 (1:2), ბურე 11 (1:3), სილინჯერი 5 (1:4), სუინი 5 (2:4).

1994 წელს ლიგის ორი ავტორიტეტის — მაიკ კინენისა და მარკ მესიეს ძალისხმევით ნიუიორკელმა „რეინჯერებმა" დიდი ხნის ნანატრი სტენლის თასი მოიპოვეს. მას მერე სამნახევარი წელი გავიდა და მესიე პირველად გამოვიდა „მედისონ სკვერ გარდენის" ყინულზე სტუმრის როლში, მის გუნდს კი ახლაც „რკინის მაიკი" უძღვება.

ნამდვილი სასწაული მოხდა: ნიუიორკელმა მაყურებლებმა ტრადიციას უღალატეს და სტუმართა კაპიტანს მთელი მატჩის განმავლობაში ტაშით აჯილდოებდნენ, ხოლო როცა მესიემ კონტრშეტევაში ლამაზი გოლი გაიტანა, ოვაციები გაუმართეს. ეს განწყობა თითქოს რეინჯერსსაც გადაედო და მასპინძლები, ფაქტობრივად, მესიესა და მის პარტნიორთა თამაშს შეჰყურებდნენ. მხოლოდ ერთხელ, მესამე პერიოდის დასაწყისში გახდა ვანკუვერელთა უპირატესობა საეჭვო: სტუმრებთან თითქმის მარტო-დმარტო მებრძოლმა ლაფონტენმა (1+1, 14 და 15 ქულა ბოლო 6 მატჩში) სხვაობა შეამცირა და თანაკლუბელები გამოაცოცხლა. მაგრამ სამი წუთის შემდეგ რიცხვრაველობაში მყოფ ნიუიორკელებს ბურესა და ჰედიკანის ბრწყინვალე კომბინაცია გამოეპარათ და რუსმა ფორვარდმა უმალ დაწყვარა მოწინააღმდეგე. ვანკუვერმა ორი ქულა მიითვალა, ტრიბუნებმა კი გულმხურვალედ გააცილეს თავიანთი ყოფილი კერპი — მესიე. მისი მეგობრის, უეინ გრეცკის თქმით, მარკმა დიმსახურა ეს სითბო და ყურადღება. შეგახსენებთ, რომ წელს რეინჯერსმა ვანკუვერში მოუგო მეტოქეს და მაშინ სწორედ უეინი ბრწყინავდა.



მესიე და გრეცკი (99) კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთურთს

24 ნოემბერი. პიტსბურგი — ბუფალო 5:1, მონრეალი — სან ხოსე 2:2, დალასი — ანაჰაიმი 5:0.

25 ნოემბერი. ტორონტო — სან ხოსე 3:1, ფინიქსი — სენტ ლუისი 3:2, ედმონტონი — ჩიკაგო 2:2.

ანაჰაიმელი პოლ კარიას აქციები დღითიდღე იზრდება. მოგეხსენებათ, ვარსკვლავი კვლავ აგრძელებს საკონტრაქტო ომს თავის კლუბთან და რაც უფრო ცუდად თამაშობს ანაჰაიმი, მით უფრო მეტი შანსი აქვს ჰოკეისტს მისთვის სასურველი ხელშეკრულების გაფორმებისა. „იხვები" კი ბოლო ხანს მართლაც უხეიროდ ასპარეზობენ და უკანასკნელი ოთხი მატჩიდან სამში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანეს. ეს, ფაქტობრივად, ერთი მთამაშის, ტეემუ სელიანეს ნეიტრალიზებით მოხერხდა და ჩაკეტილი ფორვარდის პარტნიორებსაც თითქოს ხელ-ფეხი შეეკრათ — ვერაფრით იხეირეს.

ახლაც დალასმა მხოლოდ 13-ჯერ დარტყმის უფლება მისცა მეტოქეს და მისმა გოლკიპერმა ბელფორმა ზედიზედ მეორედ, სეზონში კი მეექვსედ (!) „მშრალად" შეინახა კარი. „ვარსკლავებს" სულაც არ გასჭირვებიათ მოგება — ამ და ერთი კვირის წინანდელ მატჩთა ჯამში 9 შაიბა შეუგდეს „იხვებს". დალასელი მოდანო კი 31(11+20) ქულით ბომბარდირთა სიას გაუძღვა.

სან ხოსემ სავალალო მდგომარეობიდან თავის დაღწევა ვეტერანთა გადაბირებით განიზრახა. მართალია, ახალშეძენილები — რიჩი და ლოური თავიანთ პირველ მატჩებში გამოირჩნენ, მაგრამ მთლიანობაში კალიფორნიელთა თამაში დიდად არ შეცვლილა და თუ მონრეალში „ზვიგენებმა" გოლკიპერ ჰრუდის საუცხოო თამაშის წყალობით ფრეს მაინც მიაღწიეს, ტორონტოში ვერაფერი მოუხერხეს მასპინძლებს და სამართლიანად დამარცხდნენ. მონრეალელმა კორსონმა მე-9 გოლი გაიტანა.

ბოლო ორ თამაშში გამოცოცხლებულ ბუფალოს, უეჭველია, სურდა, პიტსბურგშიც ასე გაეგრძელებინა, მაგრამ მასპინძლებს სულაც არ ეთმობოდათ მატჩი და სტუმართა გოლკიპერი ჰაშეკი გოლებით დასეტყვეს. „პინგვინთა" სამი შაიბის სულისჩამდგმელნი ახლახან გამოჯანმრთელებული მცველი ჰეჩერი (2+0,6) და ფორვარდი იაგრი (1+1,9) იყვნენ.

ფინიქსს რევანში სწყუროდა, რადგან სენტ ლუისმა საშინლად ჩაუმწარა ჩემპიონატის სტარტი — 7:2 მოუგო. მასპინძლებმა გამოიყენეს ეს შანსი, თუმცა, მინიმალური ანგარიშით გამარჯვება მთლიანად ვერ ასახავს მათ უპირატესობას: კორკამისა (4) და მცველ ნუბინენის (1+1,5) ძალისხმევით „კოიოტები" ორშაბიანი სხვაობით — 3:1 მოიგებდნენ, ბოლო წუთზე ჩემპიონატის საუკეთესო მცველ ბომბარდირს სტივ დიუშენს ანგარიში რომ არ შეემცირებინა.

ვანკუვერელმა პაველ ბურემ და კოლორადოელმა ფორსბერგმა კარიერაში მე-200 პასი მიითვალეს, ედმონტონელმა კოვალენკომ — 250-ე ქულა, მისმა პარტნიორმა უეტმა კი მე-400.

და ბოლოს, ორი ახალი ინფორმაცია: ნიუ ჯერსის ერთ-ერთმა საუკეთესო ძალისმიერმა ფორვარდმა — ბილ გერინმა მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის კლუბთან და უკვე მოასწრო ერთი მატჩის ჩატარება, ფლორიდის მწვრთნელი დუგ მაკლინი კი, რომლის დამსახურებაცაა „პანტერების" უმაღლესი მიღწევა — 1990 წლის თასის ფინალში გასვლა, დაითხოვეს და მას დროებით გენერალური მენეჯერი ბრაიან მიურეი შეცვლის.

სამველ ლარიბიანი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XVII ტური

28 ნოემბერი

კარლსრუე — ჰანზა	1,6	3,0	3,3
დუისბურგი — ჰერტა	196	3,0	4,4

29 ნოემბერი

კაიზერსლაუტერნი — ჰამბურგი	1,2	4,2	8,0
0:1	1,9	3,1	2,3
არმინია — შალკე	2,4	2,6	2,4
მიუნხენი— ბოხუმი	1,45	3,3	5,0
ვერდერი — შტუტგარტი	2,3	2,7	2,5
მიონხენგლადბახი — ვოლფსბურგი	1,5	3,1	5,0

30 ნოემბერი

ლევერკუზენი — ბაიერნი	2,3	2,7	2,5

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XV ტური.

28 ნოემბერი

ვატენშაიდი — ნიურნბერგი	2,4	2,6	2,4
ფორტუნა — ლაიპციგი	1,7	3,0	3,8
ზანქტ პაული — ურდინგენი	2,5	2,9	2,2

29 ნოემბერი

ცვიკაუ — კარლ ცაისი	1,9	2,8	3,2

30 ნოემბერი

ფიურტი — მეპენი	1,8	2,8	3,6
კოტბუსი — კიკერსი	1,7	3,0	3,8
დიუსელდორფი — ფრაიბურგი	2,1	2,9	2,7
მაინცი — აინტრახტი	3,1	2,9	1,9
უნტერჰახინგი — გიუტერსლო	1,8	2,8	3,6

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVI ტური

29 ნოემბერი

ბარნსლი — ლიდსი	3,0	2,8	2,0
ჩელსი — დერბი	1,35	3,3	6,5
0:1	2,0	3,2	2,0
ქოვენთრი — ლესტერი	2,0	2,9	2,9
კრისტალ პალასი — ნიუკასლი	2,4	2,8	2,3
ევერტონი — ტოტენჰემი	1,9	2,9	3,1
საუთჰემპტონი — შეფილდი	1,9	2,9	3,1
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა	1,8	2,9	3,4

30 ნოემბერი

არსენალი — ლივერპული	1,8	2,8	3,6
მანჩესტერი — ბლეკბერნი	1,35	3,3	6,5
0:1	2,0	3,2	2,0

1 დეკემბერი

ბოლტონი — უიმბლდონი	1,8	3,0	3,3

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

29 ნოემბერი

ბირმინგემი — პორტსმუთი	1,3	3,6	6,5
ბრედფორდი — ნორვიჩი	1,6	3,0	4,4
ჩარლტონი — სვინდონი	1,8	2,9	3,4
ჰადერსფილდი — ბერი	2,3	2,8	2,4
იფსვიჩი — ნოტინგემი	3,4	2,9	1,8
მიდლსბრო — ვესტ ბრომი	1,6	3,0	4,4
ოქსფორდი — პორტ ვეილი	2,3	2,8	2,4
შეფილდი — ქრიუ	1,15	4,7	9,0
სტოკპორტი — სიტი	1,5	3,1	5,0
სტოკი — რედინგი	1,25	4,0	7,0
სანდერლენდი — ტრანმერი	1,35	3,4	6,0
ვულვერჰემპტონი — ჭეინზ პარკი	1,7	2,9	4,0

საფრანგეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

29 ნოემბერი

ნანტი — მარსელი	2,3	2,8	2,4
ბორდო — მეცი	1,6	2,9	4,7
გინგამი — ბასტია	2,0	2,8	3,0
ლანსი — სტრასბური	1,6	3,0	4,4
ლიონი — რენი	1,4	3,2	6,0
მონპელიე — ლე ავრი	1,5	3,0	5,3
პსჟ — ოსერი	1,25	3,8	7,5
შატორუ — მონაკო	3,4	2,9	1,8
ტულუზი — კანი	1,4	3,2	6,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. X ტური

30 ნოემბერი

ბრეშა — ემპოლი	1,6	3,0	4,4
ფიორენტინა — პარმა	2,1	2,7	2,9
იუვენტუსი — ლაციო	1,6	3,0	4,4
ლეჩე — ვიჩენცა	2,3	2,7	2,5
მილანი — ბარი	1,15	4,7	9,0
0:1	1,6	3,2	3,0
პიაჩენცა — ნაპოლი	2,0	2,9	2,9
რომა — ატალანტა	1,35	3,3	6,5
სამპდორია — ინტერი	2,4	2,8	2,3
უდინეზე — ბოლონია	1,45	3,1	5,6

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XII ტური

29 ნოემბერი

ფოჯა — ლუკეზე	1,6	3,0	4,4

30 ნოემბერი

ანკონა — სალერნიტანა	2,4	2,8	2,3
კალიარი — რეჯინა	1,4	3,1	6,5
დი სანგრო — რეჯანა	1,8	2,9	3,4
კიევო — პერუჯა	2,0	2,7	3,1
ფ. ანდრია — ვერონა	3,0	2,8	2,0
ჯენოა — მონცა	1,6	3,0	4,4
პესკარა — პადოვა	1,5	3,0	5,3
ტორინო — ტრევიზო	1,5	3,0	5,3
ვენეცია — რავენა	1,15	4,7	9,0

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIV ტური.

29 ნოემბერი

სპორტინგი — ბეტისი	4,4	4,4	1,3

30 ნოემბერი

სოსიედადი — კომპოსტელა	1,5	3,8	3,8
ვალენსია — სალამანკა	1,25	4,0	7,0
0:1	1,8	3,2	2,4
დეპორტივო — ატლეტიკო	2,3	2,7	2,5
ტენერიფე — ესპანიოლი	2,1	2,9	2,7
მალიორკა — სარაგოსა	1,5	3,1	5,0
რასინგი — ოვიედო	1,8	2,9	3,4
რეალი — სელტა	1,2	4,2	8,0
0:1	1,9	3,2	2,2
ვალიადოლიდი — ბილბაო	2,3	2,6	2,6

1 დეკემბერი

ბარსელონა — მერიდა	1,2	4,2	8,0

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVI ტური

30 ნოემბერი

ორენსე — ნუმანსია	1,35	3,2	7,0
ხაენი — ლეიდა	2,4	2,6	2,4
სერესი — ლას პალმასი	2,3	2,6	2,6
ელჩე — ეიბარი	2,3	2,6	2,6
ესტრემადურა — ალბასეტე	1,5	3,0	5,3
ბადახოსი — ტოლედო	1,7	2,7	4,4
ლოგრონიესი — ვილიარეალი	2,1	2,6	3,0
სევილია — რაიო	2,0	2,8	3,0
ატლეტიკო B — ერკულესი	2,0	2,9	2,9
ლეგანესი — ოსასუნა	1,8	2,9	3,4
ალავესი — ლევანტე	1,2	4,2	8,0

პორტუგალიის ჩემპიონატი. XI ტური

29 ნოემბერი

ბელენენსეში — ბენფიკა	6,0	3,8	1,3

30 ნოემბერი

ვარზიმი — შავეში	1,35	3,4	6,0
მარიტიმუ — გიმარაეში	2,3	2,7	2,5
ამადორა — ბრაგა	1,8	2,9	3,4
სალგეირუში — ბოავიშტა	1,6	3,0	4,4
კამპმაიორენსე — რიუ ავე	2,4	2,6	2,4
სეტუბალი — აკადემიკა	1,5	3,1	5,0

1 დეკემბერი

პორტუ — ფარენსე	1,1	5,3	10,0
ლეცა — სპორტინგი	3,3	3,0	1,8

ჰოლანდიის ჩემპიონატი.

30 ნოემბერი

ტილბურგი — ბრედა	1,6	3,0	4,4
უტრეხტი — როდა	2,0	2,8	3,0
აიაქსი — სიტარდი	1,1	5,3	10,0
0:1	1,3	3,4	4,4
სპარტა — ფეიენოორდი	4,0	3,2	1,6
ტვენტე — ვოლენდამი	1,15	4,7	9,0
0:1	1,5	3,2	3,5
ვიტესი — ეინდჰოვენი	3,4	2,9	1,8
გრააფსხაპი — ნაიმეგენი	1,8	2,9	3,4

ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური

29 ნოემბერი

ვესტერლო — ეკერენი	2,5	2,9	2,2
ბევერენი — შარლეროა	2,1	2,9	2,7
ანტვერპენი — მუსკრონი	1,7	3,0	3,8
მოლენბეეკი — სტანდარდი	2,3	2,7	2,5
ლიერსი — გენკი	1,7	2,9	4,0
ლომელი — გენტი	1,5	3,0	5,3
სტ. ტრიუდენი — აალსტი	1,7	2,9	4,0

30 ნოემბერი

ბრიუგე — ანდერლეხტი	1,5	3,0	5,3
ჰარელბეკი — ლოკერენი	1,3	3,6	6,5

შოტლანდიის ჩემპიონატი. XV ტური

29 ნოემბერი

აბერდინი — სელტიკი	5,0	3,6	1,4
დანდი იუნაიტედი — ჰართსი	2,4	2,6	2,4
ჰიბერნიანი — მოზერველი	1,6	3,0	4,4
კილმარნოკი — დანფერმლაინი	1,9	2,9	3,1
რეინჯერსი — სტ. ჯონსტონი	1,1	5,3	10,0
0:1	1,5	3,2	3,5

შვეიცარიის ჩემპიონატი. XXI ტური

30 ნოემბერი

ბაზელი — გრასჰოპერი	7,0	4,0	1,25
კარუჟი — არაუ	4,4	3,0	1,6
კრინსი — სტ. გალენი	2,0	2,8	3,0
ლოზანა — ლუცერნი	1,15	4,7	9,0
0:1	1,6	2,8	3,5
სიონი — სერვეტი	2,0	2,9	2,9
ციურიხი — ქსამაქსი	1,8	2,8	3,6

ტურში გატანილი გოლები:

ინგლისი (მე-16).	25 და ნაკლები — 1,9;	27 და მეტი — 1,9
საფრანგეთი (მე-18).	23 და ნაკლები — 1,9;	25 და მეტი — 1,9
იტალია (მე-10).	23 და ნაკლები — 1,9;	25 და მეტი — 1,9
ესპანეთი (მე-14).	25 და ნაკლები — 1,9;	27 და მეტი — 1,9

CROCO-2

ტირაჟი №84

1. არსენალი — ლივერპული
2. ბარნსლი — ლიდსი
3. ბოლტონი — უიმბლდონი
4. ქოვენთრი — ლესტერი
5. კრ. პალასი — ნიუკასლი
6. ევერტონი — ტოტენჰემი
7. საუთჰემპტონი — შეფილდი
8. ვესტ ჰემი — ასტონ ვილა

ტირაჟი №85

1. ლევერკუზენი — ბაიერნი
2. მანჩესტერი — ბლეკბერნი
3. დეპორტივო — ატლეტიკო
4. ვალიადოლიდი — ბილბაო
5. ფიორენტინა — პარმა
6. ლეჩე — ვიჩენცა
7. პიაჩენცა — ნაპოლი
8. სამპდორია — ინტერი

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი. მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
საქართველო — ჩეხეთი 68:70 (32:34)
თბილისი. სპორტის სასახლე. 26 ნოემბერი
მსაჯები: სტელიოს კუკულეტილისი (საბერძნეთი), რიშარდ გლოგოვსკი (პოლონეთი)

საქართველო	ქულა	ფარზე მოხვნა		საჯარიმო	სამქულიანი	ფოლი
		საკუთარ	მეტოქის			
5 სანაძე	14	—	—	3(1)	3	1
6 სტეფანია	10	12	2	12(8)	—	4
7 ტურაშვილი	2	1	1	—	—	5
8 ბეჟანიშვილი	—	4	—	—	—	2
9 გოგობერიშვილი	—	1	—	—	—	2
10 ვაშაკიძე	8	—	—	4(3)	1	1
11 ხოშტარია	5	—	1	—	1	2
12 ბერძენიშვილი	4	—	—	2(2)	—	1
13 ნაცვლიშვილი	24	3	2	13(8)	—	3
15 ჩხეიძე	1	2	—	2(1)	—	1
სულ	68	23	6	36(23)	5	22

ჩეხეთი	ქულა	ფარზე მოხვნა		საჯარიმო	სამქულიანი	ფოლი
		საკუთარ	მეტოქის			
4 ძუდეკი	6	1	—	6(6)	—	3
5 ვაჰალა	4	—	—	2(2)	—	1
6 ბენეში	2	—	—	2(2)	—	—
7 სტანეკი	8	1	1	6(6)	—	1
8 ბარტონი	—	1	—	—	—	1
9 ტრემლი	6	2	1	—	2	3
10 ოკაჩი	32	8	3	5(4)	—	3
11 კლაპეტეკი	—	1	—	—	—	3
13 ბეპკა	4	8	2	—	—	5
14 ტრნკა	8	7	2	4(4)	—	5
სულ	70	29	9	25(24)	2	25

დასაწყისი ბევრს ნიშნავს, ოღონდ არა ყველაფერს

ჩეხებმა 25 საჯარიმოდან 24 გამოიყენეს, საქართველოს ნაკრებმა კი 36-დან — 23. სულ სამი ზუსტი ნატყორცნი საჯარიმო და საქართველოს ნაკრები თავის პირველ გამარჯვებას იზეიმებდა, ახლა კი დასანანი მარცხი შესარჩევი ტურნირის სტარტზე... ალბათ, ასე იფიქრებდა სპორტის სასახლეში მოსულ გულშემატკივართა უმრავლესობა მატჩის მეტად მტკივნეული დასასრულის შემდეგ, მაგრამ, ჯერ ერთი, საჯარიმო სროლებიც აუცილებელი კომპონენტია საკალათბურთო ხელოვნებისა და მეორეც, მარტო საჯარიმოს ზუსტ ტყორცნებში არ იყო საქმე - ფაქტია, მეტოქემ გვაჯობა. გვაჯობა ტაქტიკურად და, ალბათ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთ გვჯობს, სწორი ანალიზი გავაკეთოთ. იმიტომ, რომ რაც არ უნდა მწარე იყოს სტარტზე დამარცხება, წინ კიდევ ცხრა თამაშია...

ახლა ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ. დასაწყისში ჩვენს გუნდს ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა. ნაცვლიშვილმა ორი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი ჩააგდო, იქვე სტეფანიამ უწყინარ სიტუაციაში გარბენი გააკეთა და კარგა ხანს თამაშიდან ბურთი ვერ ჩავაგდეთ. ვერც ჩეხები ბრწყინავდნენ ამ წუთებში განსაკუთრებით, მაგრამ ისინი უფრო ადვილად მოეგნენ გონს და ტრნკამ ზედიზედ ორჯერ დალაშქრა ჩვენი კალათა. ცოტა ხანში სტეფანიამ ჩააგდო ბურთი და შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მღელვარება ნელ-ნელა გაივლიდა (რას წარმოვიდგენდით, რომ ეს ვოვას თამაშიდან ჩაგდებული ერთადერთი ჩაგდებული ბურთი იქნებოდა ამ მატჩში). ტრნკა ისევ კარგად ასრულებს თავის გუნდის შეტევას და აქ სანაძეც ზუსტად ისვრის სამქულიანს. ჩვენებმა ნელ-ნელა გადაწყეს თამაში და ჩეხთა მაღალი ტანის მოთამაშეები — ოკაჩი და ტრნკა ფარიდან შორს გაიყვანეს, თუმცა, ოკაჩმა შორიდანაც მოათავსა ბურთი კალათში. სანაძემ კვლავ ზუსტად ისროლა სამქულიანი. ახალშემოსულმა დავით ბერძენიშვილმა კი იბრძოლა ფარქვეშ და ჩვენები წინ გაიყვანა 12:11. შეხვედრის წინ რეზო ჩხეიძემ თქვა, ჩეხების ტანმაღალ გუნდს სწრაფი თამაში უნდა დაუპირისპიროთო. მართალია, ჩეხები არც ისეთი ნელები ჩანდნენ, როგორც წარმოგვედგინა, მაგრამ ამ თანაბარ თამაშში სწრაფი მონაკვეთი გარკვეულ უპირატესობას მოგვცემდა. ჩვენებმა კი ვერა და ვერ განახორციელეს სწრაფი გარღვევები და ჩეხებმაც თავიანთთვის სასურველი დუნე თამაში მოგვახვიეს. ამ მომენტში მთავარი აქცენტი სტეფანიაზე გაკეთდა, მაგრამ ჩეხებმა ვოვას სამოქმედო არე ისე შეზღუდეს, იგი სულ ფარიდან ზურგით იღებდა პასებს და შემოტრიალებას კი ტანმაღალი ჩეხები არ აცლიდნენ. თუმცა, ვოვა კარგად თამაშობდა ჩვენს ფარზე და მეტოქის ცენტრებსაც — ოკაჩსა და ტრნკას სამ-სამი პერსონალური შენიშვნა მიაღებინა.

მოკლედ, მეათე წუთამდე გუნდები მჭიდროდ მიდიოდნენ, ეგაა, წინ სულ ჩეხები იყვნენ. ამ დროს სანაძისა და სტეფანიას ნაცვლად მოედანზე ბეჟანიშვილი და ნაცვლიშვილი შემოვიდნენ. სწორედ ამ პერიოდში ჩაატარა ჩვენმა ნაკრებმა ამ მატჩში საუკეთესო მონაკვეთი. ვერ ვაშაკიძემ დააწინაურა გუნდი, მერე მოედანზე დაბრუნებულმა ვატომ ბურთიც ჩააგდო, საჯარიმოც და ჩეხთა ერთადერთ ლეგიონერ ბეპკასაც საჯარიმო მიაღებინა. ცოტა ხანში მოედანზე სტეფანია და ჩხეიძე დაბრუნდნენ. ჩხეიძემ შორიდან ჩვენი კალათის მისადგომები გადაკეტა, შესანიშნავი პასი მისცა ნაცვლიშვილს და ვატომაც ჩვეულ სტილში ჩატენა. მალე კი ნაცვლიშვილმა უკვე თვითონ შეასრულა ბრწყინვალე შესვლა და სხვაობამ ჩვენს სასარგებლოდ 9 ქულას მიაღწია. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 7,05 წუთით ადრე საოცარი რამ ხდება: მაშინ, როცა ამ უპირატესობის განმტკიცება შეგვეძლო, ჩვენებმა 3 წუთსა და 20 წამში ერთი ბურთიც ვერ ჩააგდეს მეტოქის კალათში, თანაც არც ჩეხებს გაუკეთებიათ რაიმე განსაკუთრებული ამ პერიოდში. ჩვენებს კი თითქოს ერთმანეთი დაავიწყდათ, ისე თამაშობდნენ. არც ერთი არ ცდილობდა, პარტნიორისთვის სამოქმედო სივრცე მიეცა, ყველას თავად სურდა მეტოქის დაცვის გარღვევა. შედეგმაც არ დააყოვნა — ჩეხებმა ნელ-ნელა დაიწყეს ანგარიშში სხვაობის შემცირება და საქართველოს ნაკრებს ლიპარტელიანის აღებულმა წუთშესვენებამაც არ უშველა.


ნაცვლიშვილი ჩვენებში საუკეთესო იყო

ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, როგორც იქნა, ნაცვლიშვილი საჯარიმოდან ათანაბრებს ანგარიშს — 28:28, მაგრამ იქვე ტურაშვილი უწყინარ სიტუაციაში ჰკარგავს ბურთს და წინ ჩეხები გადიან. ბოლო წუთზე ბერძენიშვილის ორი ზუსტი საჯარიმო თითქოს პირველი ტაიმის ფრედ დამთავრების მაუწყებელი უნდა იყოს, მაგრამ ჩეხები მაინც ახერხებენ ტაიმის მოგებას.

მეორე ნახევარში ჩვენმა მწვრთნელებმა მოედანზე რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილი შემოიყვანეს. მიზანი ნათელია: რამაზმა, რომელსაც სწრაფი გარღვევები აქვს, თამაშის ტემპს უნდა მოუმატოს, ჩეხთა ტანმაღალმა დაცვამ საკუთარ ფართან დაბრუნება რომ ვერ მოასწროს. შეიძლება კიდევ რამდენიმე ვარიანტი გათვალეს ჩვენებმა, მაგრამ მათ ჩანაფიქრში აშკარად არ ჩანდა ჩეხთა ტანმაღალი ცენტრის — ირჟი ოკაჩის ნეიტრალიზება. ეს 222 სმ-იანი ცენტრი (ზოგი თქმით — 227) ჩვენებმა ვერაფრით ჩაკეტეს. ჩეხებმა კი ჩვენს სწრაფ გარღვევებს მალე მოუღეს ბოლო — ორიასამი კაცი, ვარდა მაღალი მოთამაშეებისა, მთლიანად კეტავდა კალათისკენ მისასვლელ სივრცეს. თავდასხმაში კი ჩეხებს ერთი იარაღი ჰქონდათ — თამაში ოკაჩზე და იგი ამართლებდა და ამართლებდა. ჩვენებმა ვერანაირად ვერ გადაუკეტეს ოკაჩს ფართან მისასვლელი გზა. ფართან კი იგი ერთი და ზოგჯერ ორი თავითაც (გაჩნია ვის შეხვდებოდა გზაზე) მაღალი იყო და მაქსიმალურად იყენებდა ამ უპირატესობას. თუმცა, თამაში მაინც ისეთი რიტმით მიდის, პატარა სპორტი და შეიძლება მატჩის გარდატეხა. ეს სპორტი კი არა და არ ჩანს. ის კი არა, როცა ჩვენებს ორი საჯარიმოს ჩაგდება სჭირდებათ წინ გასასვლელად, სწორედ მაშინ ისვრიან არაზუსტად, ჩეხები კი ამ კომპონენტს უშეცდომოდ ასრულებენ. ისევ ნაცვლიშვილი იღებს თამაშს თავის თავზე, ჯერ ტრნკას იშორებს (მასთან ბრძოლაში მე-5 პერსონალური მიიღო) და ცოტა ხანში გუნდის დაწინაურების საშუალებაც მიეცა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ორი საჯარიმო გააფუჭა. ბოლოს და ბოლოს მატჩის დამთავრებამდე 6,50 წთ-ით ადრე ანგარიში ისევ გია სანაძის სამქულიანმა გაათანაბრა — 48:48, მაგრამ ჩვენები ვერა და ვერ ახერხებენ დაცვაში მობილიზებას. ოკაჩი თავისუფლად დაფრატუნობს ჩვენს ფარქვეშ და კი არ ტენის, ნაზად დებს ბურთებს ჩვენს კალათში. ისევ ეატო იბრძვის და ახლა ბეპკას აგდებს ხუთი პერსონალურით. ამ დროს, ალბათ, სტეფანიას აქტიურობაც იყო საჭირო თავდასხმაში ოკაჩის წინააღმდეგ, მაგრამ ჩეხებმა ისე გადაუკეტეს ვოვას მისადგომები, რომ თავიანთ ცენტრთან არც კი უშვებენ. თავდასხმაში კი ოკაჩი ნელ-ნელა ზრდის სხვაობას — 58:53, შემდეგ 62:57. 5-ქულიანი სხვაობა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ასეთ დუნე შეხვედრაში, როცა ყოველი ქულა უდიდესი დაძაბულობით მოიპოება, ასეთი სხვაობა ძალზე შემაშფოთებელია. ამ დროს ირაკლი ვაშაკიძე თამაშობს ჩინებულად — დაცვაშიც არ აცლის მეტოქეს შედეგიან შეტევას და შორდანაც ზუსტ სამქულიანს ისვრის 62:60 და სათამაშო დრო წუთი და რვა წამია. ბურთი მეტოქეებს აქვთ და ჩვენებმაც გაუმართლებლად მიმართეს პრესინგს, როცა შეგვეძლო, მიგვეცა მათთვის შეტევის შესაძლებლობა. საპასუხო იერიშისთვის საკმაო დრო იყო. ჩეხები არღვევენ პრესინგს და ტურაშვილი ჯარიმდება. მსაჯი ამას, სავსებით მართებულად, განწირახ ფოლში გვითვლის. ძუდეკი ორ ჯარიმას ისვრის (რა თქმა უნდა, ზუსტად) და ბურთიც ჩეხებს რჩებათ — 64:60. ვაშაკიძე ვერ იყენებს ჩვენთვის ძალზე სასურველ საჯარიმოდან ერთს და ხოშტარია მეტოქის იერიშს აღსაკვეთად იძულებულია, დაჯარიმდეს. არ თქმა უნდა, ის ორი საჯარიმოც ჩვენს კალათში მოთავსდა — 66:61. ირაკლი ხოშტარია ბოლომდე არ გვტოვებს უომედოდ — სამქულიანი და ჩეხები ერთი ხელის გაწვდენაზე არიან — 66:64. ჩეხები კვლავ იყენებენ საჯარიმოებს, ჩვენებიც შედეგიანი ორი ქულით პასუხობენ, მაგრამ ჩვენს ფართან კვლავ თავისუფალი რჩება ოკაჩი. სხვაობა 4 ქულაა და დარჩენილი 4 წამი ჩვენებს მხოლოდ ანგარიშის შემცირებისთვის ჰქონდათ. 70:68 ჩეხების სასარგებლოდ.

ერთობ დასანანი მარცხია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტრატზე, მაგრამ, ალბათ, ყველაზე სასურველია ამ მატჩის ცივი გონებით განსჯა, რადგან არეულ ფიქრებს არასოდეს მოუტანია სიკეთე. ახლა ბევრი გამოვა ჭკუის მასწავლებელი და იტყვის: რატომ არ ათამაშეს ირაკლი ჯაფარიძე, მალე რატომ გაიყვანეს რამაზ გოგობერიშვილი, მატჩის ბოლოს რატომ არ იყო რეზო ჩხეიძე, რატომ დაგვიანდა ხოშტარიას შემოყვანა და ა.შ. ეს გარედან ჩანს ყველაფერი ასე იოლი. იქ კი, სადაც საკალათბურთო ენებები დუღს, არც ისე ადვილია ყველაფრის გათვალისწინება. ფაქტი ერთია, ჩვენ კანონზომიერად წავაგეთ — მეტოქეებმა თავიანთი თამაში მოგვახვიეს. საამედოდ ჩაკეტეს სტეფანია. სწრაფი თამაშის საშუალებაც არ მოგვცეს და თავისი აყლაყუდა ირჟი ოკაჩიც მშვენივრად გაჰყავდათ სასურველ პოზიციაზე. ჩვენც, ალბათ, აქედან უნდა გამოვიდეთ, მკაფიოდ განვსაზღვროთ ჩვენი მთავარი იარაღი ამა თუ იმ კონკრეტულ მატჩში და მის გამოსაყენებლად მთელმა გუნდმა უნდა იზრუნოს. ერთმანეთის დაუხმარებლად ვერც დაცვაში მოგვარდება საქმე და ვერც თავდასხმაში. უფრო მეტიც, ვერც ჩვენს კალათბურთში. სწორედ ამიტომ დამწაშავეების გამორკვევა—დასჯას უნდა მოვეშვათ და მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ. დასაწყისი ცუდი გამოდგა, მაგრამ ეს მაინც დასაწყისია. მე მჯერა, რომ კარგი გუნდი გვყავს და გამარჯვებებიც მოვა. მხოლოდ ერთმანეთისადმი რწმენაა საჭირო, ადამიანის ადამიანისადმი რწმენა.

ქოტე მგალობლიშვილი

მატჩის შემდეგ

მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ გამართულა, ბესიკ ლიპარტელიანმა თავისი სანაკრებო კარიერის მანძილზე პირველად ათრიდა თავი ჟურნალისტებთან შეხვედრას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ძნიმძიმედ გახიცადა ეს ძარცხი. ჩეხთა მწვრთნელ ზდენეკ ჰუმელთან საუბარი კი რუსულისა და ჩეხურის ნაკვარ, გაუგებარ ენაზე გაიმართა. ამიტომაც ამ საუბრიდან ჩემთვის გასაგებ ნაწილს გთავაზობთ. თავდაპირველად ჰუმელს მატჩის მოკლე კომენტარი ვთხოვე:

— მთავარი ის იყო, რომ მოთამაშეებმა ჩემი დავალება ზუსტად შეასრულეს. თუმცა, იმასაც არ დავმალავ, რომ მეორე ტაიმში მათი მოქმედებით კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. წარმატება ცენტრალური თავდამსხმელის, ოკაჩის სასარგებლო თამაშმა მოგვიტანა. მან მეორე ტაიმში 26 ქულა მოაგროვა. ამავე დროს ქართველებს სამქულიანების სროლის საშუალება არ მივეცით. მეფნიერი ვარ, ქვეჯგუფში პირველი შეხვედრა რომ მოვიგეთ. სტუმრად მოგება მოთამაშეებს თავდაჯერებას შემატებს.

— როდესაც ქართველები შვიდი ქულით დაწინაურდნენ, თქვენ ტაიმ-აუტი მოითხოვეთ. გარდატეხაც მაშინ მოხდა. ასეთი რა დავალება მიეცით თქვენებს?

— ვხედავდი, რომ ქართველები მჭიდრო თამაშს ვერ ჰგუობდნენ. თანაც ხშირად ვჯარიმდებოდით და ვთხოვე, მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ. თავად ჩვენ კი ბურთის სწრაფი გათამაშებით ქართველებს ჯარიმებისკენ ვუბიძგებდით. გარდა ამისა, დაცვაში თამაშსა და ფარქვეშ ბრძოლაზე გჭამახვილეთ ყურადღება.

— საქართველოს ნაკრებზე რა იცოდით?

— რა თქმა უნდა, კვიპროსში ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპის თამაშებზე მოვიპოვეთ ინფორმაცია. ისიც ვიცოდით, ლიუბლიანას „ოლიმპიაში“ ჩვენი ნაკრების წევრი ვლადიმერ სტეფანია რომ თამაშობდა.

— ჩანდა კიდეც, რომ სტეფანიას ნეიტრალიზებას დიდი ყურადღება დაუთმეთ...

— ჩვენ მაღალი მოთამაშეები გვყავს და მათი საშუალებით განვიზრახეთ ამის გაკეთება. სტეფანია უბურთოდ უნდა დარჩენილიყო, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა დასდგომოდა მცველი. ასეც მოხდა, ბურთის მიღებისას სტეფანას თავისუფლად მოძრაობის საშუალება მოეუსპეთ.

დათო მამულაშვილი

ოკაჩს ვერაფერი დავაკელით

ავსტრალიელიც, კანადელიც, ისლანდიელიც

სეზონი ამერიკაში გაზურდა. „კაფე-დე-კოლუმბიას“ მსოფლიო თასის მონაწილე ვაჟებმაც და ქალებმაც პირველ ყოვლისა 2002 წლის ზამთრის თამაშების ასპარეზი, იუტას შტატის დაბა პარკ-სიტი მოიხილეს, იქ თითო გიგანტური და ჭეშმარიტებრივი სლალომი გამართეს და ჯილდოებად 160 ათასი US$ დაინაწილეს.

20.11. ვაჟთა გიგანტური სლალომი: 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია); 2. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) ჩამორჩა 1,80 წამით; 3. თომას გრანდი (კანადა) 2,32

სტარტის წინა ღამით ჩამოთოვა. შეჯიბრის დროსაც ბარდნიდა და ხედვა ჰირდა, მაგრამ დიდ სპორტში შარშან დაბრუნებულმა ავსტრიელმა კლატოზმა მაინც მაგრად იყოჩაღა: I ცდაზე საუკეთესო დრო გაახერხა, II-ზე კი თავიდან თუმც წონასწორობა დაკარგა, ჯამური შედეგი მაინც სხვებზე უკეთესი გამოუვიდა. ამით ჭერმანმა (აპ-ის ფოტოზე), ვისაც აქამდე ოდენ ერთი სუპერ-გიგანტი ჭონდა მონაგარში, კარიერის პირველი გიგანტური სლალომი მოიგო.

უნივერსალი ომოდტი I ცდის შემდეგ 28-ე იყო, მაგრამ საუკეთესო II ცდით კვარცხლბეკზე მოხვდა. მესამე ადგილი იტალიელ გრანდის ერგო, ვინაც შობლის კანდელობის წყალობით ამ ჭვეყნის მოჭალაქეა. კანდელ ვაჟებს ასეთი შედეგისთვის აქამდე ვერ მიეღწიათ, II ცდის დაწყება კი 15 წუთით იმიტომ დაგვიანდა, რომ საბაგირო გზა გაფუჭდა.

ამ დისციპლინაში მსოფლიო თასის მფლობელი, შვეიცარელი მიხაელ ფონგრუნიგენი I ცდაზე 51-ე ადგილზე დარჩა და II-ზე ვერ მოხვდა, დიდი იტალიელი ალბერტო ტომბა კი მე-14 რომ იყო, წელის ტკივილი მოიმიზეზა და მეორედ აღარ დაშვებულა.

21.11. ქალთა გიგანტური სლალომი: 1. დებორა კომპანიონი (იტალია); 2. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 3,41; 3. ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) 3,86

ბარაჭიან თოვლში კომპანიონის ორივე ცდა მოიგო. ამით მან ზედიზედ მეშვიდე, სულ კი მე-11 გიგანტურში გაიმარჯვა. დებორა ბოლოკერი ამა წლის 3 იანვარს დამარცხდა, მაგრამ ამ სახეობაში ყოველგვარი ტიტულის მფლობელ 27 წლის ქალს ჯერაც ბევრი უკლია ლეგენდარულ შვედ ვაჟ ინგემარ სტენმარკამდე, ვინაც 1978-80 წლებში ზედიზედ 14 გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა.

22.11. ვაჟთა სლალომი: 1. თომას შტანგასინგერი (ავსტრია); 2. კრისტინ ბიორნსონი (ისლანდია) 0,10; 3. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვეგია) 0,13; 4. ომოდტი 0,21

ტომბას მსოფლიო თასზე 33 სლალომი მოუგია, მაგრამ ამჯერად ისევ წაიბიჭონა: I ცდის შუაწელში კარი რომ გამორჩა, უმალ წელის მასაჟს შეუდგა, ჟურნალისტებს კი სიცილით უთხრა, ჩემი წარუმატებლობა ან ნამგზავრობას უნდა დავაბრალო, ანაც ასაკსო. მართლაც, 30 წლის „ლა ბომბა“ მე-13 და ბოლო სეზონს შედგომია.

I ცდა სლალომის მსოფლიო თასის მფლობელმა, ავსტრიელმა თომას სიკორამ მოიგო, მაგრამ II-ზე ტრასიდან გავარდა. ამით ისარგებლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შტანგასინგერმა, ვისაც მე-8 და მე-2 შედეგები და საუკეთესო ჯამი აღმოაჩნდა. 32 წლის თომასმა სლალომი მეექვსედ მოიგო, სხვა სახეობებში კი ამგვარად ვერ ყოჩაღობს.

სენსაცია მოახდინა 25 წლის ისლანდიელმა, ვინაც თასის ეტაპზე ოდენ მეხუთედ ასპარეზობდა, პროგრამა კი პირველად დაასრულა და მეორე ადგილიც დაიმსახურა. არადა, ისლანდიელებს მსოფლიო თასზე აქამდე ერთი ჭულაც ვერ მოეხვეჭათ.

ბიორნსონი სტარტზე 49-ე იყო, მაგრამ II ცდაზე საუკეთესო შედეგი ჭონდა. იგი თხილამურებით ხუთი წლიდან დასრიალებს. დიდ სპორტს ნორვეგიაში სწავლისას ეზიარა, ახლა კი ფინელებთან ერთად ვარჯიშობს. მსოფლიო თასზე მისი ასპარეზობისთვის აუცილებელი 20 ათასი დოლარი ეროვნულმა ფედერაციამ და მშობლიურმა სოფელმა შეაგროვეს. და კიდევ, იუტელ მაცნეს ისლანდიელის მოთხილამურეობა რომ ვერ წარმოედგინა, ბიორნსონის ქვეყნის კოდი არასწორად გაშიფრა და საზოგადოებას ისრაელის წარმომადგენლად გააცნო.

23.11. ქალთა სლალომი: 1. ზალი სტეგალი (ავსტრალია); 2. იულია ნოვენი (შვედეთი) 0,78; 3. კლაუდია რიგლერი (ახალი ზელანდია) 1,05

შაბათის დარად დარი იდგა. კომპანიონი I ცდაზე გავარდა, 23 წლის ავსტრალიელმა კი ორივე ცდაზე იმარჯვა. ზალი საფრანგეთში დაბადებული, მაგრამ მის ბავშვობაშივე ოჯახი ქვეყნის დასალიერს გადასწვებულა. რაც შეეხება სლალომისა და საყოველთაო მსოფლიო თასის მფლობელს, შვედ პერნილა ვიბერგს, მან უკვე მოირჩინა მუხლი, რომელიც ოქტომბერში, ავსტრიაში ვარჯიშისას დაიშავა და ასპარეზს 11 დეკემბერს დაუბრუნდება.

ირაკლი ნინუა

ოთხი ეტაპის ჯამი. ვაჟები: ომოდტი 239 ქულა; პ. მაიერი 220; მიხაელ ფონგრუნიგენი (შვეიცარია) 174; იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 160; შტანგასინგერი 122; სტივ ლოხერი (შვეიცარია) 109; ... (16) ალბერტო ტომბა (იტალია) 59

ქალები: კომპანიონი 214; მარტინა ერტლი (გერმანია) 192; ნოვენი 189; მაისნიცერი 156; ლელა პიკარი (საფრანგეთი) 141; ფლეშენი 108; სტეგალი 100; კარინ როტენი (შვეიცარია) 99

25.11. რუსთავი. ფოლადის სტადიონი

აზოტი 13:15 აია

(3:5). მსაჯი მარკ დეკლო (საფრანგეთი)

რუსთავის აზოტი (მე-2 ადგილობანი): მინდორაშვილი; გოგიშვილი, ჩიქვინიძე, ჯიმშელაძე, ძონვინიძე; ე. ძაგნიძე, ხუციშვილი — მთიულიშვილი, ფირცხალავა, შველიძე; ლობჟანიძე, ქურდიკაშვილი; უჩავა, მღებრიშვილი, რეხვიაშვილი. — ლ: მინდორაშვილი; გ და 2ს: ძაგნიძე

ჭუთაისის აია-ჰეი (3): შვანგირაძე; გაბრიჩიძე, ხამაშურიძე, სოფრომაძე (თედოშვილი), ხონელიძე; შარვაშიძე, გ. ძაგნიძე — აშვეთია, გურეშიძე, ა. გიორგაძე; ოდიშარია (აბაშიძე), ლეკვეიძე; გოგისვანიძე, აფრიდონაძე, ფხაკაძე. — 2ლ: ხონელიძე, საყვარიშო; გ და ს: შვანგირაძე

მცირე სასწაული

დიდი სარაგბო მატჩი ქალაქის მთავარ სტადიონზე გაიმართა. საქმე ისაა, რომ რუსთავის ფეხბურთელთა გუნდი საქართველოს თასის გათამაშებას აღრევე გამოეთიშა და რაგბი რომ არა, იქაურები სამშაბათს უ-დიდ-სპორტად დარჩებოდნენ.

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. პირველი ბურთიც მათ გაიტანეს: მამუკა მინდორაშვილისა და ზურაბ რეხვიაშვილის აქტიურობა ჯარიმად დაფასდა და ემზარ ძაგნიძემაც გახსნა ანგარიში 3:0. აქვე შევნიშნოთ, რომ რეხვიაშვილი, ძაგნიძე, ძონვინიძე და ფირცხალავა წარმოშობით ჭუთაისელები არიან. ერთი სიტყვით, ნახევარფინალი გარკვეულწილად ჭუთაითურთა ძველი და ახალი თაობების შეჯიბრიც იყო.

მერე თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა. სტუმართაგან გამოირჩეოდა უმცროსი „ანტილოპა“ — ნორჩი ბესიკ ხამაშურიძე, რომლის გონივრული გადაცემის შემდეგ გოჩა ხონელიძემ გაიტანა ლელო 5:5. მასპინძლებს დაწინაურება შესვენებამდევე შეეძლოთ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

დაიწყო მეორე ნახევარი და ძაგნიძემ დაარტყა ზუსტად საჯარიმო 6:5, რასაც აიელი ზურაბ შვანგირაძის გოლი მოყვა 8:5. მერე ჭუთათურები მეტადაც დაწინაურდნენ: მასპინძლებმა ხუთმეტრა შერკინება ჩაშალეს და ფრანგმა მსაჯმაც საჯარიმო ლელო დანიშნა. შვანგირაძემ კარის წინიდან, რა თქმა უნდა, იოლად გარდასახა 6:15.

„აზოტს“ ვითარების გამოსასწორებლად 13 წუთიღა რჩებოდა. მასპინძელთა შეტევებმა შედეგი მალე გამოიღო: ლელო მინდორაშვილმა გაიტანა, ძაგნიძემ გარდასახა და სხვაობაც ისე შემცირდა, რომ რუსთაველებს ბურთის რაგინდარა ხერხით გატანა გაამარჯვებინებდა 13:15.

ამ კრიტიკულ სიტუაციაში განახლებულმა „აიამ“ თავდაღებულად და გააზრებულად ითამაშა და ანგარიში შეინარჩუნა. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ზაფხულში კატასტროფის წინაშე მდგარმა გუნდმა მცირე სასწაული მოახდინა — საქართველოს საუბალეო პირველობის დიდ ფინალში გაიდა.

რაულ ფეველიძე

26.11. თბილისი. ვაკე

ყოჩები 15:10 ლოკომოტივი

(12:10). მსაჯი (დრო) დუკლო (40+40 წუთი)

თბილისის ყოჩები-სტე (1): ჭარტიძე, ბერძენიშვილი (პეტრიაშვილი, 49), თოდუდელიძე, ქვეველი, მხეიძე; ტეფნაძე, გიორხელიძე — ფირიაშვილი, ჭავჭავაძე (კ. კობახიძე 36), ახვლედიანი; გუშარაშვილი (ხურცილავა 69), სულთანიშვილი; ურუშაძე, ლეჟავა (ცხვედიანი 54), ტყეშელაშვილი. — 5ს (9, 23, 27, 35, 80): ტეფნაძე

თბილისის ლოკომოტივი (ყოფილი ქორები; 4): ასათიანი; ძნელაძე, ალანია, ჩხენკელი, ძაგანია (მ. წვედიძე 83); კვინიხიძე, ბერიძე — მაჭუტაძე, ჯაფარაშვილი (შუბითიძე 53; ზ. ჯაველიძე), კვანტალიანი; ხუადე, ჩადუნელი (გ. გიუნაშვილი 69); ა. კობახიძე, კაცაძე, კახიანი. — ლ (15): ასათიანი; გ. ძნელაძე; ა (25): კვინიხიძე

საქართველოს XXX პირველობის ნახევარფინალი

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პლეი-ოფმა გაამართლა. ორივე ნახევარფინალი ერთობ დაძაბული გამოდგა. ხალხი საკმაოდ მოიზიდა და თან დიდი ხმაურიც ახლდა. ფრანგმა არბიტრმაც მშვენივრად იმსაჯა.

ახლა ფინალთა ჯერია. სანშებეშო შაათს გაიმართება რუსთავში. იქ „აზოტი“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. დიდი ვაკეში კვირასაა. ჩემპიონობისთვის „ყოჩები“ და „აია“ ითამაშებენ.

ორივე თამაში 16 საათზე დაიწყება.

გუშინ “ყოჩებმა“ კრიტიკოსები დაადუმეს

გაიმარჯვებს ის, ვინც ნაკლებჯერ შეცდება!

ფრანგი მსაჯი ქართველებს დარღვევას არ პატიობს. რაკი ჩვენი მობურთალების დონე ჭერაც საკმაოდ ჩამორჩება სამხრეთი ნახევარსფეროს გრანდებისას, თამაში ნაწუვეტ-ნაწუვეტი გამოდის. თერნ-ოუვერი ანუ იერიშში ბურთის კარგვა ხშირია.

წელს „ლოკომოტივს“ ქართველთა მსაჯობისას „ყოჩებთან“ ოთხივე მატჩი წაეგო. რკინიგზის გუნდის უფროსობა მარცხს არბიტრთა მიკერძოებას აბრალებდა. ამ არგუმენტის მოხმობით შეგირდები კიდეც დარაზმა საომრად, მაგრამ „ყოჩებმა“ მეხუთედაც რომ გაიმარჯვეს, დაუმტკიცეს ლიანგს, რომ მეტოქეს მართლა ჯობიან.

თავიდან „ლოკომოტივი“ უფრო ყოჩაღად იყო. ერთადერთი ლელოც მან გაიტანა. ეს პირველი ეშხიანი ბურთაობის შემდეგ მოხდა. მარჭვენა გარემარბმა დემირ ძნელაძემ ფრონტის შუაწელში გაჭრა ხაზი, ლელომდე კი გიორგი ასათიანმა ირბინა. ბარემ ახლავე შევნიშნოთ, რომ ეს ორი ბეჭი და კიდევ კახა ალანია და ფლანკერი ჩიკო კობახიძე „ლოკომოტივში“ საუკეთესონი იყვნენ.

„ყოჩების“ პირველი მრავალ-ფაზიანი მიხდომა ბურჯმა ახვლედიანმა დაიწყო, რაც ბესო ტეფნაძემ მეორე გოლით დაასრულა. ნორჩმა ბობა კვინიხიძემ არეკნით უმალვე აღადგინა სხვაობა, მაგრამ ბესომ მალევე მესამედ შეაგდო საჯარიმო.

მერე „ლოკომოტივი“ მეტისმეტმა მონდომებამ დააზარალა. ტეფნაძე აბრაგანის აწევის შემდეგ რომ მოცელეს, დაზარალებულმა კარის წინიდან მეოთხე გოლიც შეაგდო. „ყოჩები“ საბოლოოდ დაწინაურდნენ 12:10.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ყოჩები“ აიშალნენ. ალანიას, ნორჩ ძაგანიას და ასათიანს კონტრშეტევებით ლელოს გატანა შეეძლოთ. „ლოკომოტივს“ სამჯერ მიეცა გასატანი საჯარიმო, მაგრამ ვერ დაწინაურდა. ერთი, ოღონდ შორი დარტყმა „ყოჩებსაც“ გაუცუდდათ.

რკინიგზელები თანდათან დაიღალნენ და გატყდნენ. „ყოჩებს“ სრულფასოვანი რეზერვი რომ ყავთ, მატჩის დასკვნით მეოთხედში უფრო ინტენსიურად ითამაშდნენ. შეცდომები, რა თქმა უნდა, კვლავაც ჭონდათ, მაგრამ თამაში ერთთავად „ლოკომოტივის“ ნახევარზე მიმდინარეობდა.

67-ე წუთზე ჩემპიონატის წრიული ეტაპის გამარჯვებულებმა მორიგი ეფექტური ბურთაობა გამართეს, მერე კახებმა — კობახიძემ და მაჩიტიძემ კარს თითო საჯარიმო და არეკნი ააცილეს, ბაკურ ფირიაშვილის დაწყებული იერიში კი საჯარიმოთი რომ დასრულდა, ბესომ ისევ უშეცდომოდ დაკრა 15:10.

დასასრულ პინგ-პონგი გაჩაღდა. ბებერმა მალხაზ ჭეიშვილმა ორჯერ დიაგონალურად დაარტყა და მეტოქე მისსავე ნახევარზე დაამა. „ლოკომოტივი“ „ყოჩების“ მხარეს ბოლო წუთზეღა გადავიდა, მაგრამ იქვე დაკარგა ბურთი.

კოლა მაჭარაშვილი

შაბათს, ჩვენებურად 19 საათზე,
პირდაპირ თვალწინიდან;
მხოლოდ VII არხით და ისიც
მხოლოდ თბილისის სამ უბანში:
ინგლისი — სამხრეთი აფრიკა!

მუვიდოზით, ბაბუ ჯორჯ!

ამქვეყნად ყველაფერსა აქვს ბოლო. ბოლოსდაბოლოს „ბიგ ჯორჯის“ საკრიკეტო კარიერაც დასრულდა.

ყველაფერი ერთობ მოულოდნელად მოხდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯორჯ ფორმენი 10 იანვარს 49 წლისა მოიყრება, მაგრამ მას აქეთ, რაც 1987 წელს ათწლ ანი (!) უჭმობის შემდეგ რინგს დაუბრუნდა, მეტწილად ეკრივებოდა თავისზე ორჯერ უმცროს ბიჭებს, რომლებსაც ასევე მეტწილად თავად შეარჩევდა ხოლმე.

აი, ახლაც პაპა ჯორჯმა თვალი დაადგა 25 წლის ბრუკლინელ ჭეელს, თმაკოკონ შენონ ბრიგსს და შაბათღამ ატლანტიკ-სიტის (ნიუ-ჯერზის შტატი) „ტრამპ ტაჯ მახჰალში“ გაუმართა ჩხუბი, რომელიც ჩვეულებრივი (და არა ფასიანი) ტელევიზიით გადაიცა, დარბაზში კი 4 500 მოსეირე მიიზიდა.

ბრიგსი ტრაგიკული პიროვნებაა. ჯორჯთან შებმამდე 30 ჩხუბიდან 29 მოეგო (24 ნოკაუტით), ოღონდაც მასავით სიფიანდებთან. ერთადერთი წაგება ნოკაუტით ეწვნია III რაუნდში — შარშან, 15 მარტს, ვინმე დაროლ ვილსონთან. იმ შერკინებას ფორმენი ტელე-კომენტატორად დასწრებია და სწორედ მაშინ შეუგულვებია მორიგ მსჯვრქლად ბრიგსი.

შენონმა ის წაგება ასთმას დააბრალა და მწვრთნელ ტედი ატლასს გაეყარა. მას აქეთ ურძეო დიეტაზე ზის და გვარიანადაც მოკეთდა, ხოლო ტრაგიკული პიროვნება იმადაა, რომ შარშანვე უახლოესი მეგობარი ტყვიით მოუკლეს, დედამისი კი ვაჟის დაბადების დღეს გულის შეტევით გარდაიცვალა.

ჯორჯმა 260 გირვანქა აიწონა, ბრიგსმა — 227 (გირვანქა 454 გრამია). ფორმენის გასამრჭელო 5 მილიონი US$ იყო, მეტოქისა — 400 ათასი. სასაცილოა პირდაპირ: 1974 წლის ოქტომბერში ჩემპიონმა ფორმენმა ზაირში ნოკაუტით რომ წააგო მუჰამედ ალისთან და ტიტული დაკარგა, მაშინაც 5 მილიონი უბოძეს, 1994 წლის ნოემბერში კი მაიკლ მორერის გალახვისა და უზუცეს მსოფლიო ჩემპიონად გახდომისათვის ერთი მილიონი აკმარეს.

ბებერმა ხარმა ამჯერადაც ჯიგრით იჩხუბა. ჭებსა და ჰუჭს მარჯვედ ხმარობდა. ჭეელმა მეტოქემ ერთი-ორჯერ კი მოსდო ძლიერად, მაგრამ ფორმენს არაფერი გაჰკრებია. პაპამ VIII და IX რაუნდებში მეტოქეს შავი დღე იქეთ აყარა, რაც ბრძოლის კომპიუტერულ ანალიზშიც აისახა: მიზანს თურმე ჯორჯის დარტყმების 58 პროცენტი მოხვდა, ბრიგსის შედეგიანობა კი 45 პროცენტი იყო.

შარშანწინ ფორმენს აჯობა გერმანელმა აქსელ შულცმა, მაგრამ მსაჯებმა „ბიგ ჯორჯს“ გაამარჯვებინეს. ამჯერად პირიქით იყო: მსაჯების გარდა ყველას პაპა მიაჩნდა გამარჯვებულად. ჰოდა, განაჩენის გამოცხადებას სტვენა და ღმუილი მოყვა.

ერთმა მთვლელმა ბრიგსს 115-112 მოაგებინა, მეორემ 117-113; მესამემ ფრე (114) დააფიქსირა. სამაგიეროდ, „ასოშიეითიდ პრესის“ აზრით ფორმენმა 116-112 აჯობა მეტოქეს, რომელიც გამოტყდა, საშინლად ვღელვდი, რადგან ვიცოდი, ხალხი ბებრის მხარეს იქნებოდაო.

ზაბეზებულ პაპა ჯორჯს არ უწუწუნია. პრეს-კონფერენციაზე ბრძანა, ჯერ კიდევ შერკინებამდე გადამეწყვიტა რინგიდან საბოლოოდ წასვლა. აბა, ჭეელები როდემდე უნდა მეცემაო.

ფორმენმა კიდევა თქვა, თავი გაძარცულად სულაც არ მიმაჩნია, რაკი თან 100 მილიონზე მეტი გავიყოლეო. არადა, კაცი თავის დროზე იმიტომ დაუბრუნდა ხიფათიან საქმეს, რომ ჰაბუკთა ცენტრისთვის სულ რაღაც 100 ათასი ჭირდებოდა.

ბებერი ჯორჯი მაიკ ტაისონთან და ლენოქს ლუისთან გაუმართავ ჩხუბებსაც გადაწვდა. განაცხადა, თუ ძალზედ ბევრ ფულს შემომთავაზებენ, ვინ იცის, ეგების კიდევ დავბრუნდეო.

ერთი რამ კი ახლავე ცხადია: კრივის სამყაროს ჰოლიფილდ — ლუისის შებმა რომ სურს, საარაკო თანხას აღარავინ შეაძლევს ბებერს, ვინაც ჯიუტად გაიძახის, ნაღდი ჩემპიონები ევანდერი ან ლუისი კი არ არიან, არამედ მე ვარო!

მოკლედ, ფორმენის გასაოცარი კარიერა, რომელიც 1969-97 წლებს მოიცავს და რომელშიც 76 გამარჯვება, 68 ნოკაუტი და მხოლოდ ხუთი მარცხია, ახლა კი შეგვიძლია მივიჩნიოთ საბოლოოდ დასრულებულად.

ვალერი ჯიქია



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეკველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ჭუთაისში
იუზა კაცარავა

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოჭრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29